Morchiladze’s fictitious archipelago is also launched on an alternative trajectory by a historic trigger event that is no single man’s doing and this time real. The Crimean War, a turning-point in Black Sea history, opened the sea for international commercial navigation by imposing restrictions on future naval activities. The fiction comes into the picture by inserting a clause in the peace treaty made (1857) that enabled Britain to rent the island for 145 years from the Ottomans. Understandably, the British wished to gain a footing in the Black Sea (comparable to their holds on Gibraltar, Malta, Corfu, and Cyprus in the Mediterranean). Consequently, a governor and a local symbolic parliament were put into effect in 1901. A dominion of the British Empire, Santa Esperanza becomes a ‘miniscule’ façade (without the exact substance) of it on the Black Sea. Santa Esperanza is expected to become an autonomous parliamentary republic when this treaty expires in 2002 (Morchiladze, 2006, Weinrebe 1, p. 8). This begs for reflection as to what awaits it as far as neighboring Russia, Georgia and Turkey’s expectations are concerned. The author makes one character, Morad Bey, anticipate that Russia would object to its NATO membership from the viewpoint of its own security (Morchiladze, 2006, Weinrebe 1, p. 17).

Modern Santa Esperanza is a multinational state with a population of 237.000 in 1997, of which 58% are Johannian (Georgians who speak a 14th-15th century dialect), 19% Turkish, %10 Italian, %8 English, and 5% other. Many come to work, but citizenship is extended only to descendants of those who lived there before 1919. Georgians have been cut off from Georgia hence estranged for many centuries (like the autochthonous population of Taiwan!) All people are entitled to a British identity (Morchiladze, 2006, Weinrebe 1, pp. 10-11). As much as it is modern, it is also archaic, insofar as the British redefined families of 500 years or more as a local aristocracy to aspire them to consolidate the implanted constitutional monarchy. The Johannian Georgians, the Ottoman Turks, and the Genoese Catholics constitute the symbolic army. English, a Georgian dialect, Turkish and Italian are taught in schools. In short, Santa Esperanza is a multinational and multicultural country in a world of surrounding



national states that could easily be destabilized from within as well as from without.

A perusal at the map indicates that the archipelago consists of three islands horizontally lined up in a V-shape. The big one is the Santa Esperanza. A second, on the north is considerably smaller, and is also called the Island of Sungals, and a third, on the south, is the Island of Visramiani, half a kilometer from the main island, to which it is served by a wooden bridge (Morchiladze, 2006, Weinrebe 5, pp. 5-6). The archipelago is 117 kilometers from the Georgian coast albeit with a severed connection. The islands of the archipelago are also loosely connected among themselves. A blind man on an island states: "Der Nachteil dieser Inseln ist, dass sie einander so nahe sind, andererseits aber so weit entfernt." (Morchiladze, 2006, Säbel 7, p.18 "The problem with these islands is that they are too close to one another, and yet far too distant" in English) Morchiladze condenses Georgia's two conflicting identities via-a-vis the sea in the archipelago's microcosm so as to ignite a conflict, in fact a civil war. An unusual, only Georgian speaking Sungal states that they were peasants and bandits, and did not support the Castle commanders and the Ottomans; a Sungal means the Man of the Forest and of the King, ready to sacrifice himself for the cause, and the Sungals and Visramianis, the two Georgian factions, always got along well: "Das wahre Land sind eben die zwei kleinen Inseln. Diese Attraktionsinsel hat man künstlich geschaffen." (Morchiladze, 2006, Weinrebe 6, p. 10; "These two islands are the real country. That attractive island over there was made artificially." In English) Even so, as the underdevelopment gap between the two islands also increased under the British who cheated the Sungals (Morchiladze, 2006, Weinrebe 9, pp. 16-18), while the Visramianis benefitted from the situation to become capitalist and rose on the shoulders of Sungals serving as their de facto army (Morchiladze, 2006, Brombeere 1, pp. 1-10).

## Conclusion

Whereas Aksyonov contents himself with disconnecting Crimea as an island from the Eurasian landmass, Morchiladze stamps a set of islands on the Black Sea map. Aksyonov uses the Black Sea as a backdrop for the Soviet Russian-Crimean pending conflict on the littoral, and as an escape route by sea when the disastrous hour strikes. In contrast, Morchiladze's fiction modifies the unfolding of history at large within a Black Sea context.

Aksyonov characterizes alternative Crimea as a multi-party functioning democracy outright different from a totalitarian regime, yet it falls short of democratic standards because its political class is an exclusive White Russian aristocracy and its offshoots. Moreover Crimean democracy bears responsibility for issuing a popular invitation to Soviet annexation. Moreover, his description makes of Crimea not a democracy, but a successful capitalism. Taiwan, Aksyonov's model for Crimea, was

not a democracy but an authoritarian regime where the ‘colonizer’ mainland Chinese Kuomintang Party was firmly in control. It evolved into a democracy as of the 1980s. To Aksyonov’s credit, minority Kuomintang Party is now the most pro-Chinese and pro-unification party in opposition to governing Taiwanese nationalists in conformity with his scenario for Crimea’s voluntary annexation. Be that as it may, Russia knows only one way of responding mechanistically in Aksyonov’s narrative, and that is invasion. He thus inscribes the fate of Crimea into a long list including Hungary (1956), Czechoslovakia (1968), Afghanistan (1979) and Ukraine (2022). As a matter of fact, Aksyonov’s description of Crimea highlights the vigorous capitalism rather than the democracy of Crimea, also more fitting with the perception of the image of Taiwan at the time. By contrast, the latecomer Morchiladze, an eyewitness to an overly financialized crony capitalism in the postcommunist era, addresses head on the weakness and deadlock of an imitative democracy in Santa Esperanza.

Both writers give the fictitious islands they impose upon Geography a pivotal role to play in either making of, or falling prey to, History. This discussion via literature provides strong evidence for the case that fictional islands can sometimes play a greater role in scale as well as in scope than real islands. Whether or not Morchiladze actually read Aksyonov and was inspired by it is beside the point here, though this is strongly suggested by his description of how the Soviet regime censored Santa Esperanza as enemy territory despite the maverick Valodia Nebieridze’s scholarship, and Stalin saw it as the dangerous outpost of capitalism on his doorstep (Morchiladze, 2016, Brombeere 1, p. 8). More importantly, two writers a generation apart writing in different languages and entirely different contexts, but with their converging stylistic attributes, resorted to the same literary device, i.e., altering geography to see what effect it would produce on the course of history unfolding in a Black Sea environment. This is more an effect of the Black Sea on their literary practice, demonstrating us their least common denominator, and a connecting thread thereof among their fiction indicating continuity, in an otherwise disrupted and transformed world.

#### References

- Aksyonov, Vassily (1983). *The Island of Crimea*. Translated by Michael Henry Heim. New York: Random House.
- Morchiladze, Aka (2006). *Santa Esperanza*. Translated by Natia Mikeladze-Bachsoliani. Munich and Zurich: Pendo Verlag.

## ეუფ ოვზერენი (თურქეთი)

### როდესად ლიტერატურული სივრცე ემიჯნება ფიზიკურ გეოგრაფიას: აქსიონოვისა და მორჩილადის მიერ შავი ზღვის დაკარგული კუნძულების ჩანაცვლება

#### რეზიუმე

**საკვანძო სიტყვები:** აკა მორჩილადე, შავი ზღვა, სანტა ესპერანსა, ვასილი აქსიონოვი.

მაშინ, როდესაც მრავალრიცხოვანი კუნძულები ხმელთაშუა ზღვის გარშემო არსებული მიწების დამაკავშირებელ გზებად გამოიყენებოდა, კუნძულების არაარსებობა ისედაც მრისხანე, არასტუმართმოყვარე შავ ზღვაში სერიოზულ დაბრკოლებად იქცა. შავ ზღვაში ძალიან ცოტაა კუნძული და კიდევ უფრო ცოტა – დასახლებული.

თუმცა, ეს ჩვენთვის კიდევ უფრო აქტუალურს ხდის იმ მნიშვნელოვან როლს, რომელიც შეუძლიათ ითამაშონ ე.წ. „დაკარგულმა“ კუნძულებმა, თუნდაც, ლიტერატურულ, გამოგონილ და არა გეოგრაფიულ სივრცეში.

სტატიაში გაანალიზებულია ორი ნოვატორული რომანი, რომლებიც ერთგვარ გამოწვევას უგზავნიან შავი ზღვის გეოგრაფიის ისტორიულ მემკვიდრეობას; გამოგონილი კუნძულებით ავტორები მკითხველის წარმოსახვას მიმართვენ იმ სხვა გზებისკენ, რომლითაც შესაძლოა წასულიყო ისტორია. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ქმნიან იმას, რასაც ისტორიკოსები და სოციოლოგები „ალტერნატიულ ისტორიად“ ან „ისტორიულ ალტერნატივად“ ნათლავენ.

კონკრეტულად, სტატია ეხება ვასილი აქსიონოვის რომანს „კუნძული ყირიმი“ (1981, 1983) და აკი მორჩილადის „სანტა ესპერანსას“ (2004, 2006). პირველი მკითხველს რთავს კონტრფაქტურ სავარჯიშოში, რომლის დროსაც ყირიმი იქცევა კუნძულად საბჭოთა რუსეთის სანაპიროზე, შთაგონებული კომუნისტური ჩინეთის მიერ, რომელიც შეშფოთებულია დამოუკიდებელი ტაივანით. მეორე რომანს კი უფრო დახვეწილი ფორმულირება აქვს: ყირიმის ომის შემდეგ სამი კუნძული ბრიტანული სამფლობელოებად იქცევა და გადარჩება როგორც თავშესაფარი მულტიკულტურული თანაარსებობისათვის, მიუხედავად მათი სიმყიფისა, რაც სწორედ შავ ზღვაში მდებარეობითაა განპირობებული, ეს კუნძულები იმაზე დიდ როლს თამაშობენ ისტორიის გადაკეთებაში, ვიდრე ნამდვილმა კუნძულებმა შეიძლება ითამაშონ.

მირჩა ელიადე  
(რუმინეთი)

## მითების სტრუქტურა

### „ცოცხალი მითის“ მნიშვნელობა

უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც დასავლელი მეცნიერები მითის განხილვას მიუდგნენ სრულიად ახალი კუთხით, რომელიც შესამჩნევად ეწინააღმდეგება XIX საუკუნეში გავრცელებულ პერსპექტივას. იმის მაგივრად, რომ ტერმინი „მითი“ განეხილათ, უნინდელი, ტრადიციული გაგებით, ე.ი. როგორც „იგავი“, „გამოგონილი ამბავი“, „ფიქცია“, XIX საუკუნეში მითმა შეიძინა იგივე დატვირთვა, რაც მას ჰქონდა არქაულ საზოგადოებაში და სადაც იგი, პირიქით, „ნამდვილ ამბავს“ აღნიშნავდა. ეს ამბავი იყო საკრალული, სანიმუშო და ნიშანდობლივი. თუმცა, ამ ახალმა სემანტიკურმა ღირებულებამ, რომელიც „მითს“ მიაკუთვნეს, ტერმინის გამოყენება ყოველდღიურ მეტყველებაში ბუნდოვანი გახადა. დღესდღეობით, ეს სიტყვა ერთდროულად აღნიშნავს, როგორც „ფიქციასა“ თუ „ილუზიას“, ასევე „საკრალურ ტრადიციას, პირველ გამოღვიძებასა თუ სანიმუშო მაგალითს“, რაც კარგად ნაცნობია ეთნოლოგების, სოციოლოგებისა თუ რელიგიის ისტორიკოსებისათვის.

მოვიანებით, ყურადღებას გავამახვილებთ იმ განსხვავებულ მნიშვნელობათა ისტორიაზე, რომლებიც ტერმინმა „მითმა“ მიიღო ანტიკურ თუ ქრისტიანულ სამყაროში. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქსენოფონედან მოყოლებული (565-470) – რომელმაც პირველმა უარყო ჰომეროსისა და ჰესიოდეს მიერ გამოყენებული ღვთაებების „მითოლოგიური“ გამოვლინებები – ბერძნებმა დროთა განმავლობაში დააცარიელეს მითოსი ყველანაირი რელიგიური და მეტაფიზიკური ღირებულებისაგან. დაუპირისპირდა რა *ლოგოსს* (*logos*) და მოგვიანებით *ისტორიას* (*historia*), *მითოსი* (*mythos*) გახდა ყველაფერ იმის აღმნიშვნელი, რასაც „რეალურად არსებობა არ შეუძლია“. ამ მხრივ, ქრისტიანობა ყველაფერს, რასაც ეწინააღმდეგებოდა თუ არ ცნობდა ძველი და ახალი აღთქმა, მიაკუთვნებდა „ტყუილსა“ და „ილუზიას“.

„მითის“ ჩვენეული გაგება (რომელიც უფრო ხშირია ყოველდღიურ მეტყველებაში) ამ მნიშვნელობას არ ეფუძნება. უფრო სწორად, ჩვენ არ გვაინტერესებს არც ის მენტალური სტადია და არც ის ისტორიული

მომენტი, როდესაც მითი იქცა „ფიქციად“. თავდაპირველად, ჩვენი ძირითადი ინტერესი შეეხება იმ საზოგადოებებს, რომლებშიც დღემდე, მითი არის – ან იქნა, – „ცოცხალი“ იმ გაგებით, რომლითაც იგი წარმართავს ადამიანების ქცევებს და აძლევს ამგვარად ღირებულებასა და მნიშვნელობას კაცობრიობის არსებობას. მითების სტრუქტურისა და ფუნქციის გაგება, ტრადიციულ საზოგადოებებში, არ ნიშნავს მხოლოდ ერთი ეტაპის გამოვლინებას ადამიანის აზროვნების ისტორიაში, არამედ, ეს ასევე თანამედროვე ადამიანების უკეთ გაგებასაც გულისხმობს.

იმისათვის, რომ შემოვიფარგლოთ კონკრეტული მაგალითით, რომელიც ეხება ოკეანიის „კარგოს კულტს“, გართულდებოდა მთელი რიგი სერიების უცნაურ ქცევათა ინტერპრეტაცია მათი მითიური ფონის მოხმობის გარეშე. ეს წინასწარმეტყველური და ათასწლოვანი კულტები აცხადებენ ზღაპრული და სასიხარულო ერის დადგომის გარდაუვალობას.

ადგილობრივები კვლავ ჩაიგდებენ ხელში ძალაუფლებას თავიანთ კუნძულებზე და ისინი აღარ იმუშავებენ, რადგან გარდაცვლილები დაბრუნდებიან დიდებული გემებით; ეს უკანასკნელნი დატვირთულები იქნება ისეთივე საქონლით, რომლითაც დატვირთული იყო გიგანტური გემები და რომელსაც, ძველად, თათრები იღებდნენ თავიანთ პორტებში. ამიტომ, ამ „კარგოს კულტთა“ უმრავლესობა მოითხოვს, ერთის მხრივ, შინაურ ცხოველთა და საჭირო საგანთა განადგურებას, მეორეს მხრივ, იმ მასშტაბურ მაღაზიათა აღმოფხვრას, სადაც მიტანილ იქნება გარდაცვლილების მიერ მიწოდებული საკვები. ამგვარი ქცევა გვამცნობს ქრისტეს გამოცხადებას საქონლით დატვირთულ გემზე; დანარჩენები დაელოდებიან „ამერიკის“ მოსვლას. დაიწყება ახალი სამოთხისეული ერა და კულტების წევრები გახდებიან უკვდავები. ზოგიერთი კულტი გულისხმობს ორგებთან დაკავშირებულ აქტებსაც, ვინაიდან ტრადიციულად დადგენილი აკრძალვები და ადათები დაკარგავენ თავიანთი არსებობის მნიშვნელობას (raison) და ადგილს დაუთმობენ აბსოლუტურ თავისუფლებას. ყველა ეს აქტი, თუ რწმენა აიხსნება *მსოფლიოს დაუძღურების მითით, რომელიც შეიქმნება ახალი დაბადებითა და ოქროს ხანის აღდგენის შემდეგ* – მითი, რომელზეც მოგვიანებით გავამახვილებთ ინტერესს.

მსგავსი ქმედებები განხორციელდა კონგოში 1960 წელს ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებასთან დაკავშირებით. ერთ-ერთ სოფელში, ნინაპრების მიერ ჩამოყრილი ოქროს მონეტების შესაგროვებლად, ადგილობრივებმა გადახადეს სახურავები ქოხებს. მოშორებით კი მხოლოდ საფლავებისაკენ მიმავალი გზებზე იძრუნეს, რათა ნინაპრებისათვის მიეცათ გზა სოფლამდე მისაღწევად. ორგიულ ექსცესებს ჰქონდა საყურადღებო მნიშვნელობა, ვინაიდან, მითის მიხედვით, ახალი ერის ჩასახვის დასაბამიდანვე ყველა ქალი მხოლოდ კაცის საკუთრებად იქცევა.

დიდი ალბათობით, მსგავსი ტიპის ფაქტები ძლიერ იშვიათობად იქცევა. შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ „მითიური დამოკიდებულება“ გაქ-

რება ძველი კოლონიების პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. მაგრამ ის, რაც მომავალში მოხდება, ჩვენ ვერ დაგვეხმარება იმის გაგებაში, რაც არც თუ ისე დიდი ხნის წინ უკვე მოხდა. ის, რაც ჩვენთვის ყველზე ნიშანდობლივია, პირველ რიგში, ესაა მსგავს უცნაურ ქმედებათა მნიშვნელობის დადგენა, ამ ექსცესთა მიზეზების გამოვლენა და მათი გამართლების პოვნა. ვინაიდან, ყოველივეს გაგება ნიშნავს, ისინი ვალდართ, როგორც ადამიანური საქციელები, კულტურათა ფაქტები, გონების შემოქმედებითობა – და არა, უბრალოდ, ინსტინქტთა პათოლოგიურ გამოვლინებათა მოზღვავება, ცხოველური თუ ბავშვური ბუნების გამოვლინება. სხვა ალტერნატივა არც არსებობს: იძულებულები ვართ, ან ვუარყოთ, შევამციროთ, ან დავივიწყოთ ამგვარი ექსცესები მათი „ველურობის“ გარკვეულ გამოვლინებებად მიჩნევით, რომლებიც აუცილებლად გაქრება, როდესაც მოხდება ტომების „ცივილიზაცია“; ან უნდა ვაიძულოთ საკუთარი თავები, გავიგოთ წინარე, მითთან დაკავშირებული დამოკიდებულებები, რომლებიც ხსნიან, ამართლებენ ამგვარ გამოვლინებებს და მათ მიაკუთვნებენ რელიგიურ მნიშვნელობას. სწორედ ეს უკანასკნელი მოსაზრება იპყრობს ჩვენს ინტერესსაც. მხოლოდ ისტორიულ-რელიგიურ პერსპექტივაში შეიძლება მსგავსი ქმედებების განხილვა, როგორც კულტურათა გარკვეული ფაქტები, კარგავენ რა ისინი თავიანთ მონსტრულ თუ აზროვნებას მოკლებულ ქცევას, ბავშვურ თამაშს თუ წმინდა ინსტინქტურ საქციელს.

### „პირველყოფილ მითოლოგიათა“ ინტერესი

ხმელთაშუაზღვისპირეთსა თუ აზიაში გავრცელებულ ყველა დიდ რელიგიას გააჩნია საკუთარი მითოლოგია. მიუხედავად ამისა, მითების განხილვა სჯობს ბერძნული, ანტიკური თუ ინდური მითოლოგიების განხილვის გარეშე.

ბერძნულ მითთა უმრავლესობა მოყოლილ იქნა ჰესიოდესა და ჰომეროსის, ასევე რაპსოდისტებისა და მითოგრაფების მიერ, რამაც განაპირობა მათი შეცვლა და სისტემატიზირება. ახლო აღმოსავლეთსა და ინდოეთში გავრცელებული მითოლოგიები სათუთად იქნა ინტერპრეტირებული და შემუშავებული კონკრეტული თეოლოგიებისა და რიტულისტების წყალობით. სავარაუდოა, რომ ზემოდწამოთვლილმა დიდმა მითოლოგიებმა სანყის ეტაპზე დაკარგა თავიანთი პირველადი მნიშვნელობა, „მითიური სუბსტანცია“ და იქცა მხოლოდ „ლიტერატურად“, ან მომდევნო საფეხურზე, არქაულ საზოგადოებათა ტრადიციული მითოლოგიები არ შეცვლილა მოძღვრებისა და ქურუმების მიერ. ისევე, როგორც დიდმა მითოლოგიებმა დაასრულეს იმით, რომ გადაცემულ იქნენ თაობიდან თაობას დამწერლობითი გზით (ნაწერი ტექსტებით),

„პირველყოფილ“ მითოლოგიებს, რომლებიც ზეპირსიტყვიერად შეიტყვეს უძველესმა მოგზაურებმა, მისიონერებმა თუ ეთნოგრაფებმა, გააჩნია „ისტორია“; სხვაგვარად რომ ვთქვათ, საუკუნეთა განმავლობაში ისინი გამრავალფეროვდნენ და გამდიდრდნენ სხვადასხვა, მათზე უპირატესი კულტურათა გავლენით. ასევე სავარაუდოა, რომ ამ ფაქტს ხელი შეუწყვეს იშვიათი ნიჭით დაჯილდოებულმა ზოგიერთმა მგოსანმა თუ შემოქმედმა.

ამავდროულად, უმჯობესია, დავიწყოთ არქაული საზოგადოების მითების განხილვით, რასაც, სავარაუდოდ, მოჰყვება იმ ხალხთა მითოლოგიაზე მსჯელობა, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ისტორიაში. მიუხედავად დროთა განმავლობაში მომხდარი ცვლილებები-სა, „პირველყოფილების“ მითები კვლავ აირეკლავენ პირველოყოფას (პირველად ყოფას). საქმე ეხება იმ საზოგადოებებს, რომლებშიც მითები დღემდე ცოცხლობს და სადაც ყველანაირი ადამიანური ქმედება მითებზეა დამოკიდებული, სადაც მითები ამართლებს ნებისმიერ საქციელს. მითების როლისა და ფუნქციის განსაზღვრა ხელენიფებად (ან ასე იყო უახლოეს ხანამდე) ეთნოლოგებს. არქაულ საზოგადოებათა ცალკეულ მითთან თუ რიტუალთან დაკავშირებით, შესაძლებელი გახდა ადგილობრივთა მიერ მათი გამოკითხვა და იმ მნიშვნელობების გაგება, გარკვეული დოზით მაინც, რომელსაც ისინი მათ ანიჭებენ. ცხადია, რომ ეს „ცოცხალი დოკუმენტები“, რომლებიც ჩანერილ იქნა ადგილზე კვლევის პროცესში, ვერ ჭრის ჩვენს ყველა სირთულეს, მაგრამ მათ შესწევთ უნარი, სწორად დაგვასმევიწონ პრობლემის საკითხი, ე.ი. განვიხილოთ მითი მის სოციო-რელიგიურ კონტექსტში.

### მითის განმარტების მცდელობა

რთულია მითისათვის იმ განმარტების მისადაგება, რომელიც მისაღები იქნებოდა ყველა მეცნიერისათვის და, ამავდროულად, არასპეციფიკისტებისთვისაც. თუმცა, შესაძლებელია კი, ვიპოვნოთ, თუნდაც, ერთი განმარტება, რომელიც პასუხს გასცემდა მითის ყველა ფუნქციასა და ტიპს ამა თუ იმ არქაულ და ტრადიციულ საზოგადოებაში? მითი არის უკიდურესად რთული კულტურული რეალობა, რომლის განხილვა და ინტერპრეტირება მრავალგანზომილებიან პერსპექტივაშია შესაძლებელი.

პირადად ჩემთვის, განმარტება, რომელიც ყველაზე მისაღებად მიმაჩნია, მისი მოცულობიდან გამომდინარე, არის შემდეგი: მითი ყველა საკრალურ ამბავს; ის აირეკლავს იმ ქმედებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა წინარე წარსულში, „სამყაროს საწყის“ ზღაპრულ დროში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მითი ყველა, თუ როგორ შემოაღწია რეალობამ არსებობაში ზებუნებრივ არსებათა ღვანლის წყალობით; იქნება ეს ტოტალური რე-

ალობა, კოსმოსი, თუ მხოლოდ ერთი მონაკვეთი, ფრანგმენტი: კუნძული, მცენარის გარკვეული სახეობა, ადამიანური დამოკიდებულება, კონკრეტული ინსტიტუცია. აღნიშნული კი კვლავ „დაბადების“ (შესაქმის) თხზულებასთან გვაბრუნებს: მოყოლილია, თუ როგორ გაჩნდა კონკრეტული სუბიექტი და ობიექტი, თუ როგორ დაიწყო მან არსებობა ამ ქვეყნად. მითი მხოლოდ რეალურად მომხდარზე მოგვითხრობს, იმაზე, რასაც ადგილი აშკარად ჰქონდა. მითების პერსონაჟები ზებუნებრივი არსებები არიან. ისინი ცნობილები ხდებიან სამყაროს „საწყის ეტაპზე“ ჩადენილი ღვანლითა თუ საქმეებით. მითები ამჟღავნებენ თავიანთ შემოქმედებითობას და ავლენენ თავიანთი შემოქმედების საკრალურობას (ან, მარტივად რომ ვთქვათ, „ზებუნებრივობას“). მოკლედ, მითები ყველაზე ზოგჯერ განსხვავებულზე, ზოგჯერ დრამატულზე, საკრალურსა და ზებუნებრივზე, რომელიც სამყაროში არსებობდა. სწორედ ეს უკანასკნელი აყალიბებს რეალურად მსოფლიოს ისეთად, როგორც ის დღესაა. მეტიც: სწორედ ამგვარ ზებუნებრივ არსებათა ჩარევის შედეგად გახდა ადამიანი ისეთი, როგორც ის ამჟამადაა – მოკვდავი და კულტურული არსება, რომელსაც, ამავდროულად, გააჩნია სქესიც.

მომავალში საშუალება გვქენება, შევავსოთ და განვმარტოთ ზოგიერთი პირველადი მინიშნება, მაგრამ საჭიროა იმის დაუყონებლივ ხაზგასმა, რაც ყველაზე უმთავრესად მიგვაჩნია: მითი, რომელიც მიჩნეულია საკრალურ ამბად, მაშასადამე, „ნამდვილ ისტორიაზე“ მოგვითხრობს, რადგან ის ყოველთვის რეალობებს მიემართება. კოსმოგონიური მითი „ნამდვილია“, ვინაიდან ის მოწმობს მსოფლიოს არსებობას; სიკვდილის გაჩენის მითიც „ნამდვილია“, ვინაიდან ამას ადამიანის მოკვდავობა ადასტურებს და ა.შ.

ფაქტი, რომ მითი ასახავს ზებუნებრივ არსებათა „ჟესტებსა“ (gesta) და მათი ძალაუფლებების საკრალურ მანიფესტაციებს, მითს სძენს ადამიანური, მნიშვნელოვანი ქმედებებების სანიმუშო მაგალითის ფუნქციას. როდესაც მისიონერ-ეთნოლოგი კ. სტრეჰლოუ ეკითხებოდა არუნტანელ (Australiens Arunta) ავსტრალიელებს, თუ რატომ აღნიშნავენ ისინი ზოგიერთ დღესასწაულს, ისინი მას უცვლელად პასუხობდნენ: „იმიტომ, რომ წინაპრებმა ამგვარად მოითხოვეს“.<sup>1</sup> ახალი გვინეის ტომები, კაიები, თავიანთი ცხოვრების სტილისა და მუშაობის შეცვლის წინააღმდეგები იყვნენ, რასაც ისინი შემდეგნაირად ხსნიდნენ: „სწორედ ასე იქცეოდნენ ნემუსები (მითიური წინაპრები) და ჩვენც იგივენაირად ვაგრძელებთ“.<sup>2</sup> ერთ-ერთი ცერემონიის ამგვარ დეტალთან დაკავშირე-

1 C. Strehlow, Die Aranda-und Loritija-Stamme in Zentral-Australien, vol. III, p.1; cf. Lucien Lévy-Bruhl, La Mythologie primitive (Paris, 1935), p.123. Voir aussi T.G.H Strehlow, Aranda Traditions (Melbourne University Press, 1947), p.6.

2 CH. Keysser, cité par Richard Thurnwald, Die Eingeborenen Australiens und der Sudseeinseln (Religionsgeschichtliches Lesebuch, 8, Tübingen, 1927)p.28.



ბით, კითხვა დაუსვეს მომღერალ ნავაჰოს, რათა აეხსნა მიზეზი, მან კი უპასუხა: „ვინაიდან თავდაპირველად წმინდა ხალხმა ასე გააკეთა“.<sup>1</sup> ჩვენც ზუსტად ანალოგიურ გამართლებას ვპოულობთ პირველყოფილ ტიბეტური ტომების რიტუალთან დაკავშირებითაც, რომელსაც თან სდევდა ლოცვა: „როგორც სამყაროს შექმნის პირველივე დღიდან მოხდა, ჩვენც ასევე უნდა შევწიროთ (...) როგორც ჩვენმა წინაპრებმა გააკეთეს მრავალი საუკუნის წინ, ისევე ვაკეთებთ ჩვენც დღეს“.<sup>2</sup> ჰინდუს ტომების თეოლოგებისა და რიტუალისტების გამართლებაც არაფრით განსხვავდება ამ მოსაზრებებისაგან. „ჩვენც ისე უნდა გავაკეთოთ, როგორც გააკეთეს ღმერთებმა სამყაროს დასაბამიდან“ (სატაჰათა ბრაჰმანა, VII, 2, 1, 4). „ასე მოიქცნენ ღმერთები, ასე იქცევიან ადამიანები“ (ტაიტირიია ბრაჰმანა, 1, 5, 9, 4<sup>3</sup>).

როგორც უკვე ვნახეთ,<sup>4</sup> ადამიანის პროფანული ქცევები და ქმედებებიც კი დამოკიდებულია ზებუნებრივ არსებათა საქციელზე. ნავაჰოებთან, „ქალები იძულებულნი არიან, დასხდნენ ისე, რომ ფეხები ერთმანეთის ქვეშ მოაქციონ, ხოლო გვერდით, მამაკაცებმა უნდა გადააჯვარედინონ კიდურები, ვინაიდან დასაბამიდან, ქალი და მონსტრების მკვლელი ამგვარ პოზიციაში ისხდნენ“.<sup>5</sup> ერთ-ერთი ავსტრალიური ტომების, კარაჯერების მითიური ტრადიციის მიხედვით, ყველანაირი ადათი, ყველანაირი დამოკიდებულება დამკვიდრდა „სიზმრის დროს“, ორი ზებუნებრივი არსების მიერ (მაგალითად, წესი, თუ როგორ უნდა მოიხარშოს ზოგიერთი მარცვალი, ან როგორ უნდა განდევნო, ჯოხის დახმარებით, ცხოველი, კუჭში გასვლისას მისაღები პოზა და ა.შ.).<sup>6</sup>

ვფიქრობ, აღარაა საჭირო დანარჩენი მაგალითების მოყვანა. როგორც „მარადიული დაბრუნების მითში“ ვაჩვენეთ და როგორც უკეთესად შემდგომში ვიხილავთ, მითის უმთავრესი ფუნქციაა ადამიანისთვის მნიშვნელოვანი რიტუალებისა და ყველა ქმედების სანიმუშო მაგალითების ჩვენება: საქმე ეხება კვებასა თუ ქორწინებას, სამსახურს, განათლებას, ხელოვნებასა თუ სიბრძნეს. ეს კონცეფცია არაა უგულვებელსაყოფი არქაული საზოგადოების წევრი ადამიანის გაგებისათვის, რასაც მოგვიანებით განვიხილავთ.

1 Clyde Kluckhohn, "Myths and Rituals: A General Theory" (Harvard Theological Review, vol. XXXV, 1942, pp. 45-79), p. 66. Cf. *ibid.* d'autres exemples.

2 Matias Hermanns, *The Indo-Tibetans* (Bombay, 1954), pp. 66 sq.

3 *ib.* M. Eliade, *Le Mythe de l'Éternel Retour* (Paris, 1949), pp. 44 sq (The Myth of the Eternal Return, New York, 1954, pp. 21 sq)

4 *Le Mythe de l'Éternel Retour*, pp. 53 sq.

5 Clyde Kluckhohn, *op. cit.*, p. 61, citant W.W. Hill, *The Agricultural and Hunting Methods of the Navaho Indians* (New Haven, 1938), p. 179.

6 Cf. m. Eliade, *Mythes, rêves et mystères* (Paris, 1957), pp. 255-256.

### „ნამდვილი ამბავი“ – „მცდარი ამბავი“

უნდა აღვნიშნოთ, რომ იმ საზოგადოებებში, სადაც მითი ისევე ცოცხლობს, ადგილობრივები განასხვავებენ მითებს – „ნამდვილ ამბებს“ – იგავეებისა თუ ზღაპრებისაგან, რომელსაც ისინი უწოდებენ „ცრუ ამბებს“.

პავნეს ტომები „განარჩევენ“ „ნამდვილ ამბებს“ და „მცდარ ამბებს“. ისინი ყველაფერს, რაც სამყაროს წარმოშობაზე მოგვითხრობს, აიგივებენ ნამდვილ ამბებთან; მათი მონაწილეები არიან ღვთიური, ზებუნებრივი, ციური თუ კოსმიური არსებები. შემდეგ მოდის ისეთი ზღაპრები, რომლებიც მოგვითხრობენ ეროვნული გმირის დაუფერებელ, ზღაპრულ ამბებზე, ერთ ახალგაზრდა მამაკაცზე, წარმოშობით დაბალი ფენიდან, რომელიც გახდა თავისი ხალხის გადამრჩენელი და რომელმაც ადამიანები მონსტრებისაგან გაათავისუფლა, გამოგლიჯა რა ისინი ხელიდან შიმშილს თუ სხვა უბედურებებს და რომელსაც, ამას გარდა, სხვა კეთილსინდისიერ ამბებსა და ღვანლს მიაწერენ. შემდეგ მოდის ამბები, რომლებიც მოგვითხრობს ექიმზე (*medicine-men*) და ხსნის, თუ როგორ მოახერხა ამა თუ იმ ჯადოქარმა ზებუნებრივი ძალაუფლების შექმნა, როგორ ჩაისახა შამანთა ესა თუ ის ასოციაცია. „მცდარ“ ამბებად კი მიჩნეულია ისინი, რომლებიც ყველა კოიოტის, ვაკის მგლის თავგადასავლებსა და სასიქადულო საქმეებზე. მოკლედ, „ნამდვილ“ ისტორიებში საქმე გვაქვს საკრალურთან ან ზებუნებრივთან; ხოლო „მცდარ“ ამბებში, პირიქით, პროფანულ შინაარსთან, რადგან კოიოტი უკიდურესად პოპულარულია ამ მითოლოგიაში ისევე, როგორც დანარჩენ სხვა, ჩრდილო-ამერიკულ მითოლოგიებში, სადაც ის გვევლინება შენიღბულ, გამყიდველ და მოლალატე, გამომრჩენელ და გაიძვერა არსებად.<sup>1</sup>

პარალელურად, შეროკეს ტომები ანსხვავებენ საკრალურ მითებსა (კოსმოგონია, პლანეტათა წარმოშობა, სიკვდილის გაჩენა) და პროფანულ ისტორიებს, რომლებიც ხსნიან, მაგალითად, ცხოველთა ზოგიერთ ანატომიურ თუ ფიზიოლოგიურ ცნობისმოყვარეობას. იგივე განსხვავება ხდება აფრიკაშიც: ჰერეროს ტომები მიიჩნევენ, რომ ის ისტორიები, რომლებიც ყველა ტომების სხვადასხვა დაჯგუფების წარმოშობის შესახებ, არის ნამდვილი, ვინაიდან, ისინი ასახავენ ისეთ ამბებს, რომლებიც ნამდვილად მოხდა, იმ დროს, როდესაც მეტნაკელებად კომიკურ ზღაპრებს არანაირი საფუძველი არ გააჩნია. რაც შეეხება ტოგოს ადგილობრივ მკვიდრთ, ისინი თავიანი დასაბამის მითებს „აბსოლიტურად რეალურ“ ამბებად მიიჩნევენ.<sup>2</sup>

სწორედ ამ მიზეზიდან გამომდინარე, შეუძლებელია მითებს მივუდგეთ გულგრილად. უამრავ ტომში, მითებს არ ყვებიან ბავშვებისა და

1 R. Pettazzoni, *Essays on the History of Religion*(Leiden, 1954), pp. 11-12. Cf. aussi Werner Muller, *Die Religionen der Waldlandindianer Nordamerikas* (Berlin, 1956), p. 42

2 R. Pettazzoni, *op.cit.*, p.13.

ქალების წინაშე, ე.ი. ისეთ არსებებთან, რომლებიც ან ცხოვრებას მხოლოდ ეხლა იწყებენ, ან არიან უცოდინრები. ზოგადად, მოხუცი მასწავლებლები მითებს აცნობენ რელიგიაში ჯერჯერობით არაგანსწავლულ ხალხს, რომლებიც დიდი ხანი არაა, რაც მოინათლნენ, იმ დროს, როდესაც ბუნებაში განმარტოვდებიან ხოლმე, რაც მათი პირველი ზიარებაა. რ. პიდინგტონი კარაჯერებთან დაკავშირებით აღნიშნავს: „საკრალური მითები, რომლებსაც არ შეიძლება, რომ იცნობდეს ქალი, მიემართება (ეხება) ძირითადად კოსმოგონიას და განსაკუთრებით, ინიციაციათა ცრემონიების ინსტიტუციას.<sup>1</sup>

იმ დროს, როდესაც „მცდარი ამბების“ მოთხრობა ნებისმიერ დროსა და ადგილასაა შესაძლებელი, მითების მოყოლა მხოლოდ საკრალური დროის გარკვეულ მონაკვეთშია დაშვებული (ძირითადად, შემოდგომის ან ზამთრის განმავლობაში, და მხოლოდ ღამით<sup>2</sup>). ეს ადათ-ნესი შემონახულია იმ ხალხებშიც, რომლებმაც არქაულ კულტურათა სტადიას უკვე გაუსწრეს. მონღოლ-თურქებთან და ტიბეტელებთან, ჯესორის ციკლის ეპიკურ სიმღერათა დასწავლა უნდა მოხდეს მხოლოდ ღამით და ზამთარში. „სწავლა გაიგივებულია მომხიბვლელ ძალაუფლებასთან. ის ნებისმიერი სახის უპირატესობის მოპოვების საშუალებას იძლევა, მაგალითად, როგორცაა ომში თუ ნადირობისას მოპოვებული წარმატება (...). სწავლის დაწყებამდე ჰაერში აფრქვევენ სპეციალურად მომზადებულ, მოხალული ქერის მარცვლის ფქვილს. მსმენელები სხედან გარშემო. ბარდი (სახალხო მთქმელი, მგოსანი) ეპოპეას რამოდენიმე დღის განმავლობაში წარმოთქვამს. როგორც ამბობენ, ძველად, ამ დროს ჯესარის ცხენის ნაფეხურებს ხედავდნენ ჰაერში. ამგვარად, სწავალა რეალური გმირის გამოცხადების წინაპირობა იყო.<sup>3</sup>

## რას გვიმხვლს მითები

ადგილობრივი ტომების მიერ „ნამდვილი“ და „მცდარი“ ამბების გარჩევა საყუდარდლებოა. თხრობათა ორგვარი კატეგორია წარმოგვიდგენს ისეთ „ისტორიებს“, რომელთაც ადგილი ჰქონდა შორეულ და დაუჯერებელ წარსულში. მიუხედავად იმისა, იყვნენ თუ არა მითების მთავარი მოქმედი გმირები ღმერთები და ზებუნებრივი არსებები, ან ზღაპრების ჯადოსნური ცხოველ-პერსონაჟები, მათ ჰქონდათ ერთი საერთო: ისინი არ მიეკუთვნებოდნენ ყოველდღიურ სამყაროს. ამავე დროს, ადგილობრივი ტომები მიხვდნენ, რომ საქმე ეხებოდა რადიკალურად განსხვავებულ „ისტორიებს“. ვინაიდან, ყველაფერი, რაც მოთხრობილია მითებში, მათ

1 R.Piddington, cité par L. Lévy-Bruhl, p.115.Sur les cérémonies d'initiation, cf Eliade, Naissance mystiques (Paris, 1959).

2 იხ. Des exemples dans R. Pettazzoni, op. cit., p. 14, n. 15.

3 R.A. Stein, Recherches sur l'épopée et la barde au Tribet (Paris, 1959), pp. 318-319.

პირდაპირ ეხება იმ დროს, როდესაც, ზღაპრები და იგავები მიემართება ისეთ ქმედებებს, რომლებმაც სამყაროში ცვლილებების შემოტანის მიუხედავად, ვერ შეცვალეს ადამიანების როლი<sup>1</sup> (ზოგიერთ ცხოველთა ანატომიური თუ ფსიქოლოგიური თავისებურებანი).

მართლაც, მითები ყვებიან არა მხოლოდ სამყაროს, ცხოველების, მცენარეებისა თუ ადამიანების წარმოშობაზე, არამედ, ყველა იმ წინაპირობაზეც, რომელიც წინ უძღვოდა ადამიანის ისეთ არსებად ჩამოყალიბებას, როგორიც ის დღესაა, ე.ი. მოკვდავი არსება, რომელსაც გააჩნია სქესი, მორგებულია საზოგადოებას, იძულებულია, იმუშაოს, რათა იცხოვროს და რომელიც ითვალსწინებს გარკვეულ წესებს. თუ მსოფლიო არსებობს, თუ ადამიანი არსებობს, ეს იმიტომ, რომ ოდესღაც ზებუნებრივმა არსებებმა განახორციელეს შემოქმედებითი აქტი. მაგრამ სრულიად სხვა ქმედებებს ჰქონდა ადგილი კოსმოგონიისა და ანთროპოგონიის შემდეგ, და ადამიანი, ისეთი, როგორიც ის დღესაა, მითიური მოვლენების პირდაპირი შედეგი, არსებობს სწორედ ამ ქმედებების შედეგად. ის მოკვდავია, რადგან რაღაც მოხდა *in illo tempore*. ეს რომ არ მომხდარიყო, ადამიანი არ იქნებოდა მოკვდავი: ის იარსებებდა განუსაზღვრელი ვადით, როგორც ქვები, ან ის პერიოდულად გამოიცვლიდა ტყავს, როგორც გველები, რის შემდეგაც ცხოვრების განახლებადაც შესძლებდა და ეს უსასრულოდ გაგრძელდებოდა. მაგრამ სიკვდილის გაჩენის მითი გვიყვება, თუ რა მოხდა *in illo tempore* და აღწერს რა ამ ამბავს, ხსნის, თუ რატომაა ადამიანი მოკვდავი.

პარალელურად, ზოგიერთი ტომის ცხოვრობაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს თევზაობას, ეს კი იმიტომ ხდება, რომ მითიურ ეპოქაში, ერთმა ზებუნებრვმა არსებამ ასწავლა მათ წინაპრებს თევზის დაჭერა და მომზადება. მითი გვიყვება პირველი თევზაობის შესახებ, რომელიც შეასრულა ზებუნებრვმა არსებამ, ეს ფაქტი, ამავედროულად, ზებუნებრივ აქტზეც მოგვითხრობს, თუ როგორ ასწავლა მან ადამიანებს უკვე თავად გაეკეთებინათ იგივე და გამოკვებათ საკუთარი თავი იგივე გზით.

მაგალითების რაოდენობის გაზრდა მარტივადაა შესაძლებელი. მაგრამ ის მაგალითები, რომლებიც წინ გვიძღვოდა, მონიშნავს, თუ რატომაა არქაული ადამიანისათვის მითი მაღალი ღირებულების მატარებელი, ეს კი იმ დროს, როდესაც ზღაპრები და იგავები არაფერ მსგავსს არ ეხება. მითი ადამიანს ასწავლის, თუ რამ განაპირობა იგი ექზისტენციალურად, და ყველაფერი, რასაც კავშირი აქვს მის არსებობასთან და მის პირად დამოკიდებულებასთან კოსმოსში, მას პირდაპირ ეხება.

<sup>1</sup> უდავოა, რომ ის, რაც კონკრეტულ ტომში „რეალურ ამბადაა“ მიჩნეული, შეიძლება მეზობელ ტომში „მცდარი ამბავის“ აღმნიშვნელი გახდეს. „დემითიზაცია“ ჯერ კიდევ არქაულ კულტურათა ეტაპზე იყო ცნობილი. მნიშვნელოვანი ისაა, რომ „პირველყოფილები“ ყოველთვის გრძნობენ მითთა („ნამდვილ ამბებს“) შორისა და ზღაპრებსა თუ ლეგენდებს („მცდარ ამბებს“) შორის არსებულ განსხვავებებს. Cf appendice I (“Les mythes et les contes de fées”).

მაღე ვნახავთ იმ შედეგებს, რომლებიც მოჰყვა ამგვარ ცალმხრივ კონცეფციას არქაული ადამიანის ქმედების წარმართვისათვის. აქვე აღვნიშნოთ, რომ ისევე, როგორც თანამედროვე ადამიანი მიიჩნევს საკუთარ თავს საკუთარივე ისტორიით განპირობებულად, არქაულ საზოგადოებათა ადამიანიც თავს გარკვეული რაოდენობის მითიური მოვლენების შედეგად შექმნილ არსებად აღიქვამს. არც ერთი და არც მეორე, არ მიიჩნევს საკუთარ თავს „შექმნილ“ არსებად, როგორცაა მაგალითად გარკვეული დანიშნულების მქონე საგნები. თანამედროვე ადამიანი ამგვარ განმარტებას შემოგვთავაზებდა: ის, რაც დღეს ვარ, განპირობებულია იმ გარკვეული რაოდენობის ქმედებიდან გამომდინარე, რომელიც წინ მიძღვოდა, მაგრამ ეს მოვლენები შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ სოფლის მეურნეობამ აღორძინება დაიწყო 8000-9000 წლის წინ და იმიტომ, რომ ურბანული ცივილიზაციები განვითარდნენ ანტიკურ ახლო აღმოსავლეთში, რადგან ალექსანდრე დიდმა დაიპყრო აზია და ავგუსტინემ დაარსა რომის იმპერია, რადგან გალილეომ და ნიუტონმა მოახდინეს სამყაროს კონცეფციის რევოლუცია, დაუდეს რა დასაბამი მეცნიერულ აღმოჩენებს და მოამზადეს რა ინდუსტრიული საზოგადოების ჩასახვის ნიადაგი, ვინაიდან, საფრანგეთის რევოლუციას ჰქონდა ადგილი და ვინაიდან თავისუფლების, დემოკრატიისა და სოციალური სამართლიანობის იდეებმა შეძრა დასავლური სამყარო ნაპოლეონის ბრძოლების შემდეგ, და ა.შ.

ანალოგიურად შეეძლო, ეთქვა „პირველყოფილს“: ისეთად, როგორც დღეს ვარ, მაქცია იმ მთელმა რიგმა მოვლენებმა, რასაც ჩემამდე ჰქონდა ადგილი. უბრალოდ, ამასთან ერთად, მან მაშინვე უნდა დასძინოს შემდეგი: *მითიურ* წარსულში, *საკრალურ* ამბავთან დაკავშირებულ მომხდარ მოვლენებში მონაწილე პიროვნებები, იყვნენ არა ჩვეულებრივი მოკვდავები, არამედ, ზებუნებრივი არსებები. მეტიც, იმ დროს, როდესაც თანამედროვე ადამიანი, რომელიც საკუთარ თავს უნივერსალური ისტორიის შედეგად ჩამოყალიბებულ არსებად მიიჩნევს, მას არ ცნობს მისსავე გლობალურ წიაღში, მხოლოდ არქაული საზოგადოების წარმომადგენელი ადამიანია იძულებული, გაიხსენოს საკუთარი ტომის მითიური ისტორია, თუმცა, საკმაოდ დიდი რაოდენობით, იგი ააქტუალურებს მას პერიოდულად. განსხვავება, რომელიც შეგვიძლია, გამოვავლინოთ არქაულ და თანამედროვე ადამიანს შორის შემდეგია: ქმედებათა გარდაუვალობა, რომელიც თანამედროვე ადამიანისათვის ისტორიის ერთ-ერთი ნიშანია, „პირველყოფილისათვის“ წარმოუდგენელი რამაა.

კონსტანტინოპოლი დაპყრობილ იქნა თურქების მიერ 1453 წელს და ბასტილია 1789 წლის 14 ივლისს დაეცა. ეს მოვლენები უკვე მოხდა და მათი თავიდან არიდება შეუძლებელია. უდავოა, რომ 14 ივლისი, რომელიც საფრანგეთის რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაული გახდა, გვახსენ-

ნებს ბასტილიის ალებას, მაგრამ ისტორიულ მოვლენას, როგორც ასეთს, ადამიანები აღარ ააქტუალურებენ.<sup>1</sup> არქაული ადამიანისთვის კი პირიქით, ის, რაც მოხდა ab origine, მუდამ იმსახურებს გახსენებას რიტუალების მსვლელობისას. ე.ი.მისთვის მთავარი მითების ცოდნაა. არა იმიტომ, რომ მითები მას პასუხს სცემენ სამყაროს წარმოშობასა და საკუთარ არსებობაზე პასუხის გასაცემად, არამედ, პირველ რიგში იმიტომ, რომ მათი გახსენებით, მათი გააქტუალურებით, მას შეუძლია, გაიმეოროს ის, რასაც აკეთებდნენ ღმერთები, გმირები და წინაპრები ab origine. ვიცნობდეთ მითებს, ნიშნავს ამოვხსნათ საიდუმლო, რომელიც იმალება საგანთა თუ მოვლენათა მიღმა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ვიტყობთ არა მხოლოდ იმას, თუ როგორ გაჩნდნენ ნივთები, არამედ, იმასაც, თუ სად ვიპოვოთ და როგორ შევექმნათ ისინი ხელახლა როდესაც გაუჩინარდებიან.

### რას ნიშნავს, „ვიცნობდეთ მითს“

ავსტრალიური საკულტო მითები ხშირად, საკმაოდ მონოტონურად, აღწერენ მითიური წინაპრებისა თუ საკულტო ცხოველების გადაადგილებებს. მოთხრობილია თუ როგორ გაჩნდნენ დედამიწაზე ეს ზებუნებრივი არსებები და წამოიწყეს ხანგრძლივი მოგზაურობები „ოცნების ეპოქაში“ (alcheringa), ანუ მითიურ ხანაში, თუ როგორ ჩერდებოდნენ ზოგჯერ, რათა შეეცვალათ პეიზაჟი ან გაეჩინათ ზოგიერთი ცხოველი თუ მცენარე, ასევე აღწერილია, თუ როგორ გაუჩინარდნენ ისინი საბოლოოდ დედამიწიდან. მაგრამ ეს მითები მხოლოდ ავსტრალიელთა ცხოვრებისთვისაა განკუთვნილი. ამგვარი მითები მათ ასწავლის, თუ როგორ გაიმეორონ ზებუნებრივ შემოქმედთა ქცევები (ჟესტები) და, ამგვარად, უზრუნველყონ ამა თუ იმ მცენარისა და ცხოველის გამრავლება.

ეს მითები დაკავშირებულია ნეოფიტების რელიგიასთან ზიარებასთან. შესაძლებელია, იგი მხოლოდ „საზეიმოდ აღნიშნონ“, ანუ გაააქტუალურონ. „როდესაც ახალგაზრდა მამაკაცები სხვადასხვა ცერემონიათა გავლის შემდეგ ეზიარებიან თავიანთ რელიგიას, მათ წინაშე აღნიშნავენ ცერემონიათა მთელ სერიას, რომლებიც ისევე არიან წარმოდგენილნი, როგორც კულტები, - ზოგიერთი განმასხვავებლობის გათვალისწინებით, - არ ისახავენ მიზნად იმ კულტთა (totem) გაზრდასა და გამრავლებას, რომლესაც საქმე ეხება, არამედ, მათი მიზანია მხოლოდ იმის ჩვენება, თუ როგორ უნდა აღნიშნონ საზეიმოდ ეს კულტები მათ, ვინც აღსაზრდელია, ან ვინც ესესაა აღზარდეს ადამიანურ რანგში“.<sup>2</sup>

როგორც ვხედავთ, მითის მიერ მოთხრობილი „ამბავი“ ეზოტერული

1 Cf. Mythes, rêves et mystères, pp. 27 sq.

2 C. Strehlow, Die Aranda – und Loritja-Stamme, vol. III. P. 1-2; L. Levy-Bruhl, op. cit., p.123. Sur les initiations de puberté en Australie, cf. Naissance mystiques, pp.25.

ნესრიგის „ცოდნას“ შეესაბამება არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის საიდუმლოა და მისი გადაცემა ინიციაციის პროცესში მიმდინარეობს, არამედ, ვინაიდან, ამ ცოდნას შესწევს მაგიურ-რელიგიური ძალა. მართლაც, ვიცოდეთ ზოგიერთი საგანის, ცხოველის, მცენარისა თუ სხვათა წამოშობის შესახებ, ნიშნავს, შეგვეძლოს მათზე მაგიური გავლენის მოხდენა, რომლის წყალობთაც ძალგვიძს მათი მართვა, გამრავლება თუ ჩვენი სურვილისამებრ წარმოება. ერნარდ ნორდენსკიოლდი გვთავაზობს რამოდენიმე მეტყველ მაგალითს კუნას ინდიელების ტომებზე დაყრდნობით. მათი რწმენის მიხედვით, ბედნიერმა მონადირემ იცის ნანადირევის წამოშობის ამბავი. და თუ ადამიანს ძალუძს ზოგიერთი ცხოველის მოშინაურობა, ეს იმიტომ, რომ მაგიის მიმდევრები იცნობენ მათი შექმნის საიდუმლოს. ასევე, მათ ხელენიფებთ გახურებული რკინის ხელში დაჭერა ან შხამიანი გველების ხელით მოხრჩობა. ნორდენსკიოლდი ყვება, თუ როგორ ახერხებს „კუნას ერთ სოფელში, ტიენტიკში, თოთხმეტი წლის ბიჭი ცეცხლში შევარდნას მხოლოდ იმიტომ, რომ გათვითცნობიერებულია ცეცხლის შექმნის მთელ მომხიბვლელობაში. პერეზს ხშირად უნახავს, თუ როგორ ეჭირათ ადამიანებს ხელით გახურებული რკინა და ამავე ხელეებით სრესდნენ გველებს“.<sup>1</sup>

ახლა კი განვიხილოთ ერთ-ერთი რწმენის შესახებ, რომელიც საკმაოდ გავრცელებულია ზოგიერთ კულტურაში. მაგალითად, ტიმორში, როდესაც საქმე ეხება ბრინჯის მარცვლეულის დამუშავებას. ადამიანი, რომელიც კარგად იცნობს ბრინჯთან დაკავშირებულ მითიურ ტრადიციებს, „ღამე შედის პლანტაციის მახლობლად გაშენებულ ქოხში რათა მოყვეს ლეგენდა, რომელიც ხსნის, თუ როგორ გაჩნდა ბრინჯი (წამოშობის მითი)... ისინი, ვინც ამას ასრულებენ, არ არიან მოძღვრები“.<sup>2</sup> მსგავსი ლეგენდის გახსენებით, ბრინჯს, თითქოს, აიძულებენ, გახდეს უფრო სრულყოფილი, უფრო ძლიერი და ნაყოფიერი, როგორც ის გაჩნდა სულ თავდაპირველად. მას კი არ ახსენებენ საკუთარი წამოშობის ისტორიას, რათა „ასწავლონ“, თუ როგორ უნდა მოიქცეს, არამედ, მაგიურად აიძულებენ, დაუბრუნდეს საკუთარ *სანყისს*, ე.ი. გაიმეოროს თავისი სანიმუშო მაგალითი.

კალევალა ყვება, თუ როგორ დაიჭრა მძიმედ მოხუცი ვაინამოინენი მაშინ, როდესაც ის დაკავებული იყო პატარა გემის მშენებლობით. მაშინ, „მან დაიწყო საკუთარი თავის განკურნება ისე, როგორც ეს სჩვეიათ მაგიური ძალის მქონე ექიმბაშებს. მან იმღერა თავისი დაჭრის მიზეზის წამოშობის შესახებ, მაგრამ მან ვერ შეძლო, გაეხსენებინა სიტყვები, რომლებიც ყვებოდნენ ცეცხლის წამოშობაზე, სიტყვები, რომლებსაც ზუსტად შეეძლო განეკურნა ნაჭრილობევი“. საბოლოოდ, მას შემდეგ,

1 E. Nordenskiöld, “Faiseurs de miracles et voyants chez les indiens Cuna” (Revista del instituto de Ethnologia, Tucuman, vol. II, 1982), p. 464 ; Levy-bruhl, op.cit., p.118.

2 A.C.Kruij, cité par Lévy – Bruhl, op. cit., p.119.

რაც დახმარების ძიება მაგიის სხვა მიმდევრებთან დაიწყო, ვაინამოინენმა დაიყვირა: „ახლა მახსოვს, თუ როგორ გაჩნდა რკინა!“ და მან დაიწყო შემდეგი თხზულების მოყოლა: „ჰაერი პირველია დედათა შორის. წყალი არის უფროსი ძმა, ცეცხლი არის უმცროსი და რკინა ამ სამთაგან ყველაზე ახალგაზრდაა. უკკომ, დიდმა შემოქმედმა, დააცალკევა წყალი და მიწა ერთმანეთს და გააჩინა ქვიშა საზღვაო რეგიონებში, მაგრამ რკინა ჯერ არ არსებობდა. მაშინ მან გაახურა ხელის გულები მარცხენა მუხლზე. ასე გაჩნდა სამი ფერია, რომლებიც რკინის დედებად იქცნენ“.<sup>1</sup> აღვნიშნოთ, რომ, ამ მაგალითში, რკინის წარმოშობის მითი მიეკუთვნება კოსმოგონიურ მითს და გარკვეულწილად, მას აგრძელებს კიდევ. ჩვენ აქ ვინიშნავთ მითების სპეციფიურ ნიშნებს და ამის შესწავლას მომდევნო თავებში განვაგრძობთ.

აზრი იმის შესახებ, რომ წამალს მხოლოდ მაშინ შეუძლია მოქმედება, როდესაც ცნობილია მისი წარმოშობის ამბავი, ძალიან გავრცელებული იყო. მოვიშველიოთ კვლავ ერლანდ ნორდენსკიოლდის სიტყვები: „თითოეულ მაგიურ სიმღერას წინ უნდა უძღვოდეს მომაჯადოებელი სიტყვები, რომლებიც ყველა გამოყენებული წამლის წარმოშობაზე, სხვაგვარად, იგი არ იმოქმედებს; ან იმისათვის, რომ წამლის სიმღერამ მოახდინოს თავისი ეფექტი, ცნობილი უნდა იყოს მცენარის სახეობა, უნდა ვიცოდეთ, თუ როგორ გააჩინა იგი პირველმა ქალმა“.<sup>2</sup> ნა-ხის რიტუალურ სიმღერებში, რომელიც გამოაქვეყნა ჟ. ფ. როკიმ, მკაფიოდაა ნათქვამი: „თუ არ ვიცით წამლის წარმოშობის ამბავი, იგი არ უნდა გამოვიყენოთ“.<sup>3</sup> ან თუკი არაა ცნობილი მისი წარმოშობის ამბავი, მაშინ არც უნდა ვილაპარაკოთ მასზე“.<sup>4</sup>

შემდეგ თავებში ვნახავთ, როგორც ეს ვაინამოინენის მითის შემთხვევაში მოხდა და რომელიც ზემოთ ვახსენეთ, თუ როგორაა წამლების წარმოშობა მჭიდროდ დაკავშირებული მსოფლიოს წარმოშობაზე მსჯელობისას. აქვე მივუთითოთ, რომ საქმე ეხება ზოგად კონცეფციას, რომელიც შემდეგნაირად შეგვიძლია, ჩამოვაცალიბოთ: არ შეგვიძლია რიტუალის ჩატარება იმ შემთხვევაში, თუ არ ვიცნობთ მისი „წარმოშობის“ ამბავს, ე.ი. მითი, რომელიც ყველა, როგორ იქნა ის ჩატარებული თავდაპირველად. დამკრძალავი ცერემონიის მსვლელობისას, შამაანი ნა-ხი, დტო-მბა, მღერის:

ახლა ჩვენ გავაცილებთ გარდაცვლილს და  
ისევ გამოვცდით ტკივილს,

1 Aili Kolehmainen Johnson, Kalevala. A Prose translation from the Finnish(Hancock, Michigan, 1950), pp. 53 sq.

2 E. Nordenskiöld, “La conception de l’ame chez les indiens Cuna de l’Isthme de Panama” (Journal des Americanistes, N.S., t 24, 1932, pp. 5-30), p. 14.

3 J.F. Rock, The Na-khi Naga Cult and related ceremonies (Rome, 1952), vol. II, p. 474.

4 Ibid., vol. II, p.487.



ჩვენ კვალვ ვიცეკვებთ და დავამარცხებთ დემონებს.  
თუ არ ვიცით, საიდან მომდინარეობს ცეკვა,  
მასზე არ უნდა ვილაპარაკოთ.  
თუ არაფერი გაგვიგია ცეკვის წამორშობაზე,  
არც შეგვიძლია ვიცეკვოთ.<sup>1</sup>

ეს უცნაურად გვახსენებს პრეუსსში უიტოტოს განცხადებებს: „აქაა ჩვენი მამა-პაპების თქმანი (მითები), მათი საკუთარი სიტყვები. ამ სიტყვების წყალობით, ჩვენ ვცეკვავთ და ცეკვა არ იარსებებდა, ჩვენ რომ ისინი არ გადმოგვცემოდა“.<sup>2</sup>

შემთხვევათა უმრავლესობაში საკმარისი არაა მხოლოდ წარმოშობის მითების ცოდნა, იგი ზეპირად უნდა იქნას წარმოთქმული; სახალხოოდ უნდა იქნას წარმოთქმული მისი მეცნიერება, უნდა ვაჩვენოთ ეს უკანასკნელი. თუმცა, ეს ყველაფერი არაა: წარმოშობის მითის ზეპირად წარმოთქმისას ან აღნიშვნისას, შეისუნთქავენ იმ საკრალურ ატმოსფეროს რომელშიც ადგილი ჰქონდა ამ ჯადოსნურ მოვლენებს. წარმოშობის მითების დრო არის „ძლიერი“ დრო, ვინაიდან ის გადაქცეულ იქნა ზებუნებრივ არსებათა შემოქმედებითი და აქტიური ყოფნით (გამოცხადებით). იმ მითების ზეპირად წარმოთქმით, რომელშიც აღწევს ეს ჯადოსნური დრო, და ამგვარად, გარკვეულწილად, ვხდებით კიდევ აღწერილი მოვლენების „თანამედროვენი“, ვიზიარებთ ღმერთებისა თუ გმირების ყოფნას. შესაჯამებლად, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ მითების „გაცოცხლებით“ გამოვდივართ პროფანული, ქრონოლოგიური დროიდან და ვაღწევთ სრულიად განსხვავებულ „საკრალურ“ დროში, რომელიც ერთდროულად პირველყოფილიცაა და ასევე უსასრულოდ მოპოვებადიც (დაბრუნებადიც). მითის ეს ფუნქცია, რომელზეც ყურადღება გავამახვილეთ „მარადიული დაბრუნების მითში“, უკეთ გამოჩნდება მომდევნო თავებში გაკეთებული ანალიზების დროს.

## მითების სტრუქტურა და ფუნქცია

წინა შენიშვნები სავსებით საკმარისია მითის ზოგიერთ თავისებურებაზე სასაუბროდ. ზოგადად, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ მითი, ისეთი, როგორსაც იცნობდნენ არქაულ საზოგადოებაში, 1. წარმოადგენს ზებუნებრივ არსებათა აქტების ამბავს; 2. რომ ეს ამბავი მიჩნეულია საკრალურ (რადგან იგი ზებუნებრივ არსებათა შემოქმედების ნაყოფია) და აბსოლუტურ *ჭეშმარიტებად*, (რადგან ის რეალობას მიესადაგება); 3. ვინაიდან მითი ყოველთვის რალაცის თუ ვილაცის „წარმოშობაზე“ მოგ-

1 J.F.Rock, Zhi-ma funeral ceremony of the Na-khi (Vienne Modling, 1955), p. 87.

2 K. Th Preuss, Religion und Mythologie der Uitoto, I-II (Gottingen, 1921-1923), p.625.

ვითხრობს, გვიხსნის, თუ როგორ დაიწყო ამა თუ იმ მოვლენამ და საგანმა არსებობა, როგორ გაჩნდა დამოკიდებულება, ინსტიტუცია და მუშაობის წესი; სწორედ ესაა მიზეზი, რის გამოც მითები წარმოადგენს ყოველგვარი ადამიანური ქმედების ნიშანდობლივ პარადიგმას; 4. თუკი ვიცით მითი, ე.ი. ვიცით „საგანთა“ წარმოშობის შესახებაც, რაც საშუალებას გვაძლევს, ვფლობდეთ მათ და ვმართოდ ისინი სურვილისამებრ; საქმე ეხება არა „გარეგან“ და „აბსტრაქტულ“ ცოდნას, არამედ, ცოდნას, რომელითაც „ვცხოვრობთ“ რიტუალურად, საქმე ეხება მითის ცერემონიულ თხრობას თუ რიტუალის შესრულებას, რომელსაც თავად ეს მითი ემსახურება; 5. ასე თუ ისე, მითს „ვაცოცხლებთ“ იმ გაგებით, რომ შეპყრობილი ვართ საკრალური ძალით, მომხიბვლელი ამბებით, რომელთაც ვიხსენებთ და ვააქტუალურებთ.

„ვაცოცხლოთ“ მითები, გულისხმობს „რელიგიურ“ გამოცდილება-საც, ვინაიდან, ის გამოირჩევა ყოველდღიური ცხოვრებისა თუ ჩვევებისაგან. ამ უკანასკნელის „რელიგიურობა“ განპირობებულია ჯადოსნურ, შთამბეჭდავ და ნიშნადობლივ ამბავთა გააქტუალურებით, კვლავ ვხდებით მოწმეები ზებუნებრივ არსებათა შემოქმედებითი პროცესებისა; ვწყვეტთ ყოველდღიურ ცხოვრებას და ვეშვებით ტრანსფიგურალურ, გასხივოსნებულ ხანაში, რომელშიც ცოცხლებიან ზებუნებრივი არსებები. საქმე ეხება არა მითიური მოვლენების გახსენებას, არამედ, მათ განახლებას. ჩვენ გაცოცხლებული მითიური პერსონაჟების თანამედროვენი ვხდებით; რაც ასევე გულისხმობს, რომ ჩვენ არ მივყვებით ცხოვრების ქრონოლოგიურ რიტმს, არამედ ცხოვრებას ვინყვებთ პირველყოფილ დროში, იმ ეპოქაში, როდესაც ამა თუ იმ მოვლენას პირველად ჰქონდა ადგილი. სწორედ ამ მიზეზიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვილაპარაკოთ მითის „ძლიერ“ დროზე: ესაა სასწაულმოქმედი, „საკრალური“ დრო, როდესაც რაღაც ახალი, ძლიერი და ნიშანდობლივი დაფიქსირდა. დავბრუნდეთ ამ დროში, გავიმეოროთ ეს დრო რაც შეიძლება მალე, კვლავ დავესწროთ ღვთაებრივ შემოქმედებას, შევხვდეთ ზებუნებრივ არსებებს და თავიდან შევისწავლოთ მათი შემოქმედებითი გაკვეთილი, არის სურვილი, რომელიც ისე იკითხება ყველანაირი მითის რიტუალური განახლების დროს, როგორც ჭვირნიშანზე. მოკლედ, მითები ამჟღავნებენ, რომ მსოფლიოს, ადამიანსა და ცხოვრებას აქვს ერთი საერთო დასაბამი თუ ზებუნებრივი ისტორია, და რომ ეს ისტორია ნიშნადობლივი, ძვირფასი და სანიმუშოა.

შეუძლებელი იქნებოდა იმაზე უკეთ გამოგვეტანა დასკვნა, ვიდრე ამის საშუალებას ბრონისლავ მალინოვსკის კლასიკური პასაჟების მოხმობა მოგვცემდა, სადაც მან სცადა მითის ბუნებისა და ფუნქციის დადგენა პირველყოფილ საზოგადოებებში: „საყურადღებოა რა ის, რაც მას ცოცხალი აქვს, მითი არის არა ახსნა, რომელიც გამიზნულია მეცნიერული ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, არამედ, თხზულება, რო-

მელიც აცოცხლებს თავდაპირველ რეალობას და რომელიც პასუხს სცემს ღრმა რელიგიურ საჭიროებას, მორალურ შეგრძნებებს, საზოგადოებრივ წესრიგს, კანონებს და ასევე პრაქტიკულ მოთხოვნებს. პირველყოფილ საზოგადოებებში მითის მთავარი ფუნქცია იყო შემდეგი: ის გადმოსცემს, ზრდის და კოდიფიცირებას უკეთებს რწმენებს; ის ინარჩუნებს მორალურ პრინციპებს და მათ გამყარებას; ის გარანტირებულად ახანგრძლივებს რიტუალურ ცერემონიებს და პრაქტიკულ წესებს სთავაზობს ადამიანს. ასე რომ, მითი არის ადამიანთა ცივილიზაციისათვის ძირითადი ელემენტი; სცილდება რა ამაო ზღაპრულ ფაქტებს, პირიქით, ის ცოცხალი რეალობაა, რომელსაც გამუდმებით ვუბრუნდებით; ის არაა მხოლოდ აბსტრაქტული თეორია ან სახეთა მრავალფეროვანი არჩევანი, არამედ ის არის პირველყოფილ საზოგადოებათა და პრაქტიკული სიბრძნის ნამდვილი კოდიფიკაცია (...). ყველა ეს თხზულება ადგილობრივი ტომებისათვის სამყაროს დასაბამის ამსახველი რეალობის გამომხატულებაა, უფრო დიდი და მდიდარი, ვიდრე დღევანდელი გაგებით. მათთვის მითი არის კაცობრიობის ბედის, ცხოვრების განმსაზღვრელი. ცოდნა, რომელიც ადამიანს გააჩნია ამ რეალობისა, მას კარნახობს რიტუალების მნიშვნელობას და მორალური წესრიგის პატივიცემას, ასევე, ფორმას, რომლის მიხედვითაც მან ისინი უნდა შეასრულოს.

თარგმნა **ხატია ცირგაიამ**

მირჩა ელიადე

*მითის ასპექტები, თავი პირველი, მითების სტრუქტურა,*  
გამომცემლობა გალიმარი, 1985, გვ. 11-34.

Mircea Eliade

*Aspects du mythe, chapitre premier, la structure des mythes,*  
Ed. Gallimard, 1985, pp. 11-34.

**Marcello Potocco**  
(Slovenia)

## **Parental and Paternal Love in Contemporary Slovene Poetry**

### **1. Introduction**

In poetry, the topic of maternal and paternal love is present in two opposing modes, depending on the position of the lyrical narrator in the parent-child relationship: the child can be the object of a parent's narrative or, conversely, a subject and a narrator speaking about his or her relationship with the parents. In my paper, I will limit my analysis to the former, as I would like to focus on close readings of selected examples from Slovenian poetry. In preparing the paper, I was surprised by the scarcity of research on the theme of motherhood in Slovenian poetry, although this 'occasionality' may not be accidental. It is probably due to the lack of female authors in the Slovenian literary canon (cf. Novak-Popov 2008),<sup>1</sup> but I think a more important reason for the lack of research on the topic lies elsewhere. In his article on fatherhood in American confessional poetry, Brian Brodhead Glasser echoes Thomas Travisano's objection that "the confessional paradigm has biased and continues to bias artistic evaluation" (Glaser 2009: 26). As we shall see, both the theme of motherhood and the theme of fatherhood are predominantly found within the confessional paradigm. The theme of motherhood in poetry, therefore, seemed less interesting, both because it was used extensively in the poetry of 'non-canonical' women writers, and because it was also associated with confessional literature, which could be prejudged as being of inferior artistic value.

The understanding of the confessional paradigm in my analysis of parenthood is broader than Glasser's definition, which mainly follows the style of American confessional poetry of the 1950s, especially Robert Lowell, Sylvia Plath and W. D. Snodgrass. In my reading, confessionalism is defined by a strong experiential and/or emotional impulse of the author in the lyrical narrative. Thus, my understanding is in line with definitions of American confessionalist poetry as poetry of 'private experience' (Of "A Brief Guide to Confessional Poetry | Academy of American Poets" 2015), using an intimate subject with its main characteristic "the reduction of the distance between the persona and the author" (Hobsbaum 2014). However, I do not interpret the term as a historical demarcation.

---

<sup>1</sup> At the time being, only three poetesses of the second half of the 20<sup>th</sup> century, namely, Svetlana Makarovič, Maja Vidmar and Maja Haderlap are prescribed as obligatory reading in the secondary school (Of "Slovenščina: Predmetni Izpitni Katalog Za Splošno Maturó" 2017). But it has to be added that the current curriculum has been prepared in 2008 and should be changed in the near future.

---

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული 480-ე ფონდის<sup>3</sup> მასალებიდან ირკვევა, რომ კავკასიის საცენზურო კომიტეტი დასაწყისში არცთუ დიდ აქტიურობას იჩენდა; მისი ამოქმედება შედარებით მოგვიანებით დაიწყო, რაც გამოიწვია გამოცემათა გაფართოებამ, მათში პოლიტიკური, სოციალური და ეროვნული პრობლემების გაშუქებამ. ამასთან, საფიქრებელია, რომ დასაწყისში კომიტეტის სამოქმედო სპეციფიკაც ჯერ არ იყო სრულყოფილად დახვეწილი. კავკასიის სასწავლო ოლქისა და შემდგომ განათლების სამინისტროს დაქვემდებარებიდან შინაგან საქმეთა სამინისტროსა (1863 წ.) და შემდეგ (1867 წ.) უშუალოდ კავკასიის მთავარმართებლის დაქვემდებარებაში მისი გადასვლა ცხადყოფს, რომ მან განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობა შეიძინა.

70-იანი წლების შუა ხანებიდან უფრო და უფრო ფართოვდება კომიტეტის სამოქმედო ასპარეზი, – თუ ადრე სამი ცენზორი და თავმ-

1 ქართული თეატრი შეიქმნა 1851 წელს, ხოლო „ქართული დრამატული საზოგადოება – 1879 წელს.

2 ქართული ენა და საქართველოს ისტორია სწავლება ტფილისის კლასიკურ გიმნაზიაში, გორის საოსტატო სემინარიაში, ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში, 1879 წელს გახსნილ ქართულ „სათავადაზნაურო სკოლაში“ და სხვ.

3 საქართველოს ეროვნული არქივის 480-ე ფონდში დაცულია კავკასიის საცენზურო კომიტეტის მასალები დღიდან მისი დაარსებისა მის ლიკვიდაციამდე.

ჯდომარე უძღვებოდნენ საქმეებს, შემდგომ შტატები იზრდება და ემატება სტავროპოლის, თერგისა და ყუბანის გუბერნიების საგამომცემლო საქმიანობისადმი კონტროლიც.

კომიტეტის საარქივო მასალების გაცნობიდან ცხადი ხდება, რომ დასაწყისში ეს ორგანო ძირითადად ამა თუ იმ გამოცემის ნების დართვითა და საზღვარგარეთიდან შემოტანილი მასალების კონტროლით არის დაკავებული. კავკასიის საცენზურო კომიტეტში ყოველწლიურად დგება ჟურნალი, რომელშიც ზუსტადაა აღრიცხული განსახილველად შემოსული ნაბეჭდი თუ ხელნაწერი ნივთებისა და ნებისმიერი სახის გამოცემების სია. სიას თან ახლავს ამონაწერი, როდის და რომელი ცენზორების თანდასწრებით მოხდა საკითხის განხილვა, ასევე ახლავს რეზოლუციები, რომლებიც იწყება შემდეგი ფრაზებით: „Уведомить“, „Объявить“, „Хранить удержанный экземпляр“, „Книги видать“, „возвратить“ და ა.შ. ყველაფერი ბრძანებით კილოში.

მომავალი რედაქტორები კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიისგან იღებენ ნებართვას ნებისმიერი სახის პერიოდული ორგანოს გამოცემაზე, პირობას დებენ, რომ შეასრულებენ ბეჭდვითი სიტყვის ყველა კანონს; თხოვნასთან ერთად ისინი წარმოადგენენ პერიოდული ორგანოს (ჟურნალის ან გაზეთის) პროგრამას (იხ. საქმე 480-1-61, 480-1-110). თხოვნა, პროგრამა და ასევე სხვა საბუთები შეაქვთ მეფისნაცვლის კანცელარიაში. აღსანიშნავია, რომ ყოველ თხოვნას პროგრამასთან ერთად ახლავს რედაქტორის პირადობის დოკუმენტები (ატესტატი, პირადობის ან წარმომავლობის მოწმობა) და ხშირად ცნობა იმის შესახებ, რომ პიროვნებას (მომავალ რედაქტორს) გაკეთებული აქვს ჩუტყვავილის ვაქცინაცია. კანცელარია დოკუმენტებს აგზავნის საცენზურო კომიტეტში ასევე თხოვნით, რომელიც ბოლოვდება კანცელარიის უფროსის შემდეგი სიტყვებით, რომ ყველაფერი შემონმდეს ცენზურის წესდების მიხედვით და მოხსენდეს მის უდიდებულესობას. ცენზორის ჩანაწერების საფუძველზე ნებართვას, ან თხოვნაზე უარყოფით პასუხს, ასევე კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამართველოს კანცელარია იძლევა. მისი ბიუროკრატიული აპარატი ან ნებართვას ან უარს უგზავნის კვლავ კავკასიის საცენზურო კომიტეტს. მასში საუბარია, როდის წარდგა საქმე საცენზურო კომიტეტში და რის საფუძველზე მიიღო „დიდებული კნიაზის, მეფისნაცვლის“ ნებართვა ან უარი. ყველა დოკუმენტში ჩანს გადამეტებული პატივისცემის გამოხატვა მეფისნაცვლისა და სხვა მაღალი თანამდებობის პირებისადმი; აგრეთვე ნებართვის მიღების შემთხვევაში აუცილებლად მიეთითება რედაქტორს, რომ ზუსტად იმოქმედოს ცენზურის წესდების მიხედვით. კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის პასუხთან ერთად ზემოთჩამოვლილ დოკუმენტებს კავკასიის საცენზურო კომიტეტი უგზავნის ადრესატს, რედაქტორს. დოკუმენტებს თან ახლავს საცენზურო კომიტეტის თანამშრომლის წერილი, რომ საბუთებს პირადად

აბარებს მას, რაზედაც ადრესატი ხელს აწერს და ამონმებს, რომ ზემოთ-ჩამოთვლილი მიიღო (იხ. საქმე 480-1-10). სახეზეა ბიუროკრატიული აპარატის საქმიანობის უაღრესად მოქნილი სისტემა, რომელიც თავიდან ბოლომდე აკონტროლებს არა მარტო ბეჭდვით საქმეს, არამედ ადამიანებსაც, რედაქტორებსაც. ცენზორის გრიფით „საიდუმლო“ წერილებში თავიდან ბოლომდე შესწავლილია, გაშიფრულია რედაქტორის პიროვნება, როგორ სწავლობდა ის სასწავლებელში, რა ქულები ჰქონდა მიღებული სხვადასხვა საგანში, რამდენად „გონებაგახსნილი“ და, რაც მთავარია, კანონმორჩილი იყო (იხ. საქმე 480-1-131). ცენზორთა საიდუმლო ანალიზებში ხშირად გაკრიტიკებულია პერიოდული ორგანოს მიმართულება, ეჭვქვეშ არის დაყენებული მისი სარგებლიანობა. ცენზორი ობიექტურად მიუთითებს ხოლმე, რომ პროგრამა საცენზურო დებულებას არ ეწინააღმდეგება, მაგრამ რედაქტორს არა აქვს მითითებული, რა იგულისხმება სიტყვებში – „და სხვა სტატიები“. საცენზურო კომიტეტი ითხოვს რედაქტორისგან ყველა დეტალის გახსნას, რომ „სხვა სტატიებში“ რაიმე არ გაიპაროს იმპერიისთვის არასასურველი, ხოლო მეფისნაცვლის კანცელარიას იმასაც კი ატყობინებს, რომ შენიშვნების გაცნობის შემდეგ ესა და ეს რედაქტორი ნაწყენი დარჩენილა (იხ. საქმე 480-1-111); რედაქტორები ხშირად ითხოვენ დაწუნებული პროგრამის შეცვლაზე ნებართვას. მათი თხოვნა ხელახლა გადის იმ ბიუროკრატიულ გრძელ გზას, რომელიც ზემოთ აღვწერეთ (იხ. საქმე 480-1-111). მათ თხოვნას თან ახლავს ახალი პროგრამებიც, რომლებშიც გათვალისწინებულია ცენზურის მიერ მითითებული შენიშვნები.

უაღრესი სიფრთხილის მიუხედავად, ცენზორებს მაინც მოსდით შეცდომები. მათ სთხოვენ ახსნა-განმარტებას, თუ როგორ მოხდა მსგავსი შინაარსის წერილი გაზეთში, როგორ მიიღო ნებართვა. „კავკასიის საცენზურო კომიტეტის“ უფროსს მეფისნაცვლის კანცელარიის მთავარი სამართველოს უფროსის წინაშე უხდება ცენზორის დაცვა, რომ ეს მას სპეციალურად არ გაუკეთებია და თანაც საცენზურო წესდება არ ყოფილა დარღვეული. მის პასუხს თან ერთვის ცენზორის ახსნა-განმარტებითი წერილებიც (იხ. საქმე 480-1-112).

ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა ერთ-ერთი რედაქტორობის მსურველის, ვარძელოვის, მეფისნაცვლის კანცელარიაში შეტანილი თხოვნა ბაქოში სომხურ ენაზე ყოველთვიური ჟურნალის – „Аршалуишь“ / „ცისკარი“ / – გამოცემის თაობაზე (იხ. საქმე 480-1-131, საქმე 63). მეფისნაცვლის კანცელარიამ დაავალა საცენზურო კომიტეტს, განეხილა ვარძელოვის თხოვნა, ჟურნალის პროგრამა და მოახსენებინა ამის შესახებ ბატონ სტატსკი-სეკრეტარ ბარონ ნიკოლაისთვის.

საქმეში დევს ცენზორის დასკვნა, რომელიც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ჩვენთვის იმპერიის მიზნების წარმოსაჩენად. დასკვნაში

ყურადღება გამახვილებულია საკითხზე, რომ ბაქოს მხარის კეთილდღეობა დამოკიდებულია რუსეთთან მის შეკავშირებაზე, ამ მხარეში „რუსული ელემენტის“ გავრცელებაზე, მხარის განათლებაზე რუსული ენის დამკვიდრებით. ცენზორის თქმით, ეს ჭეშმარიტება უკვე ცნობილია არა მხოლოდ მაღალ, არამედ საშუალო ფენის დიდი ნაწილისათვის, რომელიც არა მხოლოდ ლაპარაკობს, არამედ წერს კიდევ რუსულად; ადგილობრივთა უფრო მეტად განვითარებისათვის საჭიროა ჟურნალები და გაზეთები ადგილობრივ ენებზეც, მაგრამ მკითხველთა და პრესის გამომწერთა რაოდენობა პროვინციებში დიდი არ არის, რაც ნათლად ჩანს ნაუკითხავი მასალებიდან (გაუყიდავი ჟურნალ-გაზეთებიდან). ცენზორი აღნიშნავს, რომ ამ მხარეში (კერძოდ, ბაქოში) ყველაზე დიდი მოთხოვნაა გაზეთ „მშაკზე“ (500 ცალი), რამაც ბიძგი მისცა მცხოვრებლებს სომხურ ენაზე მსგავსი ადგილობრივი ჟურნალის გამოცემისა. ცენზორის აზრით, ეს ჟურნალი „რუსულ ელემენტს“ შეიტანს მხარეში. მისთვის გასაგებია, რომ ადგილობრივი პერიოდული გამოცემების გაზრდა მაინცდამაინც სახარბიელო არ არის (**იმპერიისთვის** – კომენტარი ჩვენია), ამიტომ მათ (პერიოდულმა გამოცემებმა) თავიანთი ხარჯით უნდა იარსებონ, მაგრამ სასურველია, რომ ამ გამოცემათა რედაქტორები იყვნენ მეტნაკლებად საფუძვლიანად განვითარებულნი და კეთილგანწყობილი ადამიანები (რა თქმა უნდა, **იმპერიისადმი** – კომენტარი ჩვენია). ამიერკავკასიის მხარეებში, სადაც ნაკლებად განვითარებულია რუსული ენა, რასაკვირველია, მოიძებნება ადგილობრივი ჟურნალების მკითხველები, მაგრამ ჩვენი მიზანი რუსული ენის გავრცელებაა, – წერს ცენზორი (და არა ადგილობრივთა ხელშეწყობა – კომენტარი ჩვენია). ამ მხრივ (რუსული ენის ათვისების თვალსაზრისით – კომენტარი ჩვენია) ადგილობრივები ვითარდებიან, მაგრამ მაინც გონებრივად ჩამორჩენილნი არიან; ეს ჟურნალიც სწორედ მათი განვითარებისთვის იქმნება. ცენზორის აზრით, პროვინციებში, განათლების დაბალი მაჩვენებლის გამო, ადგილობრივ გამოცემებს უფრო მეტი ზიანის მოტანა შეუძლია, ვიდრე თბილისში, რადგან აქაურ (თბილისელ) რედაქტორთა გონებრივი და მორალური ღირსებები გაცილებით მეტია. მისივე თქმით, ცენზორი ადგილობრივ გამოცემათა მიმართ უნდა იყოს უფრო მეტად ყურადღებიანი და მკაცრი.

ამ ზოგად ანალიზს, რომელიც მკაფიოდ წარმოაჩენს იმპერიის მიზნებს ადგილობრივ გამოცემებთან მიმართებაში, მოსდევს რედაქტორის პიროვნებისა და მისი საქმიანობის დანვრილებითი ანალიზი. ცენზორი წერს:

„ვარძელოვის თხოვნაზე ვიტყვით შემდეგს:

1) „ვარძელოვის ფორმულიარული სიიდან ჩანს, რომ ის ძალიან ახალგაზრდაა. მისი განათლება შემოიფარგლება სასულიერო კურსისა და მის შემდგომ – კლასიკური გიმნაზიის დამთავრებით (1869 წელს). ნოვოროსიისკის უნივერსიტეტიდან ის გამოირიცხა სწავლის საფასურის

გადაუხდელობის გამო. მისი ასაკი და არასაკმარისი განათლება არ გვაძლევს გარანტიას, რომ ის ჟურნალის კარგი რედაქტორი იქნება. ნდობას არ იმსახურებს მისი კეთილგანწყობაც. სომხურ სასწავლებელში სწავლების დროს ის არ გამოიჩინა კეთილი მიმართულებით. აქედან გამომდინარე, საცენზურო კომიტეტს მისი დანიშვნა ჟურნალის რედაქტორად მიზანშეწონილად არ მიაჩნია, ამიტომ ავალებს ბაქოს გუბერნატორს, ამ თანამდებობისათვის შეარჩიოს უფრო შესაფერისი კანდიდატურა, ვიდრე ვარძელოვია.

2) ჟურნალის გამოსვლის შემთხვევაში, სტატიები უნდა გამოიგზავნოს თბილისში საცენზუროდ.

3) თუ აირჩევა რედაქტორი და გაზეთი გამოვა, ყველა სტატია გაზეთის გამოსვლამდე სამი დღით ადრე უნდა იყოს საცენზურო კომიტეტში. სტატიების გადასინჯვის შემდეგ დადგენილი ტექსტები უკან გადაიგზავნება. დაბეჭდვის შემდეგ ყველა წიგნი (ნომერი) უნდა წარმოადგინონ საცენზურო კომიტეტში, რათა ზუსტად შემოწმდეს ეგზემპლიართა (ცალების) რაოდენობა და ამის შემდეგ მიეცეს გამოცემის ნებართვა. ვალდებულება იმისა, რომ ჟურნალი არ გამოიცემა ნებართვის მიღებამდე, ეკისრება გუბერნატორს (მას ევალება ტიპოგრაფიის /სტამბის/ კონტროლი მე-100 პუნქტის მე-3 დანართის – გვ. 5, ტ. XIV – საფუძველზე).

თუ გუბერნატორი აუხსნის გამომცემელს ამ მკაცრ მოთხოვნებს, მხოლოდ მაშინ შეეძლება კომიტეტს, დაეთანხმოს ბაქოს გუბერნატორს თხოვნაზე. მას თავის მხრივ შეუძლია ნდობით აღჭურვილ პირს ანდოს ასლი საცენზურო კომიტეტში გასაგზავნად, მასვე მიეცემა თანხმობის ბილეთი წიგნის გამოსაცემად. კომიტეტის გადაწყვეტილებით ჟურნალის ცენზურის გავლა ბაქოში არ შეიძლება, რადგან რუსულენოვან გაზეთს – „ბაქოს ფურცელი“ – ეტყობა გუბერნიის არასაკმარისი ცენზურა; მეორეც, უფრო ძნელია, ყურადღება მიაქციო ისეთ ჟურნალს, რომლის ენა არ ესმის არც გუბერნატორს და არც მის ქვეშევრდომთა დიდ ნაწილს.

ვარძელაძის თხოვნაში მითითებულია, რომ სურთ ჟურნალის 2000 ეგზემპლიარად გამოცემა, რაც, ცენზორის თქმით, უაზრობაა, რადგან გამოცემის გაყიდვა კანონით ნებადართულია განსაზღვრულ ვადებში. რაც შეეხება პროგრამას, მასში არ არის არანაირი წინააღმდეგობა საცენზურო კანონთან“ (თარგმანი ჩვენია).

როგორც ვხედავთ, საცენზურო კომიტეტი „პროვინციული“ გაზეთის რედაქტორებს ძალიან მკაცრ შეზღუდვებს უწესებს. რაც უფრო მოშორებულია მხარე ცენტრისგან, ცენზურის შეზღუდვა მით უფრო მკაცრდება. სხვა მოთხოვნებია იმპერიის ცენტრალურ ქალაქებში – მოსკოვსა და პეტერბურგში – და სხვა მოთხოვნებია შემოერთებულ პროვინციებში. რადგან თბილისი შემოერთებული პროვინციების – ამიერკავკასიის – ცენტრია, მას უპირატესობა აქვს ბაქოსთან შედარებით (ეს უპირატესობა გამოიხატება იმაში, რომ ცენზურა თბილისში უკეთ აკონ-



ტროლებს პერიოდულ გამოცემებს). პრესის ბიუროკრატიული სისტემა პროვინციაში (კავკასიაში) შემდეგნაირად გამოიყურება: რედაქტორი თხოვნით მიმართავს გუბერნატორს, გუბერნატორი მის თხოვნას ამატებს თავის თხოვნას და აცნობებს მეფისნაცვლის კანცელარიას. ეს უკანასკნელი ყველა დოკუმენტს უგზავნის პროვინციის (კავკასიის) საცენზურო კომიტეტს. საცენზურო კომიტეტი სწავლობს დოკუმენტებს, რამდენად ექვემდებარება ისინი ცენზურის მოთხოვნებს და პასუხს ცენზორის დასკვნით უგზავნის მეფისნაცვლის კანცელარიას, მეფისნაცვლის კანცელარია ატყობინებს გუბერნატორს და ა.შ.

გარდა ბიუროკრატიისა, საცენზურო კომიტეტი ისეთ მოთხოვნებს უყენებს გამომცემელს, რომ მათი შესრულება თითქმის შეუძლებელია: ყველა მასალა სამი დღით ადრე უნდა იყოს საცენზურო კომიტეტში (თბილისში) პროვინციიდან ჩამოტანილი გუბერნატორის ნდობით აღჭურვილი პირის მიერ, მან უნდა მიიღოს თანხმობის ბილეთი, სასწრაფოდ ჩაიტანოს გადაკეთებული მასალა პროვინციაში, ამ კერძო შემთხვევაში – ბაქოში, იქ დაიბეჭდოს და შემდეგ ყველა ეგზემპლიარი ისევ უნდა ჩამოიტანონ თბილისში რაოდენობის დასადასტურებლად და ეგზემპლიართა ზუსტ თანხვედრაში დასარწმუნებლად, შემდეგ კი უკან ნაიღონ ბაქოში გასაყიდად. და ეს ყველაფერი უნდა განხორციელდეს მე-19 საუკუნის ტრანსპორტის საშუალებით.

იმპერია არ მალავს, რომ უპირატესობა რუსულენოვან პრესას უნდა მიენიჭოს და საერთოდ პრესა უნდა არსებობდეს იმისთვის, რომ დაპყრობილ ხალხებში „რუსული ელემენტი“ შეიტანოს. რუსული პრესა ადვილად საკონტროლოცაა, ადგილობრივ პრესაში კი კონტროლის ბარიერს სწორედ ენა ქმნის. ამიტომ, თუ დასაშვებია რუსულენოვანი ჟურნალის – „ბაქოს ფურცელი“ – ცენზურის გავლა ბაქოში, სომხურენოვანი გაზეთი აუცილებლად თბილისში უნდა შემონმდეს.

ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტსაც, რომ ცენზორი დანვრილებით სწავლობს რედაქტორის ვინაობას როგორც მისი საბუთების მეშვეობით, ასევე – სხვა გზებითაც. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ვარძილოვის ფორმულიარში არ იქნებოდა მითითებული, ის კეთილსაიმედო იყო თუ არა. ადვილად მისახვედრია, რომ „კეთილსაიმედობა“ ნიშნავს მორჩილებას, რომელსაც, გონიერებასთან ერთად, იჩენს თბილისში გამოსული პრესის რედაქტორთა უმრავლესობა. „კეთილსაიმედობას“ ასაკი და გამოცდილებაც განსაზღვრავს.

მასალათა გაცნობა იმასაც გვიჩვენებს, რომ, გარდა ბეჭდური მასალის გამოცემის ნებართვებისა, საკმაოდ მძიმე სამუშაოს ავალებენ საცენზურო კომიტეტს. ძალიან აქტიურობენ საბაჟოები, კომიტეტს უგზავნიან საზღვარგარეთიდან შემოსულ ლიტერატურასა და მის სიას; აგრეთვე – სურათებს, გეოგრაფიულ რუკებს, ხატებს, ნოტების ფურცლებს და ა.შ. ითხოვენ ამ ლიტერატურის შემონმებას, რომელიც მრავალრი-

ცხოვანია და რომლის რაოდენობა შემდგომ და შემდგომ უფრო იზრდება. შემომნება მკაცრ კონტროლს ექვემდებარება, ვერცერთი ადრესატი ვერ იღებს გზავნილს საცენზურო კომიტეტის ნებართვის გარეშე, საბაჟო პუნქტებიდან ასეთი მასალის (ბეჭდურის) გადაგზავნა ხდება პირდაპირ საცენზურო კომიტეტში, კონტროლის გავლის შემდეგ კი ეგზავნებათ ადრესატებს, რომლებიც ხელმოწერით ადასტურებენ მიღებას. იმპერია აკონტროლებს არა მარტო იმას, თუ რა ლიტერატურა შემოდის ქვეყანაში, არამედ იმასაც, თუ სად იგზავნება და ვინ იბარებს.

როგორც ჩანს, არაერთ საბაჟოში მიაჩნიათ, რომ ამით სახელმწიფოს წინაშე თავს გამოიჩინენ და ზედმეტადაც აქტიურობენ; თუმცა არაკომპეტენტურობის გამო საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღებაც აშინებთ. შესამომნებლად გაგზავნილ სიებში ხშირად ვხვდებით ისეთ ნიგნებს, რომლებიც, როგორც მათი დასახელებებიდან ჩანს, იმპერიისათვის არავითარ პოლიტიკურ საფრთხეს არ შეიცავს [480-1- 40/ 1869 წ., 480-1-215/ 1875 წ...]; მაგ., სიებშია ფრანგული ენის სახელმძღვანელო, გეოგრაფიულ ატლასები, სურათები, ნახატები, ნოტების ფურცლები (70-იანი წწ-ის დასაწყისიდანვე დიდი რაოდენობით გვხვდება ფრანგული, გერმანული, საზღვარგარეთის რუსული ლიტერატურა და შემდგომ, მით უმეტეს, ძალიან დიდი რაოდენობით შემოდის ევროპული ნიგნები, ბროშურები და ა.შ.). კომიტეტი ერთი განყოფილებიდან მეორეში აგზავნის უწყებებს იმის შესახებ, რომ ამა და ამ საბაჟოდან მიღებულია შესამომნებელი ლიტერატურის სია. უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც საბაჟოდან გაგზავნილი, ისე კომიტეტის მიერ სხვადასხვა ინსტანციაში გადაგზავნილი საბუთების უმეტესობა იმდენად გაკრული ხელითაა ნაწერი, რომ ხშირ შემთხვევაში მათი წაკითხვა ისევე, როგორც ცენზორთა ხელმოწერების, უმეტესწილად შეუძლებელია. აქვე გვინდა დავძინოთ, რომ, ჩანს, საბაჟოებში განსაკუთრებით უჭირთ აღმოსავლეთის ქვეყნებიდან შესული ლიტერატურის რაობის დადგენა; საბაჟოს წარმომადგენლები იხატავენ ასოებს და ასეთი სახით გზავნიან კომიტეტში, მაგრამ ხშირად იმდენად არასწორად არის „გადახატული“ ეს ასოები, რომ მხოლოდ რამდენიმე სიტყვის ამოკითხვას თუ შეძლებდა კომიტეტში მომუშავე სპეციალისტი.

საბაჟოებიდან გაგზავნილ ნიგნებთან დაკავშირებით უნდა ითქვას შემდეგი: კომიტეტის არსებობის პირველ ხანებში თუ ძირითადად მრავალრიცხოვან სიებს უგზავნიან მას (მაგალითად, 1873 წელს 602 ნიგნია დასახელებული, უმეტესად – ფრანგულენოვანები, მათ შორის – სასკოლო სახელმძღვანელოები და მსგავსნი (იხ. საქმე 480-141...), სხვა შემთხვევაში ნიგნებისა და ბროშურების 1100 სათაურია ჩამოწერილი (იხ. საქმე 480-1, 141...); როგორც ჩანს, რაც დრო გადის, სულ უფრო უჭირთ გამოცემების სათითაოდ აღნუსხვა. მართალია, სიების შედგენა გრძელდება (იხ. საქმე 480-1-214; 215; 216...), მაგრამ მატულობს შემ-

თხვევები, როცა მხოლოდ ყუთების რაოდენობასა და ასახელებენ (იხ. საქმე 480-1-32; 143, 218...) და იმასაც ატყობინებენ კომიტეტს, თუ რამდენი ყუთი ლიტერატურაა საბაჟოში შეჩერებული და მათ შემოწმებას ითხოვენ (იხ. საქმე 480-1-145; 216...). შეიძლება ითქვას, რომ არაერთ შემთხვევაში საცენზურო კომიტეტში გარკვეულწილად ბიუროკრატიის საშუალებით იცავენ ამგვარი შრომისგან თავს, – სანამ შემოწმება მოხდება, ინერება საბუთები, რომ საბაჟოებიდან მიღებულია ესა თუ ის სია, რომ ამდენსა და ამდენს იწონის იქ გაჩერებული ყუთები და სხვადასხვა...

აღსანიშნავია, რომ საქართველო ასრულებს ტრანზიტორი ქვეყნის როლსაც. ტრანზიტით შემოსული წიგნები მოწმდება კავკასიის საცენზურო კომიტეტში და შემდეგ იგზავნება დანიშნულებისამებრ რუსეთსა და კავკასიაში.

XIX საუკუნის რუსეთის იმპერიის მმართველობაში მოქცეული ერების (კერძოდ, კავკასიის ოლქის) პოლიტიკურ-იდეოლოგიური კონტროლის მექანიზმების გამოვლენის ერთ-ერთი მხარეა იმპერიაში უცხოეთიდან შემოსული ლიტერატურისადმი განსაკუთრებული მიდგომა, მათი თარგმნა და შემოწმება იმ კუთხით, ხომ არ შეიცავს იმპერიისათვის საშიშ ინფორმაციას. ასეთი მნიშვნელოვანი საქმე იმპერიაში არ წყდება პროვინციის, ე.ი. „კავკასიის საცენზურო კომიტეტის“, დონეზე, შექმნილია „უცხოური ცენზურის“ სამმართველო, რომელიც მდებარეობს პეტერბურგში, მას „პეტერბურგის ცენზურასაც“ უწოდებენ. სწორედ ეს საცენზურო კომიტეტი ადგენს იმპერიაში შემოსული უცხოური ლიტერატურის დასაშვებ და აკრძალულ სააღფაბეტო სიებს და თვეში ორჯერ აგზავნის პროვინციების საცენზურო განყოფილებებში. კავკასიის საცენზურო კომიტეტი ნებისმიერი უცხოური მასალის დაბეჭდვისათვის ნებართვის გასაცემად ხელმძღვანელობს უცხოური ცენზურის სააღფაბეტო სიებით. გარდა ამისა, პროვინციაში საზღვარგარეთიდან შემოსული მასალა შეიძლება მოხვდეს საფოსტო გზითაც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კავკასიის ოლქში შემოსული ბეჭდვითი სიტყვის ნებისმიერი მასალა მანამ, სანამ ადრესატამდე მივა, საბაჟოდან პირდაპირ ხვდება „კავკასიის საცენზურო კომიტეტში“, იქ ხდება მისი თარგმნა, შემოწმება და შემდეგ ადრესატთან გაგზავნა ან მასალის „დაპატიმრება“, ე.ი. უარის მიღება, რომ საბაჟომ ადრესატს გადასცეს. ასეთი ლიტერატურა ნადგურდება. აკრძალული ლიტერატურის სიები ეგზავნებათ გუბერნატორებს და მათვე ევალებათ საგანგებო მოხელეთა მეშვეობით შეამოწმონ ბიბლიოთეკები, სამკითხველო დარბაზები და წიგნების მაღაზიები, ხომ არ იყენებენ ასეთი სახის მასალას და მოახდინონ მათი კონფისკაცია.

კავკასიის საცენზურო კომიტეტის მასალებიდან ირკვევა, რომ ამგვარი სახის ლიტერატურა მაინც აღწევდა პროვინციებში ისე, რომ არ ხვდებოდა „უცხოური ცენზურის“ პეტერბურგის განყოფილებაში, ხოლო ადგილობრივი ცენზურა შიდა შემოწმების საფუძველზე, თუკი მასში იმ-

პერიისთვის მავნებელ აზრს ვერ დაინახავდა, აძლევდა თანხმობის ბილეთს, რაც ნიშნავდა იმას, რომ მისი დაბეჭდვა შეიძლებოდა. კავკასიის საცენზურო კომიტეტში მოიპოვება არაერთი საქმე, რომელშიც კომიტეტის ზემდგომი ორგანო – კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველო – მკაცრად აფრთხილებს ცენზორებს, რომ დაუშვებელია მისცენ ნებართვა ისეთი სტატიის თარგმნასა და დაბეჭდვას, რომელიც პეტერბურგის საალფაბეტო სიებში (არც ნებადართულსა და არც აკრძალულში) არ მოხვედრილა. შიდა ცენზურის მიუხედავად, პროვინციის საცენზურო კომიტეტმა არ უნდა მიიღოს რაიმე სახის გადაწყვეტილება, გარდა მისი აკრძალვისა; ასევე არ შეიძლებოდა იმ მასალის დაბეჭდვაზე ნებართვაც, რომელიც საბაჟოს გზით არ არის შემოსული იმპერიაში.

კავკასიის საცენზურო კომიტეტის მასალები – კომიტეტის წესდება და ცირკულიარები, ასევე მეფისნაცვლის კანცელარიის მთავარი სამმართველოს მიმონერა კომიტეტთან და შინაგან საქმეთა სამმართველოს დადგენილებები სრულყოფილ წარმოდგენას გვიქმნის იმპერიული კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის შესახებ; ნათელს ჰფენს არა მარტო სიტყვის გამობატვის თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიას, არამედ ხელს უწყობს საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებისა და მანიპულირების იმდროინდელი მექანიზმების ძირითადი პრინციპებისა და ტენდენციების დადგენას, რაც თანამედროვე „ინფორმაციული ომების“ კონტექსტის გათვალისწინებით ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

1869 წელს ცენზორების ორი კატეგორია ჰყავთ: ერთია აღმოსავლური ენების სპეციალისტი და მეორე – რუსულისა და ევროპული ენებისა (აღმოსავლურში, როგორც ჩანს, არაბულის, სპარსულის, თურქულ-აზერბაიჯანულის გარდა, კავკასიურ ენათა სპეციალისტებიც იგულისხმებიან); განსაზღვრულია მათი ხელფასების რაოდენობაც. როგორც ირკვევა, კავკასიის საცენზურო კომიტეტს ისეთი თანამშრომლებიც ჰყავს, რომლებიც კომიტეტში არ მუშაობენ ცენზორებად, მაგრამ გარედან ასრულებენ ამ მოვალეობას. არის შემთხვევები, როცა ამა თუ იმ გიმნაზიის პედაგოგს სთხოვენ მასალის შემოწმებას, ან როცა გიმნაზიის დირექტორის რეკომენდაციას საჭირო, რათა ამა თუ იმ პედაგოგმა ცენზორის მოვალეობა შეასრულოს (იხ. საქმე 480-1-50);

კომიტეტის საარქივო ფონდებში დაცულია იმპერატორის, გუბერნატორის ბრძანებები, ოფიციალური სახის განკარგულებები; არის საბუთები მოსამართლედ ამა თუ იმ პიროვნების დანიშვნის შესახებ, შიდა ბრძანებები მივლინებაში კომიტეტის თანამშრომლის გაშვების, სამკურნალოდ მისი წასვლისა და მოვალეობის შემსრულებლად ამა თუ იმ პირის დანიშვნის თაობაზე (იმპერატორის, გუბერნატორისა და მსგავსი მაღალი რანგის საბუთები ბეჭდური სახით ინახება); საცენზურო კომიტეტში თავმოყრილია წლის განმავლობაში ჩატარებულ სხდომათა ოქმები (იხ. საქმე 480-1-55; – 393-გვერდიანი საქალაქი), ოფიციალური სახის ცნო-

ბები იმის შესახებ, რომ ამა თუ იმ პიროვნებას პენსია დაენიშნა (იხ. საქმე 480-1-52; 77; 163...), რომ მის მოვალეობას ახალი ცენზორი შეასრულებს (იხ. საქმე 480-1-53), რომ ერთ-ერთი თანამშრომელი დააჯილდოვეს (იხ. საქმე 480-1-233) და რომელიღაც მათგანი კი შვებულებში მიდის (იხ. საქმე 480-1-50; 480-1-162); გვხვდება ბრძანებები, რომლებითაც ოფიციალურ ინსტანციებს ევალებათ, რომ პეტერბურგში სახელმწიფო პრესას შეატყობინონ, თუ რა მნიშვნელოვანი ფაქტები ხდება კავკასიის ამა თუ იმ რეგიონში, რათა პრესამ ასახოს ეს მოვლენები; არქივში დაცულია ინსტრუქციები, რომლებიც ადგილობრივ პერიოდიკას ავალებს, ცენტრალური პრესიდან გადმოხეჭდონ ოფიციალური ცნობები და ა.შ.

კავკასიის საცენზურო კომიტეტში მუდმივად შედის განცხადებები, რომ ჟურნალის ან წიგნის გამოცემას ითხოვენ გამომცემლები; დგება ვრცელი სიები იმ ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნებისა, რომლებიც გამოვიდა ამა თუ იმ რეგიონში. მათში აღნუსხულია ათასობით წიგნი, ბროშურა და გაზეთი<sup>1</sup>; სიები გამოცემებისა, რომლებიც სხვადასხვა უწყებას გადაეგზავნა შესასწავლად<sup>2</sup>. არქივში გვხვდება უამრავი სია, რომელშიც ჩამონერილია, თუ რა ლიტერატურას მიეცა გამოქვეყნების ნებართვა<sup>3</sup>. წლის ბოლოს ანგარიშებში წარმოდგენილია გამოცემები, რომლებიც საცენზურო კომიტეტის ნებართვით დაიბეჭდა... ფაქტობრივად ყველაფერი, რაც ამ წლებში ოფიციალურად არის გამოსული, აღნუსხულია სიებში. ხშირია შემთხვევა, როცა ირკვევა, რომ მასალა არ გაუგზავნია ჟურნალს ან გაზეთს საცენზუროდ, ისე დაუბეჭდავს იგი და ამის გამო სასამართლოში საქმის აღძვრას ითხოვს კომიტეტი; საერთოდ, არცთუ ცოტაა შემთხვევა, როცა მიაჩნიათ, რომ სამართალში უნდა მიეცეს ესა თუ ის პირი...

რედაქტორები ზოგჯერ ითხოვენ განმარტებას, თუ რატომ არ გაცა ამა თუ იმ წერილზე კომიტეტმა გამოქვეყნების უფლება, სურთ მასალის დაბეჭდვა... პასუხები თითქოს დასაბუთებულია, მაგრამ ზოგჯერ ისეთი ხელნაწერი დასაბუთებაა ჩვენ წინაშე, რომლის წაკითხვა, შეუძლებელი თუ არა, ძალიან ძნელი იქნებოდა რედაქტორისთვის, რადგან ზედმეტად გაკრული ხელითაა დაწერილი.

კომიტეტს ხშირად რომელიმე სახელმწიფო უწყებიდანაც უჩივიან და პასუხს სთხოვენ, – მაგ., გაზეთ „კავკაზის“ 1877 წლის ივნისის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებულა მცდარი ცნობა საქართველოში „კნიაზ მიხაილ ნიკოლაევიჩის“ ჩამობრძანების თაობაზე; მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს გამგებელი კომიტეტის თავმჯდომარე „დმიტრი პეტროვიჩს“ (იგულისხმება დიმიტრი ფურცელაძე) პასუხს სთხოვს, თუ როგორ გაიპარა ცნობა საქართველოში ამ პიროვნების ჩამოსვლის შესახებ, „დმიტრი პეტროვიჩი“ საპასუხო წერილში სრულიად თავდაჯერებულად

1 იხ. საქართველოს ეროვნული არქივი, საქმე 480-1-204.

2 იხ. საქართველოს ეროვნული არქივი, საქმე 480-1-165.

3 იხ. საქართველოს ეროვნული არქივი, საქმე 480-1-22,34,40...

და თამამად წერს, რომ გაზეთმა ეს ცნობა ტფილისის გუბერნატორისგან მიიღო და კანონის საფუძველზე გაზეთს ევალებოდა, ცენზურის გარეშე გამოეყვეყნებინა იგი (იხ. საქმე 480-1-155).

გამომცემლობა ზოგჯერ ძალზე გაღიზიანებული უჩივის ამა თუ იმ ცენზორს და კანონდარღვევაში ადანაშაულებს მას. მაგალითად, „Тиф-лиский Вестник“-ის რედაქტორი – თავადი კონსტანტინ ბებუთოვი („Князь Бебутов“) – კომიტეტის წინაშე უკმაყოფილებას გამოთქვამს ცენზორზე, რომელსაც კანონი დაურღვევია და ერთ-ერთი ნომრიდან ამოუღია სა-ექვოდ მიჩნეული წინადადებები იმის ნაცვლად, რომ „განსაკუთრებულ უწყებათათვის“ („особым ведомствам“) გადაეგზავნა წერილი; ამასთან, ორ ადგილას სამი წერტილი წაშლია (როგორც ჩანს, ეს სამი წერტილი იმაზე მიანიშნებდა, რომ რაღაც ძალზე მნიშვნელოვანის თქმა უნდოდა, მაგრამ გახსნილად არ თქვა იგი სტატიის ავტორმა). რედაქტორი მოითხოვს, რომ სტატიის მთლიანად დაბეჭდვის ნებართვა გასცეს კომიტეტმა (იხ. საქმე 480-1-168); შემდეგ გვხდება წერილი, რომელშიც უკვე თავად მეფისნაცვალთან ჩივის კონსტანტინ ბებუთოვი იმის გამო, რომ ცენზორმა მაქსიმოვიჩმა თავის განმარტებით წერილში „არაკეთილსინდისიერი“ („недобросовестный“) უწოდა ბებუთოვს და სამართალში მის გადაცემას მოითხოვს (იხ. საქმე 480-1-168). არის შემთხვევა, როცა რედაქტორი შეურაცხყოფის მიყენებაში ადანაშაულებს ცენზორს, რომელმაც ამ გაზეთის რედაქციისათვის მიუღებელი სტატიის დაბეჭდვის უფლება მისცა სხვა გაზეთს (იხ. საქმე 480-1-161).

ამა თუ იმ სახის საჩივარი კომიტეტის მიმართ სხვაც ბევრია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, არის შემთხვევები, როცა ცენზორის ნებართვის გარეშე იბეჭდება სტატიები, ან ზოგიერთი ფრაზა, და შემდეგ ამის გამო პასუხს სთხოვენ საცენზურო კომიტეტს. მაგ., 1875 წელს „ტიფლისკი ვესტნიკის“ №89-ში დაბეჭდილა სტატია, რომელშიც ასეთი ფრაზა გაპარულა: „ხელისუფალნი კი არ წყვეტენ საქმეს, არამედ ხალხი წყვეტს“ („не государи решают дело, а народ“). კომიტეტში მისულია ტფილისის გუბერნატორის რამდენიმე წერილი, იქ გამართულა სხდომა, მოუსმენიათ ცენზორ მელიქ-მეგრაბოვისთვის, საქმის ვითარება შეუსწავლიათ და გაურკვევიათ, რომ ეს ფრაზა ცენზორს არ დაუშვია, დამნაშავეებად ტიპოგრაფიის მფლობელები: ჩანცევი და კ-ო მიუჩნევიათ და გადაწყვეტილება მიუღიათ, საქმის კურსში ჩაეყენებინათ გუბერნატორი; ამ ყველაფრის შესახებ სხდომის ოქმი იტყობინება (იხ. საქმე 480-1-198); თურქი კონსული კომიტეტში გაგზავნილი წერილით უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ კომიტეტმა მისთვის მისაწოდებელი „La Turgiue“-ის 1875 წლის თებერვლის ნომერი შეაჩერა (იხ. საქმე 480-1-217) და ა.შ.

კომიტეტის საქმეებში ინახება ისეთი სახის განკარგულებები, რომლებიც განმარტავს, თუ როგორ უნდა დაიბეჭდოს სტატიები იმპერატორის გვარის მქონე პიროვნებათა შესახებ. ბეჭდვითი საქმის მთავარი

სამართველო მიმართავს გუბერნატორებს (19 მაისი, 1873 წ. №2947), რომ „ყველა ნაწარმოები და სტატია, როგორც ორიგინალური, ასევე თარგმნილი, რომლებშიც აღწერილია იმპერატორის ან მისი ოჯახის წევრების მოქმედება ან გადმოცემულია რაიმე გამონათქვამი, ან მოყვანილია მათდამი მიმართვა; აგრეთვე სტატიები, რომლებიც შეიცავს მათ შესახებ რაიმე მონათხრობსა და ანალიზს, ყველა, გამონაკლისის გარეშე, უნდა დაიბეჭდოს საიმპერატორო კარის მინისტრის ნებართვით... არანაირი გადმობეჭდილი სტატია, რომელიც ეხება საიმპერატორო ოჯახის წევრებს, არ უნდა დაიშვას საცენზურო ნებართვით საიმპერატორო კარის მინისტრის ხელახალი ნებართვის გარეშე. გამონაკლისი იქნება ის სტატიები, რომლებიც დაიბეჭდა „სახელმწიფო უწყებანში“ და „რუსულ ინვალიდში“ (იხ. საქმე 480-1-152). ამ პერიოდული ორგანოებიდან გადმობეჭდილი სტატიები შეიძლება ხელახლა დაიბეჭდოს საიმპერატორო კარის მინისტრთან შეუთანხმებლად. მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსი საცენზურო კომიტეტს ერთ-ერთ წერილში (1874 წ.) აცხადებს, რომ ამ გვარის მქონე პირთა მიერ რომელიმე ღონისძიებაზე ზეპირად წარმოთქმული სიტყვის დაბეჭდვა, ხსენებულ წელს მიღებული კანონის თანახმად, იმპერატორის სასახლის მინისტრის თანხმობით უნდა ხდებოდეს. მიუხედავად ამ კანონის არსებობისა, გაზეთ „Тифлиский Вестник“-ს 13 აპრილის 39-ე ნომერში (1874) საიმპერატორო სამედიცინო საზოგადოების სხდომაზე მთავარმართველის მიერ წარმოთქმული სიტყვა ასეთი ნებართვის გარეშე დაუბეჭდავს (მისი სახელი, როგორც ჩანს, მეფისნაცვალთან დაკავშირებული იმდროინდელი ეტიკეტის გამო, ნახსენები არ არის, წერია მხოლოდ – „Государь Великий Князь [...] Наместник“... ცხადია, დღეს ეტიკეტის დარღვევაში არ ჩაითვლება და შეიძლება ითქვას, რომ აქ მეფისნაცვალის მიხედვით რომანოვი იგულისხმება (იხ. საქმე 480-1-167).

კომიტეტის ხელში გადის ყველა ეროვნული გამოცემა. მაგ., 1870 და სხვა წლების ანგარიშებში აღნიშნულია, რომ კომიტეტმა ნება გასცა და გამოიცა „ცისკრის“ („Заря“), „დროების“ („Время“) შემდგომი ნომრები. ანგარიშებში, როგორც სხვა დროს, ამ წელსაც არის დასახელებული სხვა ქართული გამოცემებიც: და მრავალთა შორის – საფოსტო ლირიკული ოპერა, ქართული და რუსული ენების თვითშემსწავლელი, ქართული „სასოფლო გაზეთი“ („Сельская жизнь“) და სხვ.; გამოცემათა შორის დასახელებულია ასევე – „გურამოვის“ დავითიანი („Давитиანი Гурамова“) (იხ. საქმე 480-1-75) (ეს დავით გურამიშვილის „დავითიანის“ პირველი გამოცემაა).

კავკასიის საცენზურო კომიტეტი თანამშრომლობს სხვა ქალაქთა ცენზორებთანაც. მაგ., ერთი პიესა – „განდგომილი“ („Отщепенец“) ოდესელი ცენზორისთვის გაუგზავნიათ. იგი იწერება, რომ მისი გამოქვეყნება მიზანშეწონილად არ მიაჩნია, რადგან პიესაში გატარებულია აზრი,

რომ ებრაელმა მართლმადიდებლობა არ უნდა მიიღოს, ებრაული მოსახლეობა რუსეთში ისედაც ჩაკეტილია და ეს პიესა ჩაკეტილობას უფრო გააღრმავებსო (იხ. საქმე 480-1-32). ჩანს, ოდესელი ცენზორის გამოცდილების გაზიარება დასჭირვებით, როცა ებრაულ საკითხს ეხებოდა საქმე და მანაც კოლეგიალურად გაუზიარა კავკასიის კომიტეტს ეს გამოცდილება. მისი ცენზურა მთლიანად ეხმაურება ზემოხსენებულ სახელმწიფო გადანყვეტილებას, რომლის თანახმად, ებრაელი ხალხი არ უნდა განცალკევდეს.

1879 წლის 20 დეკემბრიდან კავკასიის მეფისნაცვლის განკარგულებით, „კავკასიის საცენზურო კომიტეტის“ საქმიანობას დაემატა დრამატურგიული ცენზურა. კომიტეტი განიხილავდა ლიტერატურულ ნაწარმოებებს, ნებას რთავდა ან კრძალავდა კავკასიის მხარეში სცენაზე მათ დადგმას, აკონტროლებდა სცენაზე მის შესრულებას, მსახიობთა წარმოთქმული ტექსტების სრულ შესაბამისობას ცენზურის მიერ ნებადართულ ტექსტთან, მსახიობთა რეპლიკების კილოსა და მათ მიმიკებს ყველა სპექტაკლის დროს, ყველა აფიშას. დრამატურგიული ცენზურა ვრცელდებოდა არა მხოლოდ თეატრში დადგმულ სპექტაკლებსა და მათ ტექსტებსა თუ შესრულებაზე, არამედ სახალხო ღონისძიებებზეც, რომლებიც შეიძლებოდა მოწყობილიყო ოჯახებში ან ქუჩებში. კავკასიის საცენზურო კომიტეტის ნებართვის შემდგომ აუცილებელი იყო ყველა სპექტაკლსა თუ ღონისძიებას დასწრებოდა პოლიციის წარმომადგენელი, მათთვის გამოეყოთ სპეციალურად ადგილები (იხ. საქმე 480-1-31).

აღსანიშნავია კიდევ ერთი ფაქტიც: პიესა, რომელიც იდგმება სატახტო ქალაქების – მოსკოვისა და პეტერბურგის – თეატრებში, ცენზურის უფლების გარეშე არ შეიძლება დაიდგას „პროვინციათა“ სცენებზე. მან ხელახლა უნდა მიიღოს თანხმობის ბილეთი, კავკასიის საცენზურო კომიტეტში ხელახლა უნდა შევიდეს განსახილველად ტექსტი 2 ეგზემპლარად, რადგან სხვადასხვა მიდგომა ესაჭიროებათ დედაქალაქებსა და „პროვინციებს“.

მასალებში გვხვდება აკრძალვები, რომლებიც მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოდან იგზავნება (ამ უწყების საშუალებით უშუალოდ არის საცენზურო კომიტეტი მთავარმართველთან / მეფისნაცვალთან / დაკავშირებული), ხელს აწერს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, სენატორი, „სტატს-სეკრეტარი“, „კნიაზი“ „ბაგრატიონ-მუხრანსკი“. 1874 წელს აუკრძალავთ 14 რუსულენოვანი პიესა, მათ შორის: „Прометей или ужасные убийства; Елена в Трое; Рахел дочь благородного еврея; Риголетто или геройская корона и шутовская погремушка (перевод с италиянского)“. აკრძალვის მიზეზი იმით არის ახსნილი, რომ ეს პიესები გამოსაქვეყნებლად უხერხულადაა მიჩნეული („признанные к представлению неудобными“) და, საინტერესოა, რომ გაცემულია განკარგულება, რომლის თანახმად, ამ აკრძალვის შესახებ შეტყობინებები ტფილისის თეატრალურ და



კავკასიის საცენზურო კომიტეტს, ასევე, ამიერკავკასიის მთიანსა და შავიზღვისპირეთის ოლქებს უნდა გაეგზავნოს (იხ. საქმე 480-1-192); სავარაუდოდ ეს პიესები რუსულენოვან პრესაში უკვე დაბეჭდილია.

კომიტეტის მხრიდან, რასაკვირველია, შემოწმება სჭირდება საეკლესიო ლიტერატურას. მაგალითად, 1869 წელს ეგზარხოს ევსევის<sup>1</sup> შეუმოწმებია 74 ქართული ხელნაწერი, რომელიც მოხსენიებულია როგორც „Проповеди Епископа Гавриила“ და მისი დაბეჭდვის ნებართვაც გაუცია (იხ. საქმე 480-1-37); ცხადია, გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებებია აქ ნაგულისხმები; 1871 წელს იგივე ეგზარხოსი კომიტეტს სწერს, რომ ქართულ ენაზე შეიძლება დაიბეჭდოს წიგნი – „Краткое объяснение Божественной литургии священника Востокова“; აქვეა სომხური კალენდრის დაბეჭდვის ნებართვა, რომელშიც აღნიშნულია, რომ მასში არაფერია ისეთი, სომხურ საეკლესიო კანონმდებლობას რომ ეწინააღმდეგებოდეს (იხ. საქმე 480-1-83).

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც. ბეჭდვით სფეროში თავისუფლება ქართველებისთვის რელიგიური კუთხით უფრო მეტადაა შეზღუდული, ვიდრე კავკასიაში მცხოვრები სხვა ხალხებისათვის. როგორც იმდროინდელი მოღვაწეები, უპირველესად კი იაკობ გოგებაშვილი და განათლების სხვა მესვეურები, ჩივიან თავინთ მრავალრიცხოვან წერილებში, განსაკუთრებული წნეხის ქვეშაა ქართული მართლმადიდებლობა. მაჰმადიანები, კათოლიკეები, იუდეველები და სომხეთის ქრისტიანები შედარებით თავისუფალნი არიან თავიანთი რელიგიის პოპულარიზაციის საქმეში. მათ შეუძლიათ, საზღვარგარეთიდან ლიტერატურის გამოწერა, მიღება, დაბეჭდვა და გავრცელება. ეს ყოველივე კი ეკრძალებათ ქართველ ქრისტიანებს, რადგან ისინი მართლმადიდებლები არიან, მართლმადიდებლური ლიტერატურა კი არსებობს რუსულ ენაზე და აღარაა საჭიროება მისი ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემისა.

რელიგიური ლიტერატურის დაბეჭდვისათვის საცენზურო კომიტეტი ხშირად მიმართავს საქართველოს საეგზარქოსოს, რომლის წარმომადგენელიც განიხილავს რელიგიური შინაარსის ტექსტებს იმისდა მიხედვით, ხომ არ ეწინააღმდეგება მართლმადიდებლური ეკლესიის არსს. ხშირად საეგზარქოსო ქართული ხელნაწერების ცენზორად იყენებს თბილისის სასულიერო სემინარიის პროფესორს, გიორგი ხელაძეს (იხ. საქმე 480-1-137).

სომხური საეკლესიო მასალის დაბეჭდვისათვის, *თუ რაიმე განსაკუთრებული საჭიროება არ არსებობს*, სომხური სასულიერო იერარქიისაგან იღებენ ნებართვას. რადგან სომხური ეკლესია სომეხთა კათოლიკოსს ემორჩილება და არა – ეგზარხოსს. სომეხთა კათალიკოსს აქვს თავისი სტამბა (ეჩმიადინის) და მეფისნაცვლის კანცელარიიდან მიღებული

1 იგულისხმება 1858-1877 წწ-ში საქართველოს ეგზარხოსი /ერისკაცობაში ალექსი ალექსის ძე ილინსკი.

ნებართვაც, ბეჭდოს სომხურ ენაზე სასულიერო შინაარსის ლიტერატურა ცენზურის გარეშე. კავკასიის საცენზურო კომიტეტის საქმეებში (იხ. საქმე 480-1-174) ინახება კომიტეტის მიმართვა მისი უდიდებულესობა, კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსისადმი სომხეთის კათალიკოს-პატრიარქის თხოვნის შესახებ. ეს უკანასკნელი კავკასიის საცენზურო კომიტეტს სთხოვს ნებართვას, რომ სომხურ ენაზე წიგნების გამოცემას თავად გაუწიოს ზედამხედველობა. ის აღნიშნავს, რომ მსგავსი სახის ნებართვა მას მინიჭებული აქვს მთავარმართველისაგან ეჩმიადინის სტამბაში ყურნალ „არარატის“ გამოცემაზე. ეს ყურნალი გამოდის 1868 წლიდან პატრიარქის პასუხისმგებლობით, საცენზურო კომიტეტის შემოწმების გარეშე. საქმეში დევს მეფისნაცვლის კანცელარიის მთავარი სამმართველოს უფროსის, ბარონ ნიკოლაის, ნებართვა. მას მიზანშეწონილად მიაჩნია, სომხური რელიგიური ლიტერატურის შემოწმების მთლიანად ჩამოშორება კავკასიის საცენზურო კომიტეტის საქმიანობიდან (1874 წ.).

საცენზურო კომიტეტში ინახება სომხურ ენაზე სომხური გამომცემლობის მეპატრონის შემდეგი შინაარსის წერილიც. ის საცენზურო კომიტეტს უგზავნის საეკლესიო კალენდარს, რომელშიც მთელი წლის დღესასწაულების თარიღებია აღნიშნული და ითხოვს მიეცეს ნება, რომ დროის მოგების მიზნით მანამ დაიწყო ბეჭდვა, სანამ სასულიერო ხელმძღვანელობა შეამოწმებდეს ამ კალენდარს (იხ. საქმე 480-1-32).

რელიგიური სექტების მიმართ სახელმწიფოს აქვს მკაცრი მოთხოვნა, მათი ლოცვებისა და ღვთისმსახურების წიგნების დაბეჭდვა აკრძალულია (იხ. საქმე 480-1-136).

კომიტეტი სპეციალურ მოთხოვნას იმუშავებს პრესაში არმიის მოქმედებების შესახებ დასაბეჭდი სტატიების შესახებაც. 1875 წელს მთავარი სამმართველოს უფროსი მიიჩნევს, რომ დაუშვებელია, გაზეთმა „კავკაზმა“ სამხედრო ხელმძღვანელობასთან შეთანხმების გარეშე დაბეჭდოს სტატიები, რომლებიც კავკასიის არმიის მოქმედებას, მის განკარგულებებსა და კავკასიის სხვა სამხედრო საკითხებს ეხება (იხ. საქმე 480-1-197).

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ 1875 წელს მთავარი სამმართველო საცენზურო კომიტეტს სწერს, რომ საჭიროა კომიტეტმა ტფილისში გამომავალი გაზეთების ცენზურირებისთვის სახელმძღვანელო ინსტრუქცია შეადგინოს; კომიტეტს შეახსენებენ, რომ ოფიციალური პირის შეურაცხყოფა დაუშვებელია; ამ საბუთში ვკითხულობთ, რომ მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ ინება, რამდენიმე მოსაზრება გამოეთქვა („изволил высказать некоторые мысли“), მაგ., მასში ნათქვამია, რომ რედაქციათა შორის გაუგებრობის ჩამოვარდნის დროს კომიტეტმა 1868 წლის 137-ე მუხლის შესაბამისად უნდა იმოქმედოს (იხ. საქმე 480-1-220); იმავე წელს მთავარი სამმართველოდან იტყობინებიან,

რომ დაუშვებელია, ზოგი ჩინოვნიკი მივლინებაში წასვლის წინ ავანსებს რომ ითხოვს (იხ. საქმე 480-1-219). იქმნება შთაბეჭდილება, რომ სამუშაო დეტალები ბოლომდე ჯერაც არ არის დახვეწილი.

ფონდის მასალებში (იხ. საქმე 480-1-221) (1874 წ.) იმპერატორის მანიფესტთან ერთად დაცულია თანამდებობის პირთა დანიშვნის საბუთები, მათ შორის – ცნობა იმის შესახებ, რომ საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა ზემოხსენებული დიმიტრი ფურცელაძე (ცნობილი მეცნიერი, ავტორი ნაშრომებისა: „ქართული საეკლესიო გუჯრები“, „სათავადაზნაურო გუჯრები“, „საგლეხო გუჯრები“, „კახეთის უმთავრესი საჭიროებანი და მოთხოვნილებანი“, „ბოდბის მონასტრის აღწერა“, „დღესასწაულნი საქართველოს ეკლესიისა“, „ანდერძი ანტონ კათალიკოსისა“, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ვახტანგ მეფის სამართლის მიხედვით“... დ. ფურცელაძე იყო სასულიერო სემინარიის პროფესორი, მთიელთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, კავკასიის მეფისნაცვლის მრჩეველი, კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელების საქმეთა გამგებელი და სხვ. იგი სახელმწიფო მოხელეც არის, ისტორიკოსიც, ქართულ მწერლობას იცნობს, ჩანს, ენდობიან, მისაღებად მიაჩნიათ მისი კანდიდატურა და მალე კომიტეტის თავმჯდომარედაც ნიშნავენ; აღნიშნულია ხელფასიც (იხ. საქმე 480-1-228); 221-ე საქალაქო მუშაობით აგრეთვე ბრძანებას იმის შესახებ, რომ „სტასკი სოვეტნიკი“ ბაქრაძე მთავარ სამმართველოსთან არსებული არქეოგრაფიული კომისიის მუდმივ წევრად ინიშნება.

ფონდის მასალებში (იხ. ფონდი 480-1-226) გვხვდება დ. ბაქრაძის წერილი (1875 წლის 7 თებერვალი), რომლითაც იგი „ალექსანდრ პეტროვიჩ მაქსიმოვიჩს“ სთხოვს, რომ კომიტეტის თავმჯდომარესთან (ე. ი. ამ მოვალეობის შემსრულებელ დიმიტრი ფურცელაძესთან) გაუწიოს შუამდგომლობა კომიტეტში მუშაობის დაწყების ნებაზე; აქვეა გაურკვეველად ხელმოწერილი შუამდგომლობა კომისიის წარმომადგენლისა („представитель комиссии“) იმის თაობაზე, რომ შუამდგომლობის ავტორი ვერავითარ ხელისშემშლელ ფაქტორს ვერ ხედავს და დ. ბაქრაძეს უმცროსი ცენზორის თანამდებობაზე ნიშნავენ. შემდეგ კი არის ახალი შუამდგომლობა, რომ დიმიტრი ბაქრაძე „რუსული და ევროპული ენების უფროს ცენზორად“ დაინიშნოს („старшим цензором русского и европейских языков“) (იხ. საქმე 480-1-226); მანამდე გვხვდება ცნობა (1873 წ.), რომელიც მთავარი სამმართველოს უფროსის სახელზეა დაწერილი კომიტეტს ერთ-ერთი თანამშრომლის მიერ (ხელმოწერა არ იკითხება); იგი აღნიშავს, რომ კომიტეტს თანამშრომლები არ ჰყოფნის და რომ ერთი ადამიანისთვის ძალიან ძნელია ამ საქმის გაძღოლა, – „ხსენებულ თანამდებობაზე 23 წელი მუშაობდა დიდი ავტორიტეტის მქონე ცენზორი კაიტმაზოვი, რომელიც ავტორიტეტით სარგებლობდა ადგილობრივ მწე-

რალთა შორისო“ („У туземных писателей“) – და მთავარი სამმართველოს უფროსს სთხოვს, რომ ადგილობრივ და აღმოსავლურ ენათა მცოდნე უმცროსი ცენზორის ადგილზე მიიღონ სრულიად სანდო („вполне благонадежный“) პიროვნება „კოლეჟსკი სოვეტნიკი“ ბაქრაძე, რომელიც ამ სპეციალობის მქონე ცენზორს დახმარებას გაუწევს. აღნიშნულია, რომ ბაქრაძე კაიტმაზოვს (ხსენებული ცენზორის მინვევით) არაერთხელ მიხმარებია მუშაობაში და რომ იგი ქართული ენის ცენზორის მოვალეობას ასრულებდა ხოლმე. წერილის ავტორი დასძენს, რომ ბაქრაძეს განათლება სასულიერო აკადემიაში აქვს მიღებული და იგი აქ ერთ-ერთ საუკეთესო ქართველ მწერლად არის მიჩნეული და დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობს მათ შორის („он считается здесь одним из лучших грузинских писателей и пользуется между ними большим авторитетом и уважением“). როგორც მთავარი სამმართველოს უფროსი წერს: „ბაქრაძემ განმიცხადა, რომ მზად არის, თავისი თავისუფალი დრო ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ქართულ ენაზე არსებული თხზულებების ცენზურირებას მოახმაროს, მით უმეტეს, რომ ეს მისგან დიდ ძალისხმევას არ საჭიროებს, რამდენადაც თავისთვისაც კითხულობს ყველაფერს, რაც ამ ენაზე იწერებაო; გამომდინარე აქედან, ვმუშაობდგომლობ, რომ „კოლეჟსკი სოვეტკინკმა“, ბატონმა ბაქრაძემ ადგილობრივი მოსახლეობის ენაზე არსებული გამოცემების ცენზურირებაში დახმარება გასწიოსო“ (იხ. საქმე 480-1-160).

კავკასიის საცენზურო კომიტეტი, ცხადია, მხოლოდ ამკრძალავი დანესებულება არ არის, – იგი გამოცემების ნებადამრთველიც გახლავთ და ცენზორებს და, მით უმეტეს, მის ხელმძღვანელს ამ წლებში დიდი ეროვნული საქმის ფრთხილად კეთების საშუალება ეძლევათ, რაც საკმაოდ დიდ რისკთანაც არის დაკავშირებული, რადგან, მიუხედავად ვორონცოვისდროინდელი შედარებითი „დათბობის“ პოლიტიკისა, როგორც ითქვა, ზედმეტის კეთების უფლებას არ იძლევიან.

ამ საბუთებში საინტერესო ისტორია იკვეთება და ქართველ პატრიოტთა განსაკუთრებული მოღვაწეობის კვალიც ჩნდება. 70-იანი წლების დიდძალი საბუთების გაცნობისას არ არსებობს არცერთი ცნობა, რომლიდანაც დავინახავთ, რომ ცნობილ ქართველ ისტორიკოსს – დ. ბაქრაძეს უარყოფითი შეფასება დაენეროს რაიმე ეროვნული მასალის შესახებ; სამაგიეროდ გვხვდება ვრცელი სიები დასაბეჭდად მიზანშეწონილი წიგნებისა, რომელთა შორის, ცხადია, ძალიან ბევრია ისეთი, რომელიც საქართველოს ეხება და გასაგებია, რომ ამ ნაშრომებზე დაბეჭდვის ნებართვას უმეტესწილად დ. ბაქრაძე აწერდა ხელს (რადგან ეს იყო მისი პირდაპირი მოვალეობა). ცენზორთა გვარები, როგორც ამა თუ იმ წერილის დადებითად შემფასებლისა, უმეტეს შემთხვევაში არ ჩანს, დ. ბაქრაძის, როგორც კონკრეტული წიგნის მიმართ დადებითად განწყობილი ცენზორის გვარი, ჯერჯერობით შეგვხვდა მხოლოდ ერთხელ, – 1876

წელს მისთვის საცენზუროდ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები გადაუციათ და მას გაუცია დაბეჭდვის ნება (იხ. საქმე 480-1-265); ეს არის ნიკოლოზ ბარათაშვილის 1876 წელს გამოცემული კრებული; არაა შეუძლებელი, რომ გახმაურებული სახელის მქონე პოეტის შემოქმედების მთლიანად წარმოჩენის წინ მისი შემოქმედების ცენზურირება სადღაც მაინც საჭიროდ მიუჩნევიათ და დიმიტრი ბაქრაძემ წარმატებით გაართვა ამ საქმეს თავი (ბარათაშვილის შემოქმედებაში, ამ მხრივ, შესაძლოა, „ბედი ქართლისა“ იქცევდა განსაკუთრებულ ყურადღებას, რადგან საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის საკითხებს ეხება ეს პოემა); საერთოდ, *ეროვნულ საქმიანობაში დიმიტრი ფურცელაძის განსაკუთრებული როლი იკვეთება როგორც დიმიტრი ბაქრაძის ხელშემწყობისა*. დ. ფურცელაძე ასევე ისტორიკოსია და ჩვენ წინაშე ვლინდება პიროვნება, რომელიც ცდილობს, საქართველოს ისტორიის შესწავლასა და ქართული მწერლობის აღორძინებას ხელი შეეწყოს და ისეთი ადამიანები მიიზიდოს ცენზურირების საქმეში, რომლებიც ასეთი ფასეული წიგნების გამოცემის საქმეში გვერდით დაუდგებიან და მათი დამსახურება სათანადო დაფასებას საჭიროებს. ვფიქრობ, კავკასიის საცენზურო კომიტეტში დიმიტრი ფურცელაძის და სხვა ადამიანების გავლენით 70-იან წლებში მოქმედებას იწყებს ქართული კულტურის აღორძინებისათვის ხელშემწყობი პატრიოტული ჯგუფი და, მიუხედავად იმისა, რომ იქნებ ზოგი არც იწონებდა საცენზურო კომიტეტში დ. ბაქრაძის და შემდგომ სხვა ეროვნულ მოღვაწეთა მუშაობის ფაქტს, ამგვარ მოღვაწეებსაც უნდა ვუმაღლოდეთ, რომ ისტორიოგრაფიამ და მწერლობამ მე-19 საუკუნეში ამგვარ სიმაღლეებს მიაღწია, – *მათი ხელმოწერით იბეჭდებოდა ქართული პატრიოტული წიგნები, სხვაგვარად ისინი დღის სინათლეს ვერ იხილავდა*. ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება: დ. ბაქრაძეს დიდი თანამდებობა არ უკავია (ჯერ უმცროსი ცენზორია, შემდეგ უფროს ცენზორად გადაჰყავთ), მიუხედავად ამისა, „ჩინებულ-გულმოდგინე სამსახურისთვის“ („за отлично-усердную службу“) 1876 წელს მას 300 რუბლით აჯილდოებენ; ჯერ მისი ბიოგრაფიული ცნობებია ჩამოწერილი, შემდეგ კი კომიტეტიდან მთავარ სამმართველოში სწერენ, რომ დიმიტრი ბაქრაძემ (რატომღაც მოხსენიებულია ოდნავ არქაიზებული ფორმით როგორც Дмитрий Бакрадзе, сын Захарьева) არაოფიციალურ ცენზორად მუშაობა 1871 წელს დაიწყო და შემდეგ კი გვხვდება ბრძანება, რომლის თანახმად, ხელმწიფე იმპერატორი მას 1876 წლის 20 დეკემბერს დიდი „კნიაზის“, კავკასიის მთავარმართველის შუამდგომლობითა და კავკასიის საცენზურო კომიტეტის მოწმობით სხვასთან ერთად აჯილდოებს დ. ბაქრაძეს (იხ. საქმე 480-1-281). ცხადი ხდება, რომ რიგითი ცენზორის ასეთი მაღალი რანგის დაჯილდოებაში უშუალოდ დიმიტრი ფურცელაძის ხელი ურევია, მისი შუამდგომლობაა აქ მთავარი (პირდაპირ, სრულიად გარკვევით წერია ჯილდოს მიცემის შესახებ კომიტეტის თანხმობის შესახებ), რადგან

მეფისნაცვალ კომიტეტის თავმჯდომარის გარეშე არ განეცდა ასეთ შუამდგომლობას მისთვის იქნებ სრულიად უცნობი და უმნიშვნელო თანამდებობის მქონე პირის მიმართ. 1871 წელს მუშაობაზე იმიტომ ჩანს ყურადღება გამახვილებული, რომ პირადად დ. ფურცელაძის პროტეჟედ არ იქნას დ. ბაქრაძე მიჩნეული და გადაწყვეტილების სამართლიანობაში ეჭვი არავინ შეიტანოს. ცხადია, 300 რუბლი ამ შემთხვევაში ბევრს არაფერს ნიშნავს, – მთავარია, რომ ზემდგომთაგან ნდობა უძლიერდება დ. ბაქრაძეს, სინამდვილეში მხოლოდ ეროვნულ საქმეს რომ აკეთებს და სხვაგვარი ქმედება რომ არ ჩანს საქმეებში, ეს დოკუმენტურად დადასტურებული ფაქტია. ჩანს, დ. ფურცელაძის ხელშეწყობით ეროვნულ საქმეთა საკეთებლად რომელიღაც ჯგუფი იწყებს საცენზურო კომიტეტში მოქმედებას; თუ შეიძლება ასე ითქვას, შეპარებულები არიან ისინი კომიტეტში, საკმაოდ სარისკო საქმეს აკეთებენ და მათი ამ ღვაწლის დადგენა არაფრით არ შეიძლება. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დ. ბაქრაძეს დიდი შრომა მოუწევდა იმისთვის, რომ ესა თუ ის მასალა „გაეპარებინა“ დასაბეჭდად და ზოგჯერ, შესაძლოა, ავტორისეული სათქმელის შეფარვის მიზნით რაიმეს შეცვლა მოეთხოვა მისგან...

თუმცა, ცხადია, ყველა პრობლემის გადამწყვეტად არ გვევლინება ეს ჯგუფი; რევოლუციური იდეების მიმართ მისი დამოკიდებულება სრულიად განსხვავებულია. მაგ., ხსენებული პერიოდის კავკასიის საცენზურო კომიტეტში არიან თანამშრომლები, რომლებიც ძალზე უნდობლად უყურებენ ახალგაზრდა ნიკო ნიკოლაძეს და გამოცემებს, რომლებიც მასთან არის დაკავშირებული.

1875 წლის 9 სექტემბერს ნ. ნიკოლაძეს კომიტეტისგან მოუთხოვია, რომ 1877 წლის პირველი იანვრიდან გამოეცა კრებული „Капризы Пера“; როგორც კომიტეტის საბუთშია აღნიშნული, ნიკოლაძეს ჰქონია სურვილი, კვირაში ერთხელ გამოსულიყო ეს კრებული, რომლის ფასი 20 კაპიკი იქნებოდა (წელიწადში – 4-დან 6 რუბლამდე) და ჩანცევის ტიპოგრაფიაში დაიბეჭდებოდა; იქვე აღნიშნულია, რომ ნიკოლაძე ითხოვს, ნება მიეცეს, კრებულში მხოლოდ საკუთარი ნაშრომები მოათავსოს და წერია, რომ 1870 წელს მან უკვე გამოთქვა სურვილი, გამოეცა პერიოდიკა „Озор“. ნ. ნიკოლაძის თხოვნასთან დაკავშირებით კავკასიის მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოში კომიტეტიდან გაგზავნილია თავმჯდომარის შეტყობინება იმის შესახებ, რომ 1861 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი ნიკოლაძე პეტერბურგის არეულობაში იღებდა მონაწილეობას, მაგრამ მისდამი მონყალება მაინც იქნა გამოცხადებული და 1864 წელს საზღვარგარეთ ნასვლის ნება მიეცა; აღნიშნულია, რომ იგი ჟენევაში რუს ემიგრანტებთან (განსაკუთრებით ელპიდინთან) სხვადასხვა „ჭუჭყიანი“ („грязных“) პოლიტიკური ბროშურებითა და შემდეგ კი რევოლუციური ხასიათის მქონე ფურცლებით („листов“) იყო დაკავებული, რომ ჟენევაში ფსევდონიმით Никифор Г\*<sup>\*</sup> ანტისამთავრობო ბროშურა – „Правительство

и молодое поколение“ – გამოსცა და, აქედან გამომდინარე, დიდმა თავადმა, მეფისნაცვალმა, შეუძლებლად მიიჩნია, რაიმე სახის გამომცემლურ საქმიანობასთან მისი დაშვება და ამასთან მთავარი სამმართველოს უფროსმა მოითხოვა, რომ კომიტეტმა ფხიზლად ადევნოს თვალი ნიკოლადეს, რათა მან რაიმე სახის უარყოფითი გავლენა არ მოახდინოს ლიტერატურულ ჟურნალებსა და გაზეთებზე; ბოლოს წერია, რომ ახალი აკრძალვის შემთხვევაში იგი წამებული გმირის მანტიაში გაეხვევა („Новый отказ придал бы ему несвойственное значение опасного героя-страдальца“), მას უნდა, რომ სახელი შეუცვალოს გამოცემას (რომელიც ადრე უკვე აეკრძალა) და ძველი საქმეები განაგრძოს, ამიტომ, თუ დიდი თავადი მეფისნაცვალს ნებას დართავს, შეიძლება მივცეთ უფლება, რომ გამოსცეს კრებული, რომელიც საცენზურო მოთხოვნებს დამორჩილებული იქნება და სახელად „Капризы Пера“ კი არა, არამედ „Наблюдатель“ დაერქმევაო; ბოლოში, ამჯერად უკვე 1876 წლით დათარიღებულ უწყებაში (დიდხანს ულოდინებიათ ნიკო ნიკოლადე, სანამ ოფიციალურ პასუხს გასცემდნენ), რომელიც მთავარი სამმართველოდან არის კომიტეტში გაგზავნილი, ვკითხულობთ, რომ „მისმა ბრწყინვალეობამ“ (ე. ი. მეფისნაცვალმა) ნიკოლადის თხოვნის დაკმაყოფილება „არ იწება“ (იხ. საქმე 480-1-232).

კომიტეტისათვის ცნობილია, რომ ნიკოლადე აქტიურად თანამშრომლობდა ციურიხში ქართველ სტუდენტთა მიერ დაარსებულ საზოგადოება „უღელთან“. 1873 წელს ტფილისის გუბერნიის ჟანდარმერიის უფროსი (წერილს ხელს ჟანდარმერიის ერთ-ერთი განყოფილების უფროსი ს. ესაძე აწერს) საცენზურო კომიტეტს, პირადად „ალექსანდრ პეტროვიჩს“ ატყობინებს, რომ ნიკოლადემ სცადა, ციურიხიდან შემოეტანა 47 დასახელების აკრძალული წიგნი და ბროშურა, აგრეთვე საზოგადოება „უღელის“ („Ярмо“) მიერ 1873 წლის 12 მარტს გამართული სხდომის ქართულენოვანი ოქმები და ითხოვს, ამ ოქმების ასლები რუსულ თარგმანთან ერთად ჟანდარმერიაში გაუგზავნონ; ჟანდარმერიის წარმომადგენლის აღნიშვნით, „მეთვალყურეობის ქვეშ მყოფ“ ყოფილ სტუდენტ ნიკოლადეს ციურიხიდან შემოუტანია ლითოგრაფიული დანადგარი და ხსენებული წარმომადგენელი ითხოვს აცნობონ, კონკრეტულად რისთვის გამოიყენება ეს დანადგარი (იხ. საქმე 480-1-142).

მასალებიდან ვხედავთ, რომ ნიკო ნიკოლადე მაინც არ ნებდება და ხალხისათვის რევოლუციური იდეების მიწოდების სხვადასხვა გზას ეძებს. საარქივო ფონდის (იხ. საქმე 480-1-300) საქმეში ვკითხულობთ, რომ ცნობილ ქართველ ეროვნულ მოღვაწე არისტო ქუთათელაძეს<sup>1</sup> 1877

<sup>1</sup> არისტო ქუთათელაძე – ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი გორის, შემდეგ – ხონის სემინარიებში, ტფილისის სასწავლო ინსტიტუტის თანამშრომელი; ავტორი ნაშრომებისა: „პირველდაწყებითი ქართული გრამატიკა“, „ქართული ზმნების კლასიფიკაცია“, „სახელმძღვანელო მოსამზადებელი კლასებისათვის“, „საზოგადო გეოგრაფია“, „კონსპექტი საქართველოს ისტორიიდან“, „არხეოლოგიური მოგზაურობა“, „სოფელი მარტყოფი და ხელთუქმნელი ღვთაების ისტორია“ და სხვ.

წელს საცენზურო კომიტეტისათვის უთხოვია ნებართვა, გამოეცა კრებული სახელით „*Физиономия войны*“, – მასში მხოლოდ ერთი ავტორის სტატიები იქნება დაბეჭდილი და, თუ ამისი საჭიროება იარსებებს, ავტორის ვინაობასაც შეგატყობინებთო; საბუთებიდან ჩანს, მისთვის სტატიების ავტორის ვინაობის დასახელება მოუთხოვიათ და ქუთათელაძესაც განუცხადებია, რომ ავტორი ნ. ნიკოლაძეა. ის არწმუნებს კომიტეტს, რომ გაუგებრობა აღარ მოხდება და ნიკოლაძის სტატიები საცენზურო კომიტეტის ან მისი ერთ-ერთი წარმომადგენლის მიერ ჯერ კიდევ მათი კორექტირებისას იქნება განხილული; აგრეთვე პირობას დებს, რომ მომავალში მისი (ნ. ნიკოლაძის), როგორც ავტორის, გვარის მოხსენიება არ დაავიწყდება; კრებულის სათაური „*Физиономия войны*“ / „ომის ფიზიონომია“ (ისევე, როგორც „*Капризы Пера*“ / „კალმის ახირებანი“) ნ. ნიკოლაძის მოფიქრებულს ჰგავს.

რდილთა მთელი გალერეა. თითოეული მათგანი განსხვავებულია: ზოგიერთი უსიმპატიოა, ზოგი მახინჯია, ზოგი მშვენიერიც კია, მაგრამ ყოველი მათგანი გროტესკულია. სწორედ ესაა ის, რაც მათ აერთიანებთ, რაც ამ ადამიანების საზოგადოებისაგან გაუცხოების მიზეზიცაა და შედეგიც ერთდროულად. ესენი არიან წარუმატებელი, ყოველდღიურობასთან ბრძოლაში დაღლილი, სულიერად გატეხილი ადამიანები. მათი წარმოშობა კი, მწერლის აზრით, განაპირობა იმან, რომ ოდესღაც ერთი მთლიანი ჭეშმარიტება ნაწილებად დაშალეს, ცალ-ცალკე დაეპატრონენ ამ ნაწილებს და ჩათვალეს, რომ უმთავრესი იყო სწორედ ის, რაც თითოეულს გააჩნდა და შეეცადნენ სიმართლის ეს ცალკეული ნამცეცი გაეხადათ საყოველთაო ჭეშმარიტებად, რამაც თავად ისინი გროტესკულ ადამიანებად, ჭეშმარიტება კი სიყალბედ აქცია. ანდერსონი თვლის, რომ ჩვეულებრივი ადამიანების უმრავლესობა გროტესკულია. მათი სული დანანევრებული და დაშლილია. „მათ, ამ ვაინსბურგელ გროტესკებს, უნდათ, რომ გადაშალონ გულები, გათავისუფლდნენ დამარხული და დაწყლულებული ემოციებისაგან, ვოშ უილიამსი ცდილობს ახსნას საკუთარი ექსცენტრულობა, მაგრამ ძნელად ახერხებს, ლუიზ ბენტლი „ცდილობს ილაპარაკოს, მაგრამ ვერაფერს ამბობს“, ენოხ რობინსონი ფანტაზიის სამყაროში გადადის, თავის გამოგონებულ „ადამიანებთან, რომლებთანაც ნამდვილად შეუძლია საუბარი და რომლებსაც შეუძლია აუხსნას ის საგნები, ცოცხალ ადამიანებს რომ ვერ უხსნის“ (Howe 2023: ელრესურსი). დარღვეული ცნობიერების მატარებელი კი ველარ პოულობენ საკუთარ თავში წინააღმდეგობის გადალახვისა და წარმოსახულის განხორციელების ძალას, რაც არ შეიძლება მხოლოდ პიროვნული თავისებურებებით იყოს ახსნილი. ასეთ მდგომარეობაში მყოფები იმედით შეჰყურებენ ახალგაზრდა ჟურნალისტ ჯორჯ უილარდს, მაგრამ ესეც არარეალურია, რადგან თავად უილარდი არ არის შინაგანად მზად მათ დასახმარებლად. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა ჟურნალისტი განსხვავებულია სხვებისაგან და გროტესკებსაც თანაგრძნობით ეკიდება, მას არ ხელეწიფება რამე შეცვალოს, მეტიც, ასეთი მდგომარეობა კიდევ უფრო აძლიერებს უილარდის სასწრაფო კვეთილებას.

გაცილებით უფრო რთული სახელმწიფოებრივი თუ სოციალურ-საზოგადოებრივი კატაკლიზმების წინაშე დგას XX საუკუნის დასაწყისის საქართველო. მძიმე ისტორიულმა ვითარებამ თავისი დაღი დაასვა ამ ეპოქის ადამიანთა ყოფასაც. ქართულ ლიტერატურაში სულიერად გატეხილი, უმწეო ადამიანის მხატვრული სახე კარგად არის ცნობილი და მის ჩამოყალიბებას თავისი ლიტერატურული ტრადიციაც გააჩნია. XX საუკუნის დასაწყისის მწერლობაში იგი უმძაფრესი ტრაგიზმით ხასიათდება და მიუღებელი სინამდვილის მხატვრული ასახვის ხერხად გამოიყენება.

„ყოფილი ადამიანი“, „ნაკაცარი“, „ზედმეტი ადამიანი“ – ასე უწოდებს XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო

მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი იმ ადამიანებს, რომლებიც „წარსულმა მოატყუა, ანმყო აწვალეს, მომავალი აშინებს“ (ჯავახიშვილი 1973: 205). თავის ერთ-ერთ საყურადღებო რომანში „გავი შადური“ პროზაიკოსი არა მარტო განასახოვნებს ასეთ ადამიანებს, არამედ ამ მხატვრულ სახეში განაზოგადებს მოვლენის საერთო მახასიათებლებს.

წანარმოები 1928 წელს გამოქვეყნდა და იმთავითვე მიუღებელი აღმოჩნდა მარქსისტული კრიტიკისათვის სწორედ იმიტომ, რომ ავტორი მასში სულიერად გატეხილი ადამიანის ცხოვრებას აღწერდა, თანაც ხაზს უსვამდა, რომ გივი შადურს მთელი საქართველო იცნობდა, რაც იმას მიანიშნებდა, რომ სასოწარკვეთილი ადამიანები საკმაოდ დამახასიათებელი იყო მაშინდელი ყოფისათვის.

გივი შადური გამაერთიანებელი პერსონაჟია, ღერძია იმ ამბებისა, რომელიც ტექსტში ხდება. ის ერთ დროს იყო „კაცი კაცური, თავმომწონე, ამაყი“ (ჯავახიშვილი 1973: 204), მაგრამ, როცა პირველად ეცნობა მკითხველი, თავს მოიხსენიებს, როგორც კაცი – უქმი, რომელმაც დაკარგა ღმერთის რწმენა, დაკარგა მადლი – „რბილი ნოხი, გოლგოთის გზაზე დაფენილი“ (ჯავახიშვილი 1973: 205), იქცა ნაკაცარად და სულიერად მოდუნდა, რასაც, მისი აზრით, თავის მოკვლა სჯობია. მაგრამ, ვიდრე აქამდე მივიდოდა, „იცხოვრა, იარა, და გაიგო“ (ჯავახიშვილი 1973: 207), ერთ დროს ღონივრადაც ეწეოდა ცხოვრების ტვირთს, თუმცა ბრმა სინამდვილის წყალობით ზედმეტ ადამიანად იქცა. შადური, ავტორის აზრით, „ცხოვრების პარადოქსია და გზასაც პარადოქსებით იმოკლებს“ (ჯავახიშვილი 1973: 229), სწორედ ამ პარადოქსებით აყალიბებს შადური საკუთარი ცხოვრების კრედოს, რომელიც ერთნაირადაა გაჯერებული იმ დროის ზოგად მოვლენათა ირონიზირებით თუ თვითირონიის დიდი დოზით. ირონიულია მის მიერ საკუთარი საფლავისათვის შერჩეული ეპიტაფიაც: „გივი შადური – ავარა– Rien Nihil – არაფერი“, – როგორც თავად ამბობს (ჯავახიშვილი 1973: 291), არის საკუთარ თავში აღმოჩენილი მარადიულობის წყურვილის დადასტურება, არარაობასთან ბრძოლის გზა.

ანდერსონის გროტესკული ადამიანი და ჯავახიშვილის ყოფილი ადამიანი ერთი და იგივე ხასიათია თავისი არსით. ისინი მნიშვნელოვანი ძვრების, თუმცა თვისებრივად სხვადასხვა გარემოში, გამოვლინდებიან, მათი ცხოვრება შეუძღვარია, საკუთარ თავში თანაბრად აერთიანებენ არსებობის ტრაგიკულ და კომიკურ მხარეებს, ისინი გარემოს პროდუქტები არიან. ცხადია, რომ საკითხის ასე დასმისას, მნიშვნელოვანია მოვლენის ზოგადი არსი და არა ცალკეული პიროვნული, ინდივიდუალური გამოხატვა, რაც შესაძლებელია სხვადასხვაგვარი იყოს.

აღსანიშნავია, რომ ჯავახიშვილისა და ანდერსონის ამ ორ ტექსტს გააჩნია სტრუქტურული მსგავსებაც. მიუხედავად იმისა, რომ „უაინსბურგი. ოპაიო“ გროტესკულ ადამიანებზე დაწერილი ნოველების კრებულია, მას მაინც ჰყავს ერთი მთავარი პერსონაჟი – ჯორჯ უილარდი.



ის მოქმედებს ან მოიხსენიება ყველა ნოველაში და, ასევე, გამოირჩევა ყველასაგან, რაც საბოლოოდ თავის დაღწევით სრულდება იმ გარემოდან, რომელიც მასაც გროტესკად გადაქცევით ემუქრება. „შეგრძნება წიგნის მთლიანობისა იმდენად დიდი იყო, რომ კრიტიკოსებს შორის ჩნდებოდა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც „უაინბურგს“ რომანის ჟანრს მი-აკუთვნებენ, ნაწილი კი საუბრობდა ახალ ჟანრზე – „რომანზე ნოველებში“: ცალკეული მომენტები, რომლებიც ქმნიან მრავალხმოვანებას, გასაოცრად გვახსენებს ცხოვრების მრავალფეროვნებასა და სიმრავლეს“, – წერს მ. კორენევა (Anderson 1981: 13).

მრავალ ამბავში, ერთ ეპოქაში მცხოვრები მრავალი ადამიანის ხვედრში, კარგად იკრიბება ერთი სურათი. ამიტომ მოსახერხებელია ცალკეული ამბებით მოზაიკის შექმნა. ასეთ ხერხს მიმართა მიხეილ ჯავახიშვილმა „გივი შადურშიც“. გივი შადური აერთიანებს იმ ნოველებს, თავად რომ გვიამბობს. თითოეული ეს ამბავი, ფაქტობრივად, დასრულებული თხზულებაა. „რომანში ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი რამდენიმე ნოველაა შესული, რომელთაც წინ შესავალი უძღვის. თავისებური შესავალი განმარტება (უმთავრესად რომანის მთავარი პერსონაჟის, გივი შადურის სადღეგრძელო-აღსარებები), რომლებშიც კონცენტრირებულია როგორც ამა თუ იმ ნოველის ძირითადი პრობლემა, ისე გივი შადურის მხატვრულ-ესთეტიკური, მორალურ-ეთიკური თუ ფილოსოფიური შეხედულებები, რომლებიც მას, როგორც პიროვნებას, აყალიბებენ“, – წერს ნუგზარ შავგულიძე (შავგულიძე 1988: 84).

მკვლევარი თვლის, რომ მიუხედავად იმისა, რომ ამ აღსარება-მონოლოგებში გივი შადური თავის თავს ნაკაცარს უწოდებს, „გულის სიღრმეში ისევ სულიერად გაუტეხელი, სულიერი მოდუნების წინააღმდეგ მებრძოლ ადამიანად გვევლინება“ და მისი რჩევა – „სულიერ მოდუნებას ისევ თავის მოკვლა სჯობია“ მის შინაგან სიმტკიცეზე მიგვანიშნებს (შავგულიძე 1988: 84). შინაგანად რამდენად მტკიცეა ბედთან შეგუებული გივი შადური, შეიძლება ძნელი სათქმელი იყოს, მით უფრო, რომ შადური ნაკაცარების თვითმკვლელობას „ფეხაკრებით და ქურდულად გაპარვას“ უწოდებს (ჯავახიშვილი 1973: 253), მაგრამ პროტესტის პათოსს გივი შადურის ირონიული აღსარებები და მიმართვები აშკარად შეიცავს. და მაინც, სადაა გამოსავალი შადურისათვის? საკუთარი შეცდომების აღიარებაში, ანმყოს გააზრებასა და მომავლისაკენ მზერაში, მისი ფრაზა „წარსული გაცხრილეთ, აწყმო გაიგეთ და პირი მუდამ მომავლისკენ ქენით“ (ჯავახიშვილი 1973: 318), – არის მისი გამოცდილება და, ამავე დროს, რჩევაც ახალგაზრდებისათვის. „ლალი სული, წრფელი გული შეინახეთ და მუდამ იცინეთ, იხარხარეთ, იჭიხვინეთ. მთელი ქვეყანაც რომ დაინგრეს, ნუ იდარდებთ, რადგან პირველი ბირთვი – სიხარული – მოკლე ხანში ახალსაც ააშენებს, ხოლო შავი კუშტი სამოთხესაც ჯოჯოხეთად აქცევს“, – ასე არიგებს შადური ახალგაზრდებს (ჯავახიშვილი 1973: 318), რაც

სიცოცხლის სიყვარულის მკაფიო გამოვლინებაა, ბრძოლისა და ბედთან შეურიგებლობის მონოდებაა.

გროტესკად ქცევას შერვოდ ანდერსონის მოხუცი მწერალიც („გროტესკების წიგნი“) იმის წყალობით გადაურჩა, რომ მის ოცნებაში მუდმივად ცხოვრობდა გაუზზარავი სულის მქონე ახალგაზრდა, ამიტომ ინარჩუნებდა სულიერ სინმინდეს, რაც, როგორც უილიამ ფოლკნერი იგონებს, საერთოდაც იყო ანდერსონის უმთავრესი მიზანი მთელი ცხოვრების განმავლობაში.

საკუთარი უსუსურობისა და უღონობის შეგრძნება შ. ანდერსონისა და მ. ჯავახიშვილის პერსონაჟებს ერთნაირად აწვალებთ, მიუხედავად იმისა, რომ მათთვის ასევე ძნელია რალაცის შეცვლაზე პასუხისმგებლობის აღება. ჯორჯ უილარდი თავს გაქცევით შევლის, ვიდრე თავადაც გროტესკი გახდებოდეს. ის ამ ფორმით უცხადებს პროტესტს მიუღებელ გარემოს.

გაქცევა, როგორც გამოსავალი, არც მხატვრულ და არც რეალურ პლანში არ არსებობს მიხეილ ჯავახიშვილისათვის. „მე თამბაქოს ფოთოლივით დავჭკნი“ (ჯავახიშვილი 1973: 318), – მიიჩნევს გივი შადური და აღარაფრის შეცვლას აღარ ცდილობს თავის ცხოვრებაში. 1920-იანი და შემდგომი წლების საქართველოს სასტიკმა ისტორიულმა ვითარებამ მრავალი ადამიანი გატეხა სულიერად და ფიზიკურად, ამავე დროს, თავის გადარჩენის ერთგვარ გამოსავლადაც აქცია.

ანდერსონის გროტესკული ადამიანის არაერთი თვისება ახასიათებს თეიმურაზ ხევისთავს, მიხეილ ჯავახიშვილის წინასწარმეტყველური რომანის „ჯაყოს ხიზნების“ მთავარ გმირს, რომლისთვისაც „მომავალი უცხო და გაუგებარ ცნებას წარმოადგენს, „გუშინ“ უფუნქციო ღირებულებაა, „ხვალ“ – არშემდგარი პერსპექტივა“ (რატიანი 2018: 241). ის არამარტო გაუცხოებულია ყველასაგან, უნიათო და უსუსურია, არამედ შეურაცხყოფილი და დამცირებულიცაა, თუმცა ხევისთავი, გივი შადურისაგან განსხვავებით, თვლის, რომ ის შეიძლება გაღუნონ, მაგრამ სულიერად ვერ გატეხავენ. ერთადერთს, რასაც ხევისთავი ინარჩუნებს, ეს ღვთის რწმენაა, ფაქტობრივად, იმ დროის რწმენაა, როცა ის კვლავ შეიძლება სამსახური გაუწიოს თავის ხალხს. „საკუთარი უმწეობის ხატია თეიმურაზ ხევისთავი, ცინიკურად და დაუნდობლად დახატული, ავტორის მიერ თავისი თავისადმი გამოტანილი უღმობელი განაჩენი, რათა ასე გაესრისა უმწეობის კომპლექსი“, – თვლის სოსო სიგუა (სიგუა 2002: 236), რომელსაც „ნაკაცარების“ თემა ქართულ ლიტერატურაში ქართული დეკადანსის ნაწილად მიაჩნია, ხოლო მიხეილ ჯავახიშვილის მიერ ამ პერსონაჟის შექმნა ეპოქის კარნახად.

როგორც ცნობილია, ლიტერატურული გროტესკი თავის თავში მოიცავს ჰიპერბოლიზებას, გადაჭარბებას, სატირას, ირონიას, რეალურისა და არარეალურის, მშვენიერისა და სიმახინჯის, ტრაგიკულისა და კომიკურის ერთიანობას. მას მიმართავდნენ ყველა ეპოქაში სხვადასხვა ლი-

ტიერატურული მიმდინარეობისა და ესთეტიკის მწერლები. ამ ნიშნებს ატარებენ შერეულ ანდერსონის გმირებიც, ჩვეულებრივი ადამიანები, როგორც მათ მწერალი უწოდებს (Anderson 1981: 27).

შემთხვევით არაა, რომ უტირების უჩვეულო ხელოვნებით, ირონიზმის მომაკვდინებელი გამოყენებითა და ქართული სატირის ტრადიციათა გაძლიერებით მ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“ ლიტერატურათმცოდნე გურამ კანკავას გროტესკული რეალიზმის მეთოდით შესრულებულ ნაწარმოებად მიაჩნია (კანკავა 1985: 12).

სწორედ ლიტერატურული პირობითობის, გაზვიადების წყალობით ამ ადამიანებს, როგორც წესი, მკვეთრად აქვთ ჩამოყალიბებული ინდივიდუალური ნიშან-თვისებები, რაც, ერთი შეხედვით, ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ მათი პიროვნული ხასიათი განაპირობებს მათსავე ტრადიციას და არა გარე ფაქტორები, მაგრამ შეუძლებელია იმ ფაქტის უგულებელყოფაც, რომ სოციალურ-საზოგადოებრივი თუ სხვა ვითარებით გამონეწეული კრიზისი ქმნის იმ გარემოს, რომლის პროდუქტადაც ეს უსუსური, ხშირად ილუზიათა ტყვეობაში მყოფი, უპერსპექტივო ადამიანები წარმოგვიდგებიან. მწერლობა მხატვრული ინვარიანტების მეშვეობით ასეთი ფაქტორების ზემოქმედებას და კონკრეტული გამოვლინების მრავალფეროვნებას განსახოვნებს. „ლიტერატურა ამგვარად ხდება უნივერსალური „პოეტური“ თვისების გამომხატველი, რომელიც გონების თანაზიარია. ეს თვისება ქმედითია ნაწერებისა და ლიტერატურების ერთობლიობაში, მიუხედავად მათი გეოგრაფიული მდებარეობისა“, – წერს ცნობილი ლიტერატურათმცოდნე ადრიან მარინო (მარინო 2010: 36).

საზოგადოებაში პიროვნების ბედს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს თავად ამ საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებების ხასიათი და სიმძიმე; თავისი არსით გროტესკული ადამიანი და ნაკაცარი, ნაადამიანევი, ერთ მოვლენას გამოხატავს – გარკვეული სოციალური და საზოგადოებრივი ვითარების გამო გატეხილ, უსუსურ არსებას, რომელმაც ვერ შეძლო სინამდვილესთან გამკლავება. და რადგანაც XX საუკუნის ქართულ მწერლობაში ეს ტიპი უმწვავესი კლასობრივი დაპირისპირების ფონზე ჩამოყალიბდა, უფრო მეტად სარკასტული და ირონიული შეფერილობა შეიძინა, ვიდრე ანდერსონის გროტესკებმა, ზოგიერთი მათგანი მწერალს მშვენიერად და მიმზიდველადაც რომ ჰყავს წარმოსახული.

#### დამონშებანი:

Anderson, Sherwood. *Selected Short Stories*. Moscow: izdatel'stvo "progress publishers", 1981.

Doiashvili, Teimuraz. *Mot'iral-motsinari*. Tbilisi: gamomtsemloba "sit'q'a", 2013 (დოიაშვილი, თემურაზ. *მოტირალ-მოცინარი*. თბილისი: გამომცემლობა „სიტყვა“, 2013).

Gaprindashvili, Nana. *Shedarebiti Lit'erat'uratmsodneobis Teoriuli Sapudzvebi*. Tbilisi: gamomtsemloba "meridiani", 2012 (გაფრინდაშვილი, ნანა. *შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის თეორიული საფუძვლები*. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2012).

- Howe, Irving. // Anderson, Sherwood. *Winesburg, Ohio*. Web. 1 May, 2023. <https://www.gutenberg.org/cache/epub/416/pg416-images.html>
- Javakhishvili, Mikheil. Tkhzulebani Rva T'omad. T. III. Motkhrobbi. Tbilisi: gamomtsemloba "sabh'ota Sakartvelo" (ჯავახიშვილი, მიხეილ. *თხზულებანი რვა ტომად*. ტ. III, *მოთხრობები*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1973).
- K'ank'ava, Guram. Lit'erat'uruli Ts'erilebi. Tbilisi: gamomtsemloba "merani" (კანკავა, გურამ. *ლიტერატურული წერილები*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1985).
- Marino, Adrian. K'omp'arat'ivizmi da Lit'erat'uris Teoria. Prangulidan Targmnes Rusudan Turnavam da Nino Gagoshashvilma. Tbilisi: Lit'erat'uris Inst'it'utis Gamomtsemloba. 2010. (მარინო, ადრიან. *კომპარატივიზმი და ლიტერატურის თეორია*. ფრანგულიდან თარგმნეს რუსუდან თურნავამ და ნინო გაგოშაშვილმა, თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2010).
- Ratiani, Irma. Kartuli Mts'erloba da Msoplio Lit'erat'uruli P'rotsesi. Tbilisi: Tbilisis Universit'et'is Gamomtsemloba. 2018 (რატიანი, ირმა. *ქართული მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018).
- Shavgulidze, Nugzar. "Chanchuradan Arsenamde". Tbilisi: gamomtsemloba "metsniereba", 1988 (შავგულიძე, ნუგზარ. *ჩანჩურადან არსენამდე*. თბილისი: "მეცნიერება", 1988).
- Sigua, Soso. Kartuli Modernizmi. Tbilisi: gamomtsemloba "didost'at'i, 2002 (სიგუა, სოსო. *ქართული მოდერნიზმი*. თბილისი: გამომცემლობა „დიდოსტატი“, 2002).
- Turnava, Rusudan. "Mikheil Javakhishvilisa da Gi De Mopasanis Novelist'ik'a". K'lasik'uri da Tanamedrove Kartuli Mts'erloba". 3(2000): 239-246 (თურნავა, რუსუდან. „მიხეილ ჯავახიშვილისა და გი დე მოპასანის ნოველისტიკა“. *კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა*. 3(2000): 239-246).

**Nestan Kutivadze**  
(Georgia)

### **Some Issues of Mikheil Javakhishvili's Prose and Sherwood Anderson's Grotesque Man**

#### **Summary**

**Key words:** grotesque man, former man, artistic face, tragedy.

The beginning of the 20<sup>th</sup> century turned out to be an important period for the whole world in terms of state, public and social-cultural development. Worldview changes led to many noteworthy events of the subsequent period, and it included not only those countries where the most difficult process of changing formations was underway, but also those ones where new prospects for social and economic development started to emerge. In this regard, radically different processes were taking place in Georgia and the United States of America. Objective realities create

different socio-economic and public situations in any country, and the peripeteias of a person's spiritual existence always cross the boundaries of this concreteness. Along with the individual aspirations, people also have similar, common yearnings which are reflected in fiction with all the national-individual alterations.

The era of social transitions is always hard and difficult for people, no matter what stratum of society they belong to. The aim of the present paper is to show the peculiarities of the literary conceptualization of one problem accompanying the social changes on the example of the works of prominent writers of the 20<sup>th</sup> century: Mikheil Javakhishvili (1880-1937) and Sherwood Anderson (1876-1941).

In his short stories and novels Sherwood Anderson depicted the problems of ordinary Americans at the beginning of the 20<sup>th</sup> century. As it is known, the author achieved success as a writer of psychological short stories. In his works, he shifted the emphasis from the plot structure to description of the feelings of helpless, spiritually broken people who are tired of life. In this respect, one of the most successful collections "Winesburg, Ohio" (1919) by Sherwood Anderson should be singled out. Winesburg is a fictional place inhabited by the people who are alienated from the society and one other, and they shelter themselves in the illusory world of ideas. At first glance, it seems that everything is the result of their impracticality, and not the environment in which they live.

Anderson's "Winesburg, Ohio" begins with the short story "The Book of Grotesques", in which the author defines a general set of features characteristic of a certain group of people and in its manifestation he categorizes this diverse phenomenon under one name – grotesque. Anderson believes that most ordinary people are grotesque. Their souls are fragmented and broken. Those who are in such a situation can no longer find the strength in themselves to overcome obstacles and make things happen, which cannot be explained only by their personal characteristics.

The artistic face of a spiritually broken, helpless person is well known in Georgian literature, and its formation has its own literary tradition. In the literature of the beginning of the 20<sup>th</sup> century, it is characterized by the great tragedy and is used as a way of artistic depiction of an unacceptable reality.

Mikheil Javakhishvili, one of the most prominent writers of Georgian literature of the 20<sup>th</sup> century, refers to these people as "a former man", "a superfluous man". In one of his notable novels, "Givi Shaduri", the prose writer not only portrays such people, but generalizes the common characteristic features of the event in this artistic face.

Anderson's grotesque man and Javakhishvili's former man are of the same character in its essence. They emerge during significant changes but in qualitatively different environments. Their lives are shattered, they combine the tragic and comic sides of existence. They are products of the environment.

The characters of Anderson and Javakhishvili both suffer from feeling weak and helpless. It is also difficult for them to take responsibility for changing some-

thing. George Willard saves himself by running away before becoming a grotesque himself. In this way, he protests against the unacceptable environment whereas Givi Shaduri is no longer trying to change anything in his life.

Teimuraz Khevistavi, the main character of Mikheil Javakhishvili's prophetic novel "Jakos Khiznebi" (Jaqo's Dispossessed), has many characteristic features of Anderson's grotesque man. Unlike Givi Shaduri, Khevistavi believes that he cannot be broken spiritually.

It is precisely because of literary conventionality, exaggeration, that these people usually have sharply defined individual characteristics, which, at first glance, leaves the impression that their personal traits and not the external factors determine their own tragedy. However, it is impossible to ignore the fact that the crisis caused by social and other types of circumstances creates the environment where these weak, hopeless people are formed often in the captivity of illusions. Through artistic invariants, literature reflects the influence of such factors and the diversity of specific manifestations.

A person's fate in society is significantly determined by the nature and severity of the changes taking place in this society; In its essence, a grotesque man and a former man express one and the same phenomenon – a broken, weak being who is unable to deal with reality due to certain social and public circumstances. Since this type was formed in the background of the fiercest class conflict in Georgian literature of the 20<sup>th</sup> century, it acquired a more sarcastic and ironic coloring than Anderson's grotesques, some of which have even been depicted as beautiful and attractive by the writer.

ირინა ნოზაძე  
(საქართველო)

## XX საუკუნის დისტოპიური რომანის სათავეებთან – ევგენი ზამიატინის „ჩვენ“

*„ჩვენ – ღმერთისგან მოდის, ხოლო „მე“ – ეშმაკისგან“.*  
(ევგენი ზამიატინი „ჩვენ“)

XX საუკუნის რუსი მწერლის ევგენი ზამიატინის რომანი „ჩვენ“ სოციალური ფანტასტიკის ერთ-ერთ ქვეჟანრს – ანტიუტოპიას (დისტოპია) მიეკუთვნება. მისი ანტიუტოპიური რომანი წინ უსწრებს ოლდოს ჰაქსლისა და ჯორჯ ორუელის ანტიუტოპიებს. საგულისხმოა, რომ ჯორჯ ორუელი საკუთარ თავს ზამიატინის რომანის მემკვიდრედ თვლიდა. როგორც XX საუკუნის ფენტეზისა და სამეცნიერო ფანტასტიკის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, ამერიკელი მწერალი და ლიტერატურული კრიტიკოსი – ურსულა კრებერ ლე გუინი აღნიშნავს, ევგენი ზამიატინის რომანი „ჩვენ“ სამეცნიერო ფანტასტიკის საუკეთესო ნიმუშია, რაც კი ოდესმე შექმნილა.<sup>1</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ზამიატინის „ჩვენ“ საბჭოთა ცენზურის წნეხის ქვეშ მოექცა, საზღვარგარეთული კრიტიკა მას დიდი ინტერესით შეხვდა. მშობლიურ ქვეყანაში კი პოლიტიკურ შეცდომად მიჩნეული რომანი მასობრივი კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა. „ჩვენ“ დაწერიდან მხოლოდ 70 წლის შემდეგ დაიბეჭდა რუსეთში. ამ ფონის გათვალისწინებით, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა რომანის პირველი ქართული თარგმანი (მთარგმნელი – ტატა ნიკოლაძე), რომელიც 2018 წელს გამოიცა. ფაქტობრივად, ევგ. ზამიატინი სწორედ ამ თარგმანით გაიცნო თანამედროვე ქართველმა მკითხველმა, რამაც ერთგვარი საფუძველი შექმნა აქამდე არც თუ ისე ფართოდ ცნობილი მწერლისა და მისი რომანის – „ჩვენ“ – ხელახლა აღმოჩენისა და შესწავლისთვის.

რომანი „ჩვენ“ მწერლის ინგლისიდან რევოლუციური განწყობით აღვსილ რუსეთში დაბრუნებიდან მალევე – 1920 წელს დაინერა (ზოგიერთი ცნობის მიხედვით, ტექსტზე მუშაობა 1921 წლამდე გაგრძელდა). საბჭოთა რუსეთის ცენზურის პირობებში რომანის სამშობლოში გამოქვეყნება შეუძლებელი შეიქნა, თუმცა მწერალი მას ლიტერატურულ სადამოებზე კითხულობდა მოსკოვსა და ლენინგრადში (სანქტ-პეტერბურგი). ამგვარად, ფართო ინტერესიდან გამომდინარე, „ჩვენ“ ხელნაწერის სახით გავრცელდა. ამასთან, რომანმა უცხოელ მკითხველ საზოგა-

<sup>1</sup> აღნიშნული სიტყვები დატანილია რომანის 1993 წლის გამოცემის გარეკანზე (Penguin Twentieth Century Classics).

დობათა ყურადღებაც მიიპყრო და ევგ. ზამიატინმა მის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით უამრავი შეთავაზება მიიღო.

ზამიატინის ადგილი ლიტერატურაში ისეთივე გაურკვეველი, ორგვარი ხასიათისა აღმოჩნდა, როგორც მისი ცხოვრების თითქმის ყველა დეტალი. ევროპაში რუსი იყო, რუსეთში ევროპელად მიიჩნევდნენ. რუსი კრიტიკოსები მასში ევროპელს ხედავდნენ, სტილისტს, რომელიც ღვარჭნილობისა და ექსცენტრულობისკენ მიისწრაფოდა, ევროპელი კრიტიკოსები კი მოიაზრებდნენ, როგორც ძირძველ რუს მწერალს, გოგოლის, დოსტოევსკისა და ლესკოვის ტრადიციების გამგრძელებელს, რუსული ზნე-ჩვეულებების გამომხატველს. ზამიატინი თვლიდა, რომ ადამიანის ბედნიერება რაიმე საქმისადმი გულწრფელ სამსახურში მდგომარეობს. 1905-1918 წლები სწორედ მსგავსი საქმის გამუდმებულ ძიებას მიუძღვნა. 1905-1906 წლებში ფიქრობდა, რომ ამგვარ საქმეს პოლიტიკურსა და პარტიულ აქტივობაში მიაგნებდა, მოგვიანებით საინჟინრო სფეროში, შემდგომ სამწერლობო მოღვაწეობაში, ასევე სიყვარულში, რომელსაც „შემოქმედების ერთ-ერთ ტიპად“ მიიჩნევდა (Богданова 2014: 27).

ზამიატინის თანახმად, მისი წერის სტილი შემდეგგვარად შეიძლება დახასიათდეს – წერის პროცესში ფორმა ერთგვარი საფუძველია, სიუჟეტები კი ერთმანეთს ემსგავსება. სტილიზაციისადმი ერთგულების კვალდაკვალ, იგი რემიზოვის მსგავსად, სამწერლობო ასპარეზზე ე. წ. „ორნამენტული“ პროზით გამოვიდა. ორნამენტული პროზა დროთა განმავლობაში ვერბალურ კუბიზმში გადაიზარდა – სამყარო გეომეტრიულ ფიგურებად იშლება, ადამიანს კი ანაცვლებს ჭანჭიკი, მეტსახელი, ერთფეროვნება. მსგავსი მიმართულების ფონზე აშკარად გამოიკვეთა მწერლის ზოგადი დამოკიდებულებაც ლიტერატურული გმირისადმი. მან თავის ლექციებზე არაერთხელ გაუსვა ხაზი იმ ფაქტს, რომ შექმნა მხატვრული სახე – ნიშნავს, მასზე შეყვარებული იყო.

ორგვარი საქმიანობა თუ ორი სახის გატაცება – გემთმშენებლობა და მწერლობა გარკვეული პერიოდის მანძილზე ერთმანეთთან სრულ თანხმობაში მოდიოდა. ზამიატინი თავის ორმაგ ცხოვრებას „ამფიბიურს“ უწოდებდა. ამფიბია წყალხმელეთა ცხოვრების ნირზეა გადასული. ზამიატინიც ორ სტიქიას შორის გახლდათ მოქცეული: მაგიდაზე ერთდროულად ეწყო, ერთი მხრივ, ხომალდის პროექტი, ხოლო მეორე მხრივ, – პირველი მოთხრობის ფურცლები: „აქედან მოყოლებული, ერთდროულად ბუნების ორ ელემენტს შორის ვცხოვრობ. თუმცაღა, ამფიბიებისგან ის განმასხვავებს, რომ ჩემთვის ყოველთვის უცხო იყო მიწამდე თავის დაკვრა და არასდროს მომრიდებია, მწერა ის, რაც ჭეშმარიტებად მიმაჩნდა. ამ „მავნე ჩვევისგან“ „განკურნების“ მიზნით, ცარისტულმა ხელისუფლებამ 1906 წელს, როგორც რევოლუციონერი, ციხეში დამამწყვდია; პეტერბურგის ამავე ციხეში 1922 წელსაც „გამომინერეს“ მკურნალობის ანალოგიური კურსი. მაგრამ, ვშიშობ, მე განუკურნებელი ერესით ვარ და-



ავადებული. ამ დაავადების ერთ-ერთი სიმპტომური გამოვლინებაა ჩემი რომანი „ჩვენ“ (თარგმანი და ხაზგასმა ჩემია – ი. ნ. Замятин 1988: 15-16).<sup>1</sup>

ემიგრაციაში ზამიატინი აგრძელებდა თავის ორმაგ „ამფიბიურ“ ცხოვრებას. ის არ თვალთმაქცობდა, როდესაც ხელისუფლებისგან ნებართვა მხოლოდ დროებითი გამგზავრებისთვის ითხოვა. საზღვარგარეთ სამუდამოდ დარჩენას არც აპირებდა, არასდროს არაფერი დაუბეჭდავს იქაურ ემიგრანტულ გამოცემებში. რუსი ემიგრანტი მწერალი ნინა ბერბეროვა თავის ავტობიოგრაფიულ ნარკვევში “Курсив мой. Автобиография” (Берберова 2014) იხსენებდა: „ის არავის იცნობდა, საკუთარ თავს ემიგრანტად არ თვლიდა და იმ იმედით ცხოვრობდა, რომ როგორც კი შესაძლებლობა მიეცემოდა, სამშობლოს დაუბრუნდებოდა. მეეჭვება, რომ მას ბოლომდე სჯეროდა ასეთი შესაძლებლობის არსებობისა, თუმცა ფარ-ხმლის დაყრაც ამინებდა. მისი ოპტიმიზმი მოჩვენებითი იყო, როდესაც განაცხადა, რომ „აუცილებელია, მოიცადო“, „მშვიდად იყო“, რომ ზოგიერთი ცხოველი თუ მწერი ასეთ ტაქტიკას მიმართავს: არა ბრძოლა, არამედ დამალვა, რათა მოგვიანებით თავისუფლად განაგრძო ცხოვრება“.<sup>2</sup> შეიძლება ითქვას, მოლოდინის ტაქტიკამ ნაწილობრივ გაამართლა. „კარგი ქცევისათვის“ საბჭოთა ხელისუფლებამ თანდათან შეარბილა მწერლისადმი თავისი დამოკიდებულება.

თავის მხრივ, 1921 წელი მეტად რთული და წინააღმდეგობრივი ხასიათისა აღმოჩნდა. კონსტანტინე ფედინის<sup>3</sup> თვალსაზრისით, ეს გახლდათ რევოლუციის ყველაზე გაურკვეველი წელი. სწორედ ამ დროს, ცენზორთა მიერ ზამიატინის სტატია „მეშინია“ (*Я Боюсь*) გააზრებულ იქნა, როგორც საბჭოთა ლიტერატურისადმი „მიძღვნილი“ რეკვიემი, რომელიც მომავლისადმი ღრმად პესიმისტური განწყობით გამოირჩეოდა. მწერალი სტატიაში წუხილს გამოთქვამს, რომ რევოლუციის წლებში სამწერლობო ასპარეზზე „დანინაურდნენ“ გაიძვერა, ანმყოს შემყურე მწერლები, რომელთაც სულ არ ანაღვლებდათ რა თემაზე დაწერდნენ, ოღონდაც ამ საქმეში ფული აეღოთ; დანარჩენი მწერლები კი გაჩუმებას ამჯობინებდნენ.

ზამიატინის თქმით, „რუსი მწერლები შიმშილს მიჩვეულნი იყვნენ. დუმილის მთავარი მიზეზი გაცილებით მძიმე, აუტანელი, დაუძლეველი იყო, ვიდრე უბრალო პური ან ქაღალდია. საქმე ისაა, რომ ჭეშმარიტი ლიტერატურა მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც მას ქმნიან არა დამჯერი და სანდო მოხელეები, არამედ, შეშლილები, განდევნილები, ერეტიკოსები, მეოცნებენი, მეამბოხენი და სკეპტიკოსები. თუკი მწერალს მოსთხოვენ, რომ იყოს ფრთხილი, ორთოდოქსულად კათოლიკური, დღევანდელი დღისთვის სასარგებლო, თუ ვერ შეეძლება, სვიფტის მსგავსად სიტყვით გაამათრახოს ყველა, ანატოლი ფრანსისკით ყველასა და ყველაფერზე

1 აქ და შემდგომ წერილებიდან/ემეზარებიდან მოხმობილი ციტატების თარგმანი უცხო ენებიდან ჩემია (ი. ნ.).

2 Нина Берберова, Курсив мой. Автобиография, 2014.

3 კონსტანტინე ფედინი (1892-1977) – საბჭოთა რუსი მწერალი და ჟურნალისტი.

გაიღიმოს, მაშინ ლიტერატურასთან კი არ გვექნება შეხება, არამედ, ქალღმერთთან, გაზეთებთან, რომელთაც დღეს ნაიკითხავენ, ხვალ კი მათში თიხის საპონს შეახვევენ“ (Замятин 1988: 255).

მწერლის საბოლოო დასკვნა შემაშფოთებლად ჟღერს: „ვშიშობ, ნამდვილი ლიტერატურა არ გვექნება, თუკი რუს დემოსს ისე შევხედავთ, როგორც ბავშვს, რომლის სათუთ ბუნებას საგულდაგულოდ უნდა მოვეფრთხილდეთ. ვშიშობ, ჭეშმარიტი ლიტერატურა არ გვექნება მანამ, სანამ არ განვიკურნებით ამ რაღაც გაურკვეველი ახალი კათოლიციზმისგან, რომელიც ძველზე არანაკლებ უფრო ხის ყოველგვარ ერეტიკული ხასიათის აზროვნებას. და თუ ეს დაავადება განუკურნებელია, ვშიშობ, რუსული ლიტერატურის მომავლის ძიება წარსულში მოგვინებს“ (Замятин 1988: 255).

ზამიატინმა აღნიშნულ სტატიამი გააკრიტიკა ლენინი და ძალაუფლების სათავეში მოსული კომუნისტები. მიუხედავად იმისა, რომ იგი წარსულში ბოლშევიკებს ემხრობოდა, მათ მაშინვე ჩამოშორდა, როდესაც ახლად ჩამოყალიბებულმა საბჭოთა კავშირმა ცენზურა შემოიღო. ზამიატინი მალე დარწმუნდა, რომ იმ დროის მონინავე და ინოვაციურ ხელოვნებასთან წინააღმდეგობით, ლენინმა თავადვე უღალატა რევოლუციური ენერჯისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ პრინციპებს და საკუთარი თავისგან ენტროპიისა და ფლეგმატურობის განსხეულებული ხატი შექმნა (შდრ. ერთიანი სახელმწიფოს შეუბრალებელი დიქტატორი – მწყალობელი რომანში „ჩვენ“) (Hutchings 1981-82: 88). როგორც ლიტერატურული დაჯგუფება „სერაპიონის ძმების“ წინამძღოლი, ზამიატინი მუდმივად უპირისპირდებოდა მსგავს კონფორმისტულ მოთხოვნებს და ეს უკანასკნელი თავის კრიტიკულ წერილებსა და მხატვრულ ნააზრევშიც არაერთგზის დაგმო. აი, რომანში „ჩვენ“ კი ერთიანი სახელმწიფოს პოეტები მწყალობლის მოთხოვნების მიმართ სრულიად ინერტულნი აღმოჩნდნენ.

ზამიატინი მკითხველს საშუალებას აძლევს თვალი გაადევნოს რომანის მთავარი პერსონაჟის – D-503-ის ბედს, ბედს იმ პიროვნებისა, რომელიც შეეცადა წინააღმდეგობა გაენია სახელმწიფო სისტემისთვის. D-503 – მათემატიკოსი, ინჟინერი, კოსმოსურ ხომალდ „ინტეგრალის“ მშენებელი, ამავდროულად, რომანის ავტორად გვევლინება. სიუჟეტის სტრუქტურა – „ტექსტი ტექსტში“ – რომელიც რომანის ერთ-ერთი ძირითადი მარკერია, საფუძვლად ედება მისი შექმნისა და ავტორად ქცეული პერსონაჟის ღირებულებებისა და ინტერესების გაცნობიერების პროცესს. დღიურის ფორმა, ჩანაწერები რომანს აღსარებით ხასიათს სძენს. მთავარი გმირი, რომელიც არსებული სისტემის აპოლოგეტია, ცდილობს, მათემატიკური ფორმულებით დაამტკიცოს სიბრძნე იმ პრინციპებისა, რომელთა საფუძველზეც ერთიანი სახელმწიფო ჩამოყალიბდა.

მწერლის მიერ შესანიშნავადაა დემონსტრირებული ძალდატანებითი ბედნიერების ფილოსოფია. თავისუფლება, რომელიც ქრისტიანული მრწამსით, ადამიანისთვის უძვირფასესია, რომანში ბოძვად მოგვევლინა,

რასაც „ხელს უწყობს“ მწერლის მიერ ბიბლიური ალუზიების თავისუფალი ვარიაცია ირონიზების გზით: „ღიახ! ჩვენ დავეხმარეთ ღმერთს საბოლოოდ დაემარცხებინა ეშმაკი – ეს ხომ მან უბიძგა ადამიანებს, დაერღვიათ აკრძალვა და ეგემათ დამღუპველი თავისუფლება, ის – იქედნეა, გველი. ჩვენ კი – ბახ! – ჩექმით თავში და მზადაა! ისევ სამოთხე! და ისევ გულწრფელები, უმანკოები ვართ – ადამისა და ევასავით. არანაირი ბოძვა ამ სიკეთესა და ბოროტებაზე. ყველაფერი ძალიან უბრალოდ, სამოთხისებურად, ბავშვურად მარტივადაა“ (ზამიატინი 2018: 69-70). რომანში ბიბლიური შეცოდება საბოლოო ქაოსამდე არ დადის და სამოთხისეული კოსმოსის თანამედროვე ვარიანტი რესტავრირებულია. თუმცა, ზამიატინისეული სატირის „წყალობით“ სტრიქონებს შორის ნათლად იკითხება, რომ „რესტავრირებული კოსმოსი“ მაინც ტრაგიკული ხასიათისაა, რამდენადაც კოსმოსი, რომლის შენარჩუნებისთვის ძალ-ღონეს არ ზოგავს ერთიანი სახელმწიფო, თავისი არსით ბუტაფორიულია და ამდენად, ცოდვაგამოსყიდული ადამი – II-503 კვლავ არარას უბრუნდება, ამ უკანასკნელს კი თავისუფლებასთან არაფერი აქვს საერთო.

საგულისხმოა, რომ ერთიანი სახელმწიფოს ფილოსოფია პიროვნულობის შეზღუდვისა და დევალვაციისკენ არის მიმართული, რაც ძალმომრეობითი დიქტატურის გამოყენებით მიიღწევა. დეჰუმანიზაცია ბედნიერების ილუზიას ქმნის, რის საფუძველზეც მოსახლეობას ბრმად სწამს, რომ მწყალობელი მას ნამდვილ მესიად მოეგვინა. ნორმალური ადამიანების უსახურ ნომრებად გადაქცევას შედეგად განსხვავებული აზრის არარსებობა და მუდმივად მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნა მოჰყვება. სხვისი მისამართით თითის გაშვერა და დასმენა კი მსხვერპლშენიერების ერთ-ერთი უმაღლესი ფორმაა. ამასთან, აღნიშნულ ფონზე ნებისმიერს ეძლევა შესაძლებლობა, ერთიანი სახელმწიფოს „მშვენიერებისა“ და „სიდიადის“ აღსაწერად შეადგინოს ტრაქტატი ან შექმნას პოემა. ადამიანი ნინასწარ შემუშავებული შაბლონისა და სტანდარტის ნაწილი ხდება. პიროვნულობის გამომხატველი თვისებების გამოვლენა დანაშაულად ითვლება, რადგან ინდივიდუალურობა – „გალიზიანებული თვალი, დაჩირქებული თითი, მტკივანი კბილი“.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ზამიატინი ანტიუტოპიის ჟანრის ფუძემდებლად გვევლინება, ისევე, როგორც თომას მორი (1478-1535) უტოპიის ჟანრისა. თუმცა, აღნიშნულში ერთგვარ უზუსტობას ვაწყდებით, თომას მორის სახელს მხოლოდ ტერმინი „უტოპია“ უკავშირდება. საკუთრივ უტოპიები მასზე გაცილებით ადრე არსებობდა; საკმარისია დავასახელოთ პლატონის „სახელმწიფო“. მსგავსად, ანტიუტოპიური ელემენტები შეიძლება დავძებნოთ ზამიატინამდეც – ჯონათან სვიფტის, ჟიულ ვერნისა და ჰერბერტ უელსის შემოქმედებაში, რომ აღარაფერი ვთქვათ ჯეკ ლონდონის დისტოპიურ რომანზე „რკინის ქუსლი“ (*Iron Heel*). და მაინც, ზამიატინმა შესაშური გულმოდ-

გინებით შექმნა XX საუკუნის პირველი სტრუქტურულად გამართული მოდელი ახალი, მაგრამ არაც და არამც, ჰარმონიული სამყაროსი.

როგორც ოლდოს ჰაქსლი, ისე ჯორჯ ორუელი, სწორედ აღნიშნულ მოდელს ეყრდნობოდნენ (თუმცა, ჰაქსლი არ აღიარებდა, რომ გაეცნო ზამიატინის რომანს, განსხვავებით ორუელისგან, რომელმაც „ჩვენ“ არათუ წაიკითხა, არამედ, მისი რეცენზიაც დაწერა). ცალსახაა, რომ ორუელმა ზამიატინისგან ისესხა არა მხოლოდ სიუჟეტი და მთავარი მოქმედი გმირები, არამედ, მათ მიერ აღწერილი საზოგადოების მრავალი მახასიათებელი: „ის, რაც პირველ რიგში იქცევა ჩვენს ყურადღებას რომანის „ჩვენ“ კითხვისას, – წერდა ჯორჯ ორუელი 1946 წელს, – არის ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: ოლდოს ჰაქსლის რომანი „საოცარი ახალი სამყარო“ სწორედ ზამიატინის რომანის გავლენას განიცდის“ (Orwell 1968: 72).

ანალოგიური აზრი გამოთქვა ამერიკელმა მწერალმა, დრამატურგმა და ესეისტმა კურტ ვონეგუტმა, რომელმაც ჟურნალ „Playboy“-სთან ინტერვიუში თავის „მექანიკურ ფორტეპიანოზე“ (*Player Piano*) საუბრისას, აღნიშნა, რომ მისი რომანი ვალშია ზამიატინის რომანთან: „მე უდარდელად „ავაცალე“ ფაბულა „საოცარ ახალ სამყაროს“, რომლის ფაბულაც ასეთივე უდარდელობით „ააცალეს“ ეგგენი ზამიატინის რომანს – „ჩვენ“ (Allen 1999: 93).

ჯორჯ ორუელი საკუთარ თავს ყოველგვარი ორჭოფობის გარეშე თვლიდა ზამიატინის რომანის „ჩვენ“ მემკვიდრედ, ზუსტად გააცნობიერა რა მისი ორიგინალურობის არსი რომანის მოკლე, მაგრამ სწორად აქცენტირებული რეცენზიის დასკვნაში: „1906 წელს ცარისტულმა მმართველობამ ზამიატინი დააპატიმრა, 1922 წელს იგივე ბედი იწვნია ბოლშევიკების ხელით. ამ დროისთვის მწერალს არ ჰქონდა არანაირი საბაბი, აღფრთოვანებულიყო არსებული პოლიტიკური რეჟიმით, ამასთან, საგულისხმოა, რომ მისი რომანი მხოლოდ იმპულსური სიბრაზის შედეგი არ ყოფილა. ესაა ერთგვარი გამოკვლევა „მანქანა-ჯინისა“, რომელიც ადამიანმა დაუფიქრებლად გამოუშვა ბოთლიდან, ახლა კი მის უკან დაბრუნებას ველარ ახერხებს“ (Orwell 1968: 75). ნაკლებ სავარაუდოა, რომ ორუელი ცნებაში „მანქანა“ მხოლოდ ტექნოლოგიის უკონტროლო განვითარების პროცესს გულისხმობდეს, რამეთუ „მანქანად“, ე. ი. უსულო და უკონტროლო საგნად, XX საუკუნეში საკუთრივ ადამიანთა ცივილიზაცია მოგვევლინა.

თავის რეცენზიაში ორუელმა ყურადღება გაამახვილა რომანის მხატვრულ ღირებულებასა და ტოტალიტარიზმის ირაციონალურობის წინასწარგანჭვრეტაზე. ზემოხსენებული სიტყვების დაწერიდან სამი წლის შემდეგ, მან გამოაქვეყნა ანტიუტოპიური რომანი „1984“, რომლის მთავარი პერსონაჟი, სახელად უინსტონი, მომავლის ქალაქში ცხოვრობს. „ჩვენ“ და „1984“ მრავალი მსგავსების დაძებნის საშუალებას გვაძლევს. როგორც D-503, ისე უინსტონი უძღურნი არიან, წინ აღუდგნენ სახელმწიფოს ფი-

ლოსოფიას. ორივე რომანში თავისუფლება გააზრებულია ბოროტებად და მოწესრიგებული ცხოვრების მტრად.

როდის შეიტყო ორუელმა პირველად ზამიატინის შესახებ? ზამიატინის რომანისადმი მიძღვნილ რეცენზიაში ორუელი აღნიშნავს, რომ იგი გაეცნო რუსი პოეტის, ლიტერატურისმცოდნისა და კრიტიკოსის გლებ სტრუვეს ნაშრომს „საბჭოთა რუსეთის ლიტერატურის ოცდახუთი წელი“. 1944 წლის თებერვალში სტრუვესადმი მიწერილ წერილში ორუელი მას მადლობას უხდის წიგნის ეგზემპლარისთვის და აღნიშნავს: „ამ ნაშრომმა უკვე გამიღვივა ინტერესი ჩემთვის აქამდე უცნობი მწერლის – ზამიატინის რომანის მიმართ. მოხიბლული ვარ მისი წიგნით და ჩანაწერებსაც ვაკეთებ, ადრე თუ გვიან კი, ნაწერმა შესაძლოა დღის სინათლეც იხილოს“ (Bowker 2003: 330). 1948 წლის 21 აპრილით დათარიღებულ წერილში კი ორუელი ახსენებს ზამიატინის სატირულ ნაწარმოებს „კუნძულელები“ და სტრუვეს სთხოვს, თუ შესაძლებელი იქნება, მწერლის მეუღლეს დააკავშიროს, რათა სხვა წიგნებზეც მოიპოვოს წვდომა. წერილიდან ამკარად იგრძნობა, ორუელი ღრმად დარწმუნებულია, რომ ინგლისელი გამომცემლები ზამიატინის შემოქმედების სხვა ნიმუშების დაბეჭდვითაც დაინტერესდებიან.

1945 წლის დასასრულს, როგორც იქნა, ორუელის ხელში აღმოჩნდა ზამიატინის „ჩვენ“, 1946 წლის იანვარში კი მან სოციალურ-დემოკრატიულ ჟურნალში „ტრიბუნა“ (*Tribune*) რომანის რეცენზია გამოაქვეყნა. ორუელს ყველაზე მეტად ზამიატინის რომანსა და ოლდოს ჰაქსლის „საოცარ, ახალ სამყაროს“ შორის მსგავსება აოცებდა: „ორივე წიგნი წარმოგვიდგენს პირველყოფილი, ადამიანური სულის ამბოხებას, რომელიც მიმართულია რაციონალური, მექანიზებული, უმტკივნეულო სამყაროს წინააღმდეგ [...] და უხეშად რომ ვთქვათ, ორივე რომანში ერთმანეთის მსგავსი საზოგადოებაა დახატული, თუმცა ჰაქსლისთან პოლიტიკური ცნობიერების საკითხი ნაკლებად ხელშესახებია და მწერალი უმეტესად ბიოლოგიისა და ფსიქოლოგიის თანამედროვე თეორიების გავლენას განიცდის“ (Orwell 1968: 72). ამდენად, ორუელმა შენიშნა, რომ ზამიატინთან საგრძნობია პოლიტიკური ხედვა, რასაც ჰაქსლის რომანი მოისაკლისებს. ორუელი მანამდეც მიუთითებდა, რომ ჰაქსლი სათანადოდ ვერ ერკვეოდა მმართველი ელიტის მსოფლალქმამი: „თქვენ ვერსად ნახავთ ძალაუფლების შიმშილს, სადიზმს ან რაიმე სახის სისასტიკეს. ძალაუფლების მწვერვალზე მყოფთ არ აქვთ დამაჯერებელი მოტივი, თუ რატომ სურთ მსგავს პოზიციაზე ყოფნა და მიუხედავად იმისა, რომ ყველა, თავისებური გულუბრყვილო მიზეზით, თავს თავისუფლად თვლის, ცხოვრება იმდენად უშინაარსო ხდება, რთულია დარწმუნდე ასეთი საზოგადოების ჭეშმარიტად არსებობის შესაძლებლობაში“ (Orwell 1968: 73).

ჰაქსლის მიხედვით, ჰერბერტ უელსის „ადამიანები, როგორც ღმერთების“ ნაკითხვამ მასში ცინიკური ანტიიდეალიზმისკენ მიმართული

აკვიატებად ქცეული რეაქცია გამოიწვია. ამდენად, მანამ, სანამ წიგნის კითხვას დაასრულებდა, უკვე გადანყვეტილი ჰქონდა უელსისეული ყველაზე ოპტიმისტური უტოპიების შეუბრალებელი პაროდირება. თუმცა, როდესაც ნეგატიური არარსებობის შექმნის პრობლემის პირისპირ აღმოჩნდა, აღმოაჩინა საკითხი, რომელიც თავისი ლიტერატურული და ფსიქოლოგიური შესაძლებლობებით განსაცვიფრებლად ფართო გასაქანს აძლევდა. ამდენად, „ადამიანები, როგორც ღმერთები“ სულ გადაავიწყდა და მთელი შემართებითა და სერიოზულობით მიმართა ყურადღება წიგნის დანერისკენ, რომელიც მოგვიანებით ცნობილი გახდა, როგორც „საოცარი, ახალი სამყარო“ (Keiper 2007). რადგან ჰაქსლიმ მიზანმიმართულად გადანიყვეტა, ღვარძლიანი სატირის საგნად ექცია ჰერბერტ უელსის უტოპიური იდეები, მაშინ ჩნდება შეკითხვა: სად უნდა ვეძებოთ საკუთრივ მის დისტოპიურ იდეათა საფუძვლები?

ზამიატინი აღნიშნულ საკითხს ფრედერიკ ლეფევრთან<sup>1</sup> ინტერვიუში დიდსულოვნად პასუხობს: „პიერ დრიე ლა როშელიმ<sup>2</sup> ამ რამდენიმე დღის წინ მიაბო, რომ შეხვედრისას ჰაქსლისთვის უკითხავს, იცნობდა თუ არა ჩემს რომანს. დამთხვევა, რასაკვირველია, შემთხვევითი აღმოჩნდა. თუმცა, ამგვარი დამთხვევა იმაზე მიანიშნებს, რომ მსგავსი იდეები ჩვენ გარშემო მიმოფანტული, იმ ავისმომასწავებელ ჰაერში, რომელსაც ჩვენ ვსუნთქავთ“ (Замятин 1988: 16).

როგორც ცნობილია, ევგ. ზამიატინის მიერ რომანში აღნიშნული ცალკეული მოვლენა მომავალში ახდა, გარკვეული საკითხისადმი მწერლის დამოკიდებულება კი დღესაც იქცევს ყურადღებას და აქტუალობას არ კარგავს. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული პერიოდის მანძილზე რომანს ერთგვარად ჩრდილში მოუნია ყოფნა, დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ XX საუკუნის ანტიუტოპიური რომანის ორგანიზებული მოდელი პირველად სწორედ ევგენი ზამიატინმა შემოგვთავაზა. თანამედროვე ლიტერატურისმცოდნეობაში ეჭვგარეშეა ის ფაქტი, რომ XX საუკუნეში რომანის „ჩვენ“ გამოჩენამ ბიძგი მისცა ახალი ჟანრის – ანტიუტოპიური რომანის დამკვიდრების პროცესს.

#### დამონშებანი:

- Allen, W. R. *Conversations with Kurt Vonnegut*. University Press of Mississippi. Jackson: 1999.
- Berberova, Nina. *Kursiv moj. Avtobiografiya*. Memuary russkogo zarubezh'ya. Redaktsiya Eleny Shubinoj. 2014 (Берберова, Нина. Курсив мой. Автобиография. Мемуары русского зарубежья. Редакция Елены Шубиной. 2014).
- Bogdanova O. V. *Ye. I. Zamyatin: Pro Et Contra*. Lichnost' i Tvorchestvo Evgeniya Zamyatina v otsenke otechestvennykh I zarubezhnykh issledovatelej. Antologiya. Sankt-Peterburg: 2014 (Богданова, О.В. Е.И. Замятин: Pro Et Contra. Личность и творчество Евгения Замятина в

<sup>1</sup> ფრედერიკ ლეფევრი (1889-1949) – ფრანგი მწერალი, ლიტერატურის კრიტიკოსი, ლიტერატურული გაზეთის *Les Nouvelles Littéraires* რედაქტორი.

<sup>2</sup> პიერ დრიე ლა როშელი (1893-1945) – ფრანგი მწერალი, ესეისტი.

- оценке отечественных и зарубежных исследователей. Антология. Санкт-Петербург: 2014).
- Bowker, Gordon. *Inside George Orwell: A Biography*. Published by Palgrave Macmillan. New York: 2003.
- Hutchings, William. *Structure and Design in a Soviet Dystopia: H. G. Wells, Constructivism, and Yevgeny Zamyatin's "We"*. *Journal of Modern Literature*, 1981-1982. Vol. 9. No. 1. pp. 81-102. Indiana University Press. 1981-1982.
- Keiper, Caitrin. *Brave New World at 75. Reading Aldous Huxley's novel as its first readers did*. 2007. <https://www.thenewatlantis.com/publications/brave-new-world-at-75>
- Orwell, George. *The Collected Essays, Journalism and Letters of George Orwell. Volume IV. In Front of Your Nose 1945-1950*. pp. 72-75; 417-418. Seeker & Warburg. London: 1968.
- Stodola, Sarah. *We: The Novel That Inspired George Orwell's "1984"*. 2015. <https://www.mentalfloss.com/article/64492/we-novel-inspired-george-orwells-1984>
- Zamiat'ini, Evgeni. "Chven". Mtargmneli T'at'a Nik'oladze. Tbilisi: gamomtsemloba "ocho-p'int're", 2018 (ზამიატინი, ევგენი. „ჩვენ“. მთარგმნელი ტატა ნიკოლაძე. გამომცემლობა „ოჩოპინტრე“. 2018).
- Zamyatin, Yevgenij. *Sochineniya. Tom chetvertyj. Proza. Kinostsenarii. Lektsii. Retsenzii. Literaturnaya publitsistika. Stat'i na raznye temy*. str. 15-19; 252-255. A. Neimanis. Buchvertrieb und Verlag. Myunkhen: 1988 (Замятин, Евгений. Сочинения. том четвертый. Проза. Киносценарии. Лекции. Рецензии. Литературная публицистика. Статьи на разные темы. стр. 15-19; 252-255. А. Neimanis. Buchvertrieb und Verlag. Мюнхен: 1988).

**Irina Nozadze**  
(Georgia)

### **At the Origins of the 20th Century Dystopian Novel – Yevgeny Zamyatin's "We"**

#### **Summary**

**Keywords:** Zamyatin, Dystopia, Novel, Soviet Censorship, Orwell.

The 20th century prominent Russian writer Yevgeny Zamyatin's novel "We" belongs to one of the subgenres of social fiction – Dystopia. His dystopian novel precedes the dystopias of Aldous Huxley and George Orwell. It is significant that George Orwell considered himself as the successor of Zamyatin's novel. As one of the best representatives of the genre of fantasy and science fiction of the 20th century, American writer and literary critic Ursula Kreber Le Guin notes, Yevgeny Zamyatin's novel "We" is the greatest science fiction novel that had yet been written.<sup>1</sup>

Although Zamyatin's "We" came under the pressure of Soviet censorship, it was met with great interest by foreign critics. In his native country, the novel, which

---

<sup>1</sup> These words appear on the cover of the 1993 edition of the novel (Penguin Twentieth Century Classics).

was considered as a political mistake, came under fire of mass criticism. “We” was published in Russia only 70 years after it was written. Considering this background, the first Georgian translation of the novel (translator – Tata Nikoladze), which was published in 2018, is of particular importance. In fact, one way or another, it was through this translation that modern Georgian readers got to know with Zamyatin, which created a kind of basis for the rediscovery and study of the not so widely known writer and his novel – “We”.

The novel “We” was written in 1920 – shortly after the writer’s return from England to Russia which was filled with a revolutionary atmosphere (according to some reports, the work on the text continued until 1921). Due to the censorship of Soviet Russia, it was impossible to publish the novel in his homeland, although the writer was reading it at literary evenings in Moscow and Leningrad (Saint Petersburg). Thus, due to wide interest, “We” was distributed as a manuscript. In addition, the novel attracted the attention of foreign readers and Zamyatin received numerous offers to publish it.

The structure of the story – “text within the text” – which is one of the main markers of the novel, is the basis of the process of its creation and realization of the values and interests of the character who has become an author. The form of a diary, the notes add a confessional character to the novel. The main character, who is an apologist for the existing system, tries to use mathematical formulas to prove the wisdom of the principles on the basis of which the One State was formed. The philosophy of forced happiness is perfectly demonstrated by the writer. Freedom, which according to Christian belief is most precious to a man, was shown to us as delusion in the novel, which is “facilitated” by the writer’s free variation of biblical allusions through irony.

George Orwell unequivocally considered himself as the successor of Zamyatin’s novel “We”, he precisely understood the essence of his originality in the conclusion of a short but accurate review of the novel. In 1906 the Tsarist government imprisoned Zamyatin, in 1922 he suffered the same fate at the hands of the Bolsheviks. By this time, the writer had no excuse to admire the existing political regime, and it is important to note that his novel was not just the result of impulsive anger: *“It is in effect a study of the Machine, the genie that man has thoughtlessly let out of its bottle and cannot put back again”* (Orwell 1968: 75). It is unlikely that Orwell meant only the process of uncontrolled development of technology in the concept of “machine”, because “machine”, that is, in the 20th century, the human civilization itself was presented to us as an inanimate and uncontrollable object.

At the end of 1945 Zamyatin’s “We” finally ended up in Orwell’s hands and in January 1946 he published a review of the novel in the social-democratic magazine “Tribune”. Orwell was most struck by the similarities between Zamyatin’s “We” and Aldous Huxley’s “Brave New World”: *“Both books deal with the rebellion of the primitive human spirit against a rationalised, mechanised, painless world [...] The*



*atmosphere of the two books is similar, and it is roughly speaking the same kind of society that is being described, though Huxley's book shows less political awareness and is more influenced by recent biological and psychological theories” (Orwell 1968: 72).*

Both George Orwell and Aldous Huxley relied on Zamyatin's model of the novel (although Huxley did not admit having read Zamyatin's novel, unlike Orwell, who not only read “We”, but also wrote a review of it). It is clear that Orwell borrowed from Zamyatin not only the plot and main characters, but also many characteristics of the society he describes. American writer, playwright and essayist Kurt Vonnegut, talking in an interview with “Playboy” magazine about his “Player Piano”, has noted that he *“cheerfully ripped off the plot of “Brave New World”, whose plot had been cheerfully ripped off from Yevgeny Zamyatin's “We” (Allen 1999: 93).*

According to Huxley, reading of H. G. Wells's “Men like Gods” caused in him a reaction that turned into a directed obsession, leading to a cynical anti-idealism. Thus, before he had finished reading the book, he had already decided to make an unforgiving parody of the most optimistic utopias of Wells.

Since Huxley deliberately decided to satirize the utopian ideas of Wells, the question arises: where should we look for the foundations of his own dystopian ideas? Zamyatin generously answers this question in an interview with Frédéric Lefebvre: *“Pierre Drie La Rochelle told me a few days ago that during the meeting he asked Huxley if he was familiar with my novel. The coincidence, of course, turned out to be accidental. However, such a coincidence suggests that similar ideas are scattered around us, in the ominous air we breathe” (Замятин 1988: 16).*

As it's known, particular events mentioned by Zamyatin in the novel came true in the future and the writer's position towards certain issues attracts attention even today and does not lose its relevance. Although the novel had to remain in the shadows for some time, we can say for sure that the organized model of the 20th century dystopian novel was first proposed by Yevgeny Zamyatin. In modern literature, there is no doubt that the appearance of the novel “We” in the 20th century gave impetus to the process of establishing a new genre – dystopian novel.

**ქეთევან ჯიშიაშვილი**  
**(საქართველო)**

**ფერის ფუნქცია და სიმბოლიკა ლექსში „თოვლი“**

გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „თოვლი“ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს როგორც ფორმისა და შინაარსის უნიკალური სინთეზის ნიმუში. ლექსის სახეობრივი ქსოვილი დატვირთულია დიდი კონოტაციური და ასოციაციური პოტენციალით, მათ შორის, ისეთი სახეებით, რომლებიც უშუალოდ უკავშირდებიან კოლორისტულ სახისმეტყველებას და შესაბამის ასოციაციურ მნიშვნელობებს. მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმე მოსაზრებას ლექსის ფერადოვან შთაბეჭდილებათა გენეზისის შესახებ.

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ბაროკოს საკითხი პირველად XX საუკუნის ბოლოს გაჟღერდა. 1970-იან წლებში გიორგი გაჩეჩილაძემ წამოაყენა თეორია ქართული ბაროკოს არსებობის შესახებ, რასაც მალევე გამოეხმაურა ირაკლი კენჭოშვილი, რომელმაც XVII-XVIII საუკუნის ქართულ ლიტერატურას „ქართული აუთენტური ბაროკო“ უწოდა (იხ. ირაკლი კენჭოშვილი „ქართული აუთენტური ბაროკოს გამო“, ჟურნ. „ცისკარი“, N9, 1973 წელი). 2009 წელს კი გამოიცა მიაა ნაჭყებია კვლევა „ქართული ბაროკოს საკითხები“, რომელშიც გამოკვლეულია ქართული

ბაროკოს მახასიათებლები „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებების, თეიმურაზ I-ის, არჩილ მეფისა და დავით გურამიშვილის ტექსტებზე დაყრდნობით. ნინამდებარე კვლევა, ერთგვარად აგრძელებს და აფართოებს ქართული ბაროკოს კვლევის საკითხებს და თემატიკაში შემოჰყავს XVIII საუკუნის გამორჩეული ქართველი პოეტი, დიპლომატი და ფილოსოფოსი ბესარიონ გაბაშვილი.

ქართული ლიტერატურაზე საუბრისას ბაროკოს ცნებაში მოვიაზრებთ XVI-XVIII ს-ის პირველი ნახევრის ქართულ ლიტერატურას, რომელიც, თავის მხრივ, უამრავ საინტერესო, ეკლექტურ და ხშირად ურთიერთგამომრიცხავ ლიტერატურულ ნარატივებსა და პარადიგმებს აერთიანებს. ვფიქრობთ, ლიტერატურულ ტენდენციათა ნაირგვარობის ფონზე ნათლად იკვეთება რამდენიმე ფუნდამენტური ასპექტი, რომლებიც ამ პერიოდის ქართული ლიტერატურის ბაროკოს ესთეტიკის ფარგლებში იდენტიფიცირებისა და ინტერპრეტირების შესაძლებლობას გვაძლევს.

პირველ რიგში, გასათვალისწინებელია, რომ ევროპის მსგავსად XVI-XVIII საუკუნეები საქართველოსთვისაც ურთულესი ისტორიული პერიოდია; აღარ არსებობს ერთიანი სამეფო – აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფოები გათიშულნი არიან ერთმანეთისგან, ამასთან ქვეყანა ებრძვის ორ დამპყრობელს – ირანსა და ოსმალეთს, აღმოსავლეთ საქართველო კი, ფაქტობრივად, მინასთანაა გასწორებული ლეკთა შემოსევებისაგან. საქართველოს დიდება, ძლიერება, ერთიანობა, რომლის ლიტერატურული გვირგვინიც იყო რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, მთლიანად განადგურებულია. შესაბამისად, როგორც თანადროულ ევროპაში, ისე XVI-XVIII საუკუნეების საქართველოში სახეზე გვაქვს ჰუმანისტური მსოფლმხედველობის სრული კრიზისი. ფაქტზე ნათლად მეტყველებს ამ პერიოდის ქართული ლიტერატურული ნარატივი, პირველ რიგში, „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებები, რომლებიც რეალურად რუსთაველური (ჰუმანისტური, რენესანსული) იდეების სრულ დეკონსტრუქციას წარმოადგენს. რენესანსული იდეებისა და იდეალების დეკონსტრუქცია იკვეთება „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებების სათაურების დონეზეც კი: „სიკვდილი ავთანდილისა და ცოლისა მისისა თინათინისა“, „ანდერძი ავთანდილისა, რომელი თქვა ჟამსა სიკვდილისა მისისა“.<sup>1</sup>

მეორე უმნიშვნელოვანესი ასპექტი, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს XVI-XVIII საუკუნის ქართული მწერლობა ევროპული კულტურის ფარგლებში განვიხილოთ, არის ამ პერიოდის მწერლობაში ქრისტიანული თემატიკის დაბრუნება. ჯერ კიდევ მონღოლების შემოსევებიდან დაწყებული საუკუნეების განმავლობაში საქართველო აღმოჩნდა მუსულმანურ სარტყელში, რამაც, ბუნებრივია, უდიდესი გავლენა იქონია ლიტერატურაზე. XVI საუკუნიდან განსაკუთრებით მომძლავრებულია სპარ-

1 საკითხის დეტალური გამოკვლევა იხილეთ მაია ნაჭყებias სტატიაში „ბაროკოს ნაკადი ვეფხისტყაოსნის გაგრძელებებში“ (ნაჭყებია 2009: 22).

სული ნაკადი, რაც გამოვლინდა როგორც თემატიკის (შფრ: „ვარდბულ-ბულიანი“, „შამიფარვაზიანი“), ისე სტილისტურ (შდრ: მაჯამური რით-მები, მუხამბაზები) დონეებზე. თუმცა ამის მიუხედავად, ფაქტია, რომ უკვე XVI-XVII საუკუნეებში ქართულ ლიტერატურაში მძლავრად იწყებს დაბრუნებას ბიბლიური, ქრისტიანული თემატიკა, აღმოსავლური გავლენა კი თანდათან მცირდება. მოვლენის კულმინაციაა დავით გურამიშვილის „დავითიანი“, რომლის სახისმეტყველებაც მთლიანად დაფუძნებულია ქრისტიანულ მხატვრულ სახეებზე. ქრისტიანული მოტივის ასე მძლავრად დაბრუნება კი უკვე არა მხოლოდ ლიტერატურული, არამედ ქვეყნის ეროვნულ-პოლიტიკური გადანწყვეტილების გამოხატულებაა. სწორედ ამ ფაქტს უსვამს ხაზს მკვლევარი ირმა რატიანი და შენიშნავს: „კულტურული ქრონოლოგია ყოველთვის როდი ემთხვევა ისტორიულ ქრონოლოგიას, არამედ წინ უსწრებს მას“ (რატიანი 2017: 7).<sup>1</sup>

რენესანსზე რეაქცია და ქრისტიანული თემატიკის წინ წამოწევა, რაც ბაროკოს მსოფლმხედველობის ორი ძირითადი მოდელია, ქართული კულტურის შინაგანი განვითარებისთვის ბუნებრივი მოვლენაა. ჰუმანიზმზე რეაქცია იმთავითვე წარმოშვა ურთულესმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ, ხოლო ქრისტიანულ თემატიკა იმთავითვე წარმმართველი იყო ქართული მწერლობისთვის (იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებიდან“ დაწყებული სასულიერო ლიტერატურის ყველა წყარო გამოვლინდა ქართულ მწერლობაში: ჰიმნოგრაფია, ჰაგიოგრაფია, ეგზეგეტიკა და ა.შ.). შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბაროკალური ესთეტიკა ქართული კულტურის განვითარების ბუნებრივი საფეხურია, რაც ეხმიანება უოლტერ მოსერის პოლიგენეზის თეორიას, რომლის მიხედვითაც, ბაროკო დასავლური კულტურული პროცესის ზოგადი, ტიპური საფეხურია და ის სხვადასხვა ქვეყანაში დამოუკიდებლად აღმოცენდა საერთო ევროპული კრიზისის ფონზე.

ვფიქრობთ, ბაროკოს მიმდინარეობის ფარგლებში შეგვიძლია განვიხილოთ ბესარიონ გაბაშვილის (1750-1791) შემოქმედება. მისმა მწერლობამ უდიდესი გავლენა იქონია ქართული პოეზიის განვითარებაზე – XVIII საუკუნეშივე მას უამრავი მიმბაძველი გამოუჩნდა, მისი ლექსები კი თბილისის ქუჩებში საყვარელ სიმღერებად იქცა. ბესარიონ გაბაშვილის შემოქმედებაც, მსგავსად მისი თანამედროვე ქართველი მწერლებისა, საკმაოდ ეკლექტიურია; მძლავრად იგრძნობა აღმოსავლური ნაკადი, თუმცა თუ დაკვირვებით და გამოვიკვლევთ ბესარიონ გაბაშვილის შემოქმედებას, აშკარად დავინახავთ ბაროკალურ ტენდენციებს. ვფიქრობთ, ამის დასტურად ისიც შეგვიძლია გავიხსენოთ, რომ ქართველი მოდერნიზმები თავიანთ ლიტერატურულ წინაპრად ასახელებდნენ სწორედ ბესარიონ

<sup>1</sup> თუმცა ამავე პერიოდზე მსჯელობისას ირმა რატიანი აქცენტს აკეთებს განმანათლებლობისა და კლასიციზმის ლიტერატურულ მიმდინარეობებზე, თუმცა მეცნიერის პოზიცია არ შეიცავს ბაროკოს გამომრიცხავ მოსაზრებებს.

გაბაშვილს (ბესიკს) – შდრ: „ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდღერის ბოროტ ყვავილებს“. ტიცთან ტაბიძის ეს სიტყვები ქართული სიმბოლიზმის განმსაზღვრელადაც კი იქცა. გიორგი ლეონიძემ იმოგზაურა ბესიკის ნაკვალებზე და სპეციალური გამოკვლევა უძღვნა მის შემოქმედებას.<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ ლიტერატურათმცოდნეები მოდერნიზმის წინაპირობას ბაროკოსა და რომანტიზმში ხედავენ, მეტიც, რომანტიზმს ნეობაროკოსაც კი უწოდებენ, რადგან სწორედ ბაროკოს ესთეტიკაში ჩაისახა ის უმნიშვნელოვანესი მეტაფორები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარა მოდერნისტულ მსოფლმხედველობასა და ესთეტიკას. ვფიქრობ, ამას იმანენტურად გრძნობდნენ ქართველი მოდერნისტი მწერლები და უმთავრესად პოეტები, რომლებიც სწორედ ბესიკს (ბაროკო) და ნიკოლოზ ბარათაშვილს (რომანტიზმი) მიიჩნევენ მათ წინამორბედებად. მხოლოდ ეს დაკვირვებაც ცხადყოფს, რომ საჭიროა ბესარიონ გაბაშვილის შემოქმედების შესწავლა ბაროკოს ჭრილში.

ბესარიონ გაბაშვილის შემოქმედება მრავალფეროვანია როგორც ჟანრობრივ-თემატური, ისე სტილისტური თვალსაზრისით. მას ეკუთვნის ეროვნული თემატიკაზე შექმნილი პოემები „რუხისის ბრძოლა“ და „ასპინძისათვის“, რომლებშიც იგრძობა საგმირო ეპოსის ელემენტები; დიდაქტიკური ხასიათის პოემა „რძალ-დედამთილიანი“, რომელშიც ვლინდება ხალხური პოეზიის გავლენა და სატირული ელემენტები; ხალხური პოეზიის, კერძოდ, დატირების გავლენა იგრძნობა ბესიკის ოდაში „სამძიმარი (სამგლოვიარო ოდა“), რომელიც მან ლევან ბატონიშვილს მიუძღვნა. შემორჩენილია აგრეთვე ბესიკის ეპიგრაფიკული ხასიათის მასალა და დიპლომატიური წერილები. თუმცა ყველაზე მეტად ბესიკი ცნობილია მისი სატრფიალო ლირიკით.

ეროვნულ თემატიკაზე შექმნილ პოემებში ასახულია კონკრეტული მოვლენები საქართველოს ისტორიიდან. „რუხისის ბრძოლა“ ასახავს იმერეთისა და აფხაზეთის ომს, „ასპინძისათვის“ კი გადმოგვცემს ასპინძის ომის მოვლენებს. პოემების პათოსი ნაკარნახევია საქართველოს მძიმე ისტორიული მდგომარეობით. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ეროვნულ თემატიკაზე შექმნილ ორივე პოემაში მოქმედება ვითარდება კონკრეტულ გარემოში, მოქმედი პერსონაჟები არიან რეალური ისტორიული პიროვნებები და სიუჟეტის გადატანა აღარ ხდება უცხო სამყაროში. ქრონოტოპი უკვე კონკრეტულია და ქების ობიექტებიც რეალური ისტორიული პირები არიან – უცხო გმირისა და უცხო თემატიკის სუბლიმაცია ხდება ნაციონალური ქრონოტოპითა და ნაციონალური თემატიკით. ეს ტენდენცია კი XVI-XVII საუკუნის დასავლურ ლიტერატურას ახასიათებს – შდრ: სენ სორლენის პოემა „კლოვოსი ანუ გაქრისტიანებული საფრანგეთი“

<sup>1</sup> გიორგი ლეონიძის გამოკვლევა „ბესიკის ცხოვრება და შემოქმედება“ გამოქვეყნდა გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“, 1941 წელი, 11 აპრილი, N15. „ლიტერატურული საქართველო“, 1941 წელი, 11 აპრილი, N15.

(1657), შაპელენის „ქალწული“ (ნაჭყებია 2009: 16). აღსანიშნავია, რომ ეროვნული თემატიკით დაინტერესება, ეროვნული გმირების წინ წამოწევა ჩანს ჯერ კიდევ თეიმურაზის შემოქმედებაში (შდრ: თეიმურაზის „წამება ქეთევან დედოფლისა“) და ამ ტენდენციის გამგრძელებლად შეგვიძლია მივიჩნიოთ ბესარიონ გაბაშვილი.

ისტორიული მოვლენებისადმი მიძღვნილ ტექსტებში მნიშვნელოვანია სამგლოვიარო ოდა „სამძიმარი“, რომელიც პოეტმა ლევან ბატონიშვილს მიუძღვნა. ლევან ბატონიშვილის მუხანათური მკვლევლობა ბესიკმა დაუკავშირა ბიბლიურ პირველცოდვას, ხოლო თავად ლევან ბატონიშვილი მოიხსენია, როგორც დავით წინასწარმეტყველის შთამომავალი. ლექსი მთლიანად გამსჭვალულია ქრისტიანული სიმბოლიკით:

დავითის ძეო, იდუმალ განაძეო, სამოთხის ხეო,  
უნყალოდ შენარხეო (გაბაშვილი 1962: 138).

ბესიკის შემოქმედებაში კიდევ ერთი ფართო თემაა სოფლის სამდურავი, რომელიც ლაიტმოტივად გასდევს მთელ მის მწერლობას. ეს თემა გარკვეულწილად უკავშირდება და აირეკლავს პოეტის მძიმე ბიოგრაფიულ ხვედრს (შდრ. ლექსი „ჰაერი ცივნამიანი“) – ბესიკი წლების განმავლობაში ერეკლე მეფის სამეფო კარზე დანიშნულებული პირი იყო, თუმცა პოეტის მამის, ზაქარია გაბაშვილისა და ანტონ კათალიკოსის ცნობილი დაპირისპირების გამო<sup>1</sup> ბესიკი იძულებული გახდა დაეტოვებინა სამეფო კარი და იმერეთის სამეფოში გადასულიყო. იმერეთში ბესიკი უკვე ჩართეს ერეკლე მეფის წინააღმდეგ წამოწყებულ შეთქმულებაში, საიდანაც იწყება პოეტის დიპლომატიური მისია რუსეთში, სადაც აღესრულა კიდევ. ბესიკისთვის ძალიან მძიმე იყო მოლაღატის სტატუსით ერეკლე მეფის სამეფო კარის დატოვება. მკვლევარი ალექსანდრე ბარამიძე შენიშნავს „პოეტი ძლიერ ხშირად უჩივის თავის ბედს „ვა ჩემსა ბედსაო, მისი „დღენი არს შესაზარი“. ის ყოფილა „ბედკრული“ „ბედბმული“, „ბედისაგან იავარქმნული“. მგოსანს „ჰკლავს და აწყლულებს სევდისა შხამი

<sup>1</sup> ბესარიონ გაბაშვილის მამა, ზაქარია გაბაშვილი XVII-XVIII საუკუნეს მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურა იყო. მღვდელი ზაქარია უდიდეს ძალაუფლებას ფლობდა თეიმურაზ I-ის მეფობისას, ის იმთავითვე დაუპირისპირდა ანტონ კათალიკოსს, რადგან ზაქარია ანტონს ბრალს სდებდა კათოლიციზმისადმი მიდრეკილებაში. 1755 წელს საეკლესიო კრებამ ანტონი თანამდებობიდან გადააყენა, რის შემდეგაც ანტონი რუსეთში გაემგზავრა და სინოდის წინაშე თავის მართლებაც მოუწია. როგორც ირკვევა, ზაქარიას მხარს უჭერდა მეფე თეიმურაზი, ერეკლე კი არა. ერეკლეს გამეფების შემდეგ (1762), ანტონი საქართველოში ბრუნდება და მთელ ძალაუფლებას იბრუნებს, 1764 წლის საეკლესიო კრებამ კი უკვე ზაქარია განკვეთა მღვდლობისგან და შეაჩვენა. ზაქარია იმერეთში გადავიდა და ჩაერთო ერეკლე მეფის წინააღმდეგ წარმოებულ საქმიანობაში. ერეკლეს სამეფო კარზე დანიშნულებული ბესარიონ გაბაშვილს, ანტონ კათალიკოსი იმთავითვე ეჭვის თვალით უმზერდა და, მართლაც, პოეტი მალევე იძულებული გახდა დაეტოვებინა ერეკლეს სამეფო კარი (უფრო დანვრლებით იხილეთ ალ. ბარამიძის სტატია “ბესარიონ გაბაშვილი“, გაბაშვილი 1962: 5-28).



(ბარამიძე 1962: 18). თუმცა, ვფიქრობთ, ჩვენთვის ამოსავალია ის ფაქტი, რომ ბესიკის შემოქმედებაში სოფლის სამდურავის თემა არ რჩება მხოლოდ პირად ბიოგრაფიულ საზღვრებში და მალდება ონტოლოგიურ მნიშვნელობამდე – ნალველი აღიქმება, როგორც ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობა. თითქოს პოეტი შეგუებულია იმ აზრს, რომ სევდა და მწუხარება ადამიანის ეგზისტენციის განუყოფელი ნაწილია. შესაბამისად, მის პოეზიაში სამყარო აღარ არის სანდო და ადამიანი აღარ არის ამ სამყაროს გვირგვინი.

ვფიქრობთ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ბესიკის შემოქმედებაში სოფლის სამდურავის თემა გადატანილია ონტო-ეგზისტენციალურ კონტექსტში. ამ კუთხით განსაკუთრებით საყურადღებოა ლექსი „ბედისადმი“, რომელშიც ავტორი ბედს ახასიათებს, როგორც ეშმაკისეულ, მუხთალ და უსამართლო არსებას. ლექსის ეპიგრაფში ადამიანის მეტაფორად გვევლინება ყარიბი, ანუ მოგზაური, რაც არ არის ერთეული შემთხვევა ბესიკის შემოქმედებაში (შდრ: „მე მივხვდი მაგას შენსა ბრალეებსა“, „მნათობთადმი“, „სევდის ბაღს“, „ეტლზედ“). ბესიკის მხატვრულ სამყაროში ყარიბი უკვე ზოგადი მეტაფორაა ადამიანისა და ის ვეღარ დაიყვანება მხოლოდ უშუალოდ ლირიკულ გმირსა და, მით უმეტეს, მხოლოდ პოეტის ავტობიოგრაფიაზე. საინტერესოა, რომ მგზავრის, მოგზაურის თემატიკა შემდეგ წარმმართველად გადაიქცა სწორედ რომანტიზმისა და მოდერნიზმის ესთეტიკაში.<sup>1</sup>

გარდა ამისა, ლექსში „ბედისადმი“ ბედი დაკავშირებულია ბიბლიურ სიმბოლიკასთან და გაიგივებულია გველთან:

ან გიცან, გველო, სამოთხით განმადყო,  
შავბედო არსად არაო! (გაბაშვილი 2017: 3)

ამასთან, ბედი არის სუბსტანცია, რომელიც უშობელია, კეთილ საწყისებს მოშორებულია:

უცხო ხარ შობით, უღმრთოდ დანაბადეო; ვითლა გენდო.  
(გაბაშვილი 2017: 3)

შესაბამისად, მხოლოდ ამ ლექსითაც კი ჩანს, რომ ბესიკის მხატვრული სამყაროს მოდელი აბსოლუტურად განსხვავდება და უპირისპირდება სამყაროს ჰუმანისტურ მოდელს. „ვეფხისტყაოსანში“ გატარებული

1 რომანტიზმის მიმდინარეობის ერთგვარ სიმბოლოდ აღიარებულია კასპარ დავიდ ფრიდრიხის ფერწერული ტილო „მოგზაური ღრუბელთა ზღვაზე“ (1918), მოგზაურია მოდერნიზმის წინამორბედი ფილოსოფიური ტექსტის გმირიც, ნიცშეს ზარატუსტრაც. მოდერნიზმში უკვე მოგზაურობის თემა ფართოვდება და ლიტერატურული გმირი იწყებს მოგზაურობას თავის შინაგან სამყაროში, ქართულ ლიტერატურაში ამის მაგალითია კონსტანტინე გამსახურდიას ექსპრესიონისტული დრამა „გარსი მარადი“, სადაც მთავარი გმირი სახელდება „გარსი“, როგორც მგზავრი და დრამა გადმოგვცემს გმირის მოგზაურობას საკუთარ შინაგან სამყაროში.

ლია სამყაროს აღქმის ნეოპლატონისტური მოდელი, რომლის მიხედვითაც ღმერთი კეთილის შემოქმედია და ბოროტება უსუბსტანციოა (შდრ: „ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა“). შესაბამისად, ადამიანი ენდობოდა სამყაროს, რომელსაც კეთილი ძალა განაგებდა და ამ კეთილი ძალის გამოხატულება იყო სიყვარული, რომელიც ადამიანს ღვთაებრიობამდე ამაღლების შესაძლებლობას აძლევდა (შდრ: „სიყვარული აგვამაღლებს, ვით ეჟვანნი ამას ჟღერენ“). ამის საპირისპიროდ, ბესიკთან სამყაროსა და ადამიანის ეგზისტენციას განაგებს ბედი, რომელიც ამოუცნობი, ადამიანისადმი მტრულად განწყობილი ფენომენია. ამასთან, სიყვარული არის არა სიხარულისა და ღვთაებრიობის მომნიჭებელი გრძნობა, არამედ ადამიანის ტანჯვის კიდევ ერთი უმტკივნეულისი გამოხატულება (სიყვარულთან ბესიკის დამოკიდებულებაზე დანვრისლებით იხილეთ ქვემოთ).

სამყაროს არასრულყოფილებისა და დესტრუქციულობის კონტექსტს უკავშირდება ბესიკის ლექსი „ან“-ზე სით მოხვალ“, რომელშიც ადამიანის მეტაფორად კვლავ ყარბი გვევლინება. ლექსში არეკლილია მწერლის ავტობიოგრაფიული მოტივები – ასახულია ის გზა, რომელზეც ცხოვრებისეული სირთულეების გამო გაიარა პოეტმა, მაგრამ რეალურ ქრონოტოპთან ერთად კონტექსტი გაშლილია და მოიცავს მხატვრულ სამყაროსაც. ლექსში ლირიკული გმირი (ყარბი) მოგზაურობს მთელ სამყაროში, მათ შორის როგორც ნამდვილ, ისე ზღაპრულ რეალობაში: ყარბი მოივლის ევროპას, გულანშაროს, ლაზეთს, პეტერბურგს, ციმბირს და ყველგან დაეძებს მშვიდ სულიერ სამყოფელს. ტრაგიკულია, რომ ლირიკული გმირი ვერსად იპოვის თავშესაფარს და ასკვნის, რომ ადამიანისთვის მთელი სამყარო დესტრუქციულია და არსად მოიძებნება მშვიდი ნავსაყუდელი.

ჰოი, სოფელო პირდამყოფელო!

ჰოუ, დრკუო, ცრუო! ჰოი, მრუდო, ცუდო!

ჰოი, ვაი, ჰაი! ნეტარ ხარ რაი?

და ჰოი, შენსა პირსა ვინ ეტრფის, ტირსა!

ჰაი, ჰაი, გიცან, ჰოი, ეშმაკთ ზღუდო!

(გაბაშვილი 2017: 44)

საინტერესოა, რომ სამყაროს მოუხელთებლობის, გაურკვევლობის წარმოჩენა ბაროკოს დამახასიათებელი მოვლენაა. ამ ლექსშიც ლირიკულმა გმირმა მოიარა მთელი სამყარო – როგორც რეალური, ისე ირეალური პლასტები, მაგრამ მაინც ვერ გაარკვია, რა არის სოფლის რეალური არსი და საბოლოოდ ბოლო ტაეპში ის მაინც ეშმაკის სამყოფელს („ეშმაკთ ზღუდეს“) დაუკავშირა.

ამ დასკვნით საბოლოოდ უკუგდებულება ბოროტების არარსებობის რუსთველური თეზა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ქრონოტოპის ერთიანობის რღვევა – რეალური და არარეალური პლასტების მოულოდნელი სუბლიმაცია, რაც გამოკვეთილია ბესიკის ლექსში „ან“-ზე სით მოხვალ“, ბაროკოს ესთეტიკის დამახასიათებელი მოვლენაა. ეს ტენდენცია სწორედ ბაროკოს მიმდინარეობის ფარგლებში იღებს სათავეს და შემდეგ წარმართველი ხდება მთელი დასავლური ლიტერატურისთვის. მოდერნიზმისა და პოსტმოდერნიზმის ეპოქაში მწერლები უკვე შეგნებულად მიმართავენ ქრონოტოპის დეკონსტრუქციას, სადაც რეალური, მხატვრული, წარმოსახვითი და სიზმრისეული პლანები ისე ენაცვლებიან ერთმანათს, რომ უკვე შეუძლებელიც კი ხდება მათ შორის საზღვრის გავლება (შდრ. კ. გამსახურდიას მოდერნისტული რომანი „დიონისოს ღიმილი“).

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ბესიკის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი მაინც სიყვარულის თემას ეძღვნება, პოეტმა სახელი პირველ რიგში სწორედ სატრფიალო ლირიკით გაითქვა. ბესიკის სამიჯნურო ლირიკაში იგრძნობა აღმოსავლური გავლენა, როგორც თემატიკის ჭრილში (ველად გაჭრა, სატრფოსთვის ცრემლთა დენა), ისე მხატვრული სახეებისა (მთვარის, ვარდის, ძვირფასი თვლების მეტაფორები) და სტილისტურ ასპექტებში (მაჯამური რითმები, აკროსტიხები, ჰიპერბოლათა სიუხვე). ამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია დავასახელოთ ლექსები:

„პირ ზამბახნი“, „ან, ალვა ხარ ტანადობით“, „ვარდო სასურო“, „დილას მთიებს“. თუმცა, ვფიქრობთ, აღმოსავლური ლირიკასთან შედარებით არის ერთი ფუნდამენტური განსხვავება: სუფიურ პოეზიაში სიყვარულის ობიექტი ყოველთვის არის ღმერთი და ქალის ხატს მიღმა ყოველთვის ღვთაებრივი სუბსტანცია იგულისხმება, მაშინ როდესაც ბესიკის ლექსებში სატრფოს ობიექტი კონკრეტულ ნიშნებს ატარებს.<sup>1</sup> ვფიქრობთ, ამქვეყნიური სიყვარული ბესიკის შემოქმედებაში სამყაროში არასრულყოფილების, ყოფიერების დესტრუქციულობისა და ადამიანის დაუსრულებელი ტანჯვის უმთავრესი გამოხატულებაა. აქვე მივუთითებთ, რომ აღმოსავლურ პოეზიასთან მსგავსებ, შესაძლოა განპირობებული იყოს „ვეფხისტყაოსნის“ გავლენითაც და არა იმდენად უშუალოდ აღმოსავლური სუფიური ლირიკის ანალოგიით. აღსანიშნავია, რომ „ვეფხისტყაოსანში“ მოიძებნება ანალოგი ყველა იმ აღმოსავლური ელემენტისა, რომლებიც გამოვლენილია ბესიკის სატრფიალო ლირიკის ნიმუშებში. მეტიც, „ვეფხისტყაოსნის“ გავლენა ბესიკის შემოქმედებაზე იმდენად დიდია, რომ ხშირია პირდაპირი ალუზიები და მეტაფორებიც კი რუსთველური ტექსტიდან, მაგალითად:

1 სარგის ცაიშვილმა სპეციალური გამოკვლევაც უძღვნა ბესიკის შემოქმედებაში სატრფოს ვინაობის თემას და დაადგინა რომ მის შემოქმედებაში სატრფიალო ლექსების უმეტესობა ეძღვნება მაია ყულარაღასის ქალს (დანვრილებით იხილეთ სარგის ცაიშვილის გამოკვლევა „ბესიკი“, 1962 წელი).

ბროლის ცაზედ ქუფრად ხალნი იმკობის,  
ყორნის ბოლო მშვილდ-ქამანდი სად არი?  
(გაბაშვილი 2017: 17)

ვფიქრობთ, ბესიკის შემოქმედებაში გამოვლენილი მყარი ონტო-ეგზისტენციალური კრიზისის კიდევ ერთი ფუნდამენტური ნაწილია ბესიკის დამოკიდებულება სიყვარულთან. სიყვარული ყოველთვის ტანჯვასთან ასოცირდება და ავსებს სამყაროს ნაკლოვანების მოდელს. აქ სატრფოსთან ბედნიერი ცხოვრება იმანენტურად უარყოფილია და, შესაბამისად, სიყვარულიც ტანჯვის წყაროა ლირიკული გმირისთვის. ადამიანის ნაკლოვანი ბუნებისათვის შეუძლებელია ბედნიერების მიღწევა დედამიწაზე. აღსანიშნავია, რომ ლექსში „სამძიმარი“ ადამიანის ნაკლოვანი ბუნების არსებობა დაკავშირებულია პირველცოდვასთან:

მოვედინ, ევა,  
ტირილით არს მონვევა,  
განახდა წყევა,  
სამოთხით განმოსრევა.  
(გაბაშვილი 1962: 135)

აღსანიშნავია, რომ დასავლელი მკვლევრები ბაროკოს სატრფიალო ლირიკაზე მსჯელობისას, აღნიშნავენ, რომ ბაროკოში სიყვარული დესტრუქციულია, რაც ხშირად სწორედ ადამიანის ცოდვილ ბუნებას უკავშირდება. ფ.ჯ უარნკე გამოკვლევაში „ბაროკოს პოეზია და წინააღმდეგობის გამოცდილება“ წერს, რომ ბაროკოს პოეზიაში შეუძლებელია წყვილის ბედნიერება, რადგან „სასრულობის საზღვრებში შეუძლებელია უსასრულობა“ (Warnke 1967: 44). ენდრიუ მარველის ლექსში „უიმედო შეყვარებულნი“ („The Unfortunate Lover“) სიყვარულის დასაზღვრულობა სწორედ ადამის პირველცოდვასთანაა წილნაყარი. ბესიკთან ამ ტენდენციის კულმინაციაა პოეტის ლირიკული შედევი „სევდის ბაღს შვევლ“, რომელშიც სამყაროს მეტაფორაა სევდის ბაღი. ამ ლექსის სათაურშივე გაცხადებულია პოეტის დამოკიდებულება სამყაროსთან, როგორც მტანჯველ ფენომენტთან, სადაც იმთავითვე შეუძლებელია ადამიანის ბედნიერება.

ამავე თემატიკის რკალში რკალში ყურადღებას გავამახვილებთ ბესიკის ლესზე „ყოვლად წმიდის ქება“, რომელიც სატრფიალო ლირიკის სტილშია დაწერილი, თუმცა ლექსი ღვთისმშობელს ეძღვნება:

ჯერუსაევრ ქება შენი  
არვის ძალუძს, ღვთისა სძალო,  
ჯერარს, შეკრბენ ანგელოსნი,  
ქვეყნიერნი კაცნი, ქალო,

ჯობს, რომ გიძღვნან კინამ-კასნი,  
გუნდრუკ-მური და შტახს-ალო!  
ჯვარცმულისა ქრისტეს დედავ,  
ცოდვილს მკურნე, დედოფალო!  
(გაბაშვილი 2017: 45)

ლექსში ვლინდება ამაღლებული, მისტიკური განწყობილება, რომელიც ხაზგასმულია ბიბლიური სახისმეტყველებით – პოეტი ღვთისმშობელს მოიხსენიებს სახარებისეული მეტაფორით და მას „ღვთის სძალს“ უწოდებს. ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ოდები დასავლური ლიტერატურისთვისაა დამახასიათებელი, რაც თავს იჩენს დასავლური ლიტერატურის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. ქართულ რეალობაშიც, ეს ხაზი საუკუნეების განმავლობაში ვლინდება ჩვენს პოეზიაში, შესაბამისად, ბესიკის ეს ლექსი გვევლინება, ერთი მხრივ, ქართული ჰიმნოგრაფიული საგალობლების გაგრძელებად, ხოლო, მეორე მხრივ, ქართული მოდერნიზმის წინამორბედად (შდრ: გალაკტიონის „მზეო თიბათვისა“). ეს დეტალიც კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ქართული ბაროკო, ქართული კულტურისა და ლიტერატურის განვითარების ბუნებრივი საფეხურია.

დასავლური კულტურისკენ ორიენტაციაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ბესიკის შემოქმედებაში ხშირად გვხვდება ანტიკური მხატვრული სახეები, მის შემოქმედებაში ხშირად ვხვდებით პლატონის, არისტოტელეს, პროკლესა და ჰომეროსის სახელებს (შდრ: „მნათობთადმი“). სარგის ცაიშვილი შენიშნავს: „არისტოტელე და პლატონი აქ (ბესიკის შემოქმედებაში) ყოველი ფეხის ნაბიჯზე გვხვდება. ან პროკლე და დიოლონი. ჰომეროსის გნურებუ: აქილევსი და ჰექტორი, აგრეთვე ტროილი, პრიამე, ორესტესი და სხვა“ (ცაიშვილი 1962: 19). გარდა ამისა, ცნობილია, რომ სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ბესიკი ფსევდონიმად იყენებდა ველიზარიანს, რაც ფრანგი იეზუიტი მოღვაწის, მარმონტელის, თხზულების სათაურიდან მომდინარეობს. ცნობილია, რომ მარმონტელის „ველიზარიანი“ 1782-1787 წლებში ქართულად თარგმნა გაიოზ რექტორმა, შემდეგ კი ეს ტექსტი გადაუნერია თავად ბესიკს. ერთ-ერთ ხელნაწერში პირდაპირ ვკითხულობთ: „წმინდა გიორგის შესხმა იამბიკოდ აწერია „თქმული ველისარიონის მიერ“ (ლეონიძე 1988: 3). ფრანგი იეზუიტი მოღვაწის, იდეებით ასე დაინტერესება, რა თქმა უნდა, მიუთითებს ბესიკის დაინტერესებაზე დასავლური კულტურით (ლიტერატურული საქართველო, 20 სექტემბერი, 1988).

ბესიკის შემოქმედების სტილისტური მახასიათებლებიც იწერება ბაროკოს ესთეტიკაში.

ბაროკოს სტილს ახასიათებს მაღალმხატვრულობა, მიდრეკილება ჰიპერბოლებისაკენ, რთული მეტაფორები, დინამიკურობა და ეკლექტუ-

რობა. ჰიპერბოლების გამოყენება განსაკუთრებით თვალსაჩინოა საგმირო ხასიათის ლექსებსა და პოემებში („რუხისის ბრძოლა“, „ასპინძისათვის“). ბესიკის სტილზე საუბრისას ალ. ბარამიძე შენიშნავს, „ბესიკი ჭარბად ხმარობს არქაულ ფორმებსა და ლექსიკას, ხშირად შეგნებულად ართულებს და არსებითად აბუნდოვანებს პოეტურ სახეებსა და ფრაზეოლოგიას, ერთი სიტყვით, წერს მაღალფარდოვნად და ღვარჭნილად ღვლარჭნილობა იმდროინდელი მწერლობის ნიშანდობლივი სტილური მოვლენაა, რაც ანტონ კათალიკოსმა და იმისმა სკოლამ დააკანონეს“ (ბარამიძე: 27-28). არქაული ფორმების გამოყენება და სათქმელის რთულად წარმოჩენა, სწორედ ბაროკოს დამახასიათებელი სტილისტური ნიშნებია.

### დასკვნა

ზემოთ წარმოდგენილი გამოკვლევის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ XVI-XVIII საუკუნის ქართულ ლიტერატურაში იკვეთება ბაროკოს ტენდენციები, რაც შესაძლებლობას გვაძლევს ვისაუბროთ ქართულ ბაროკოზე. ამასთან, ქართული ლიტერატურისა და კულტურისათვის ბაროკოს ესთეტიკა განვითარების ბუნებრივი საფეხურია, რაც პასუხობს ბაროკოს მიმდინარეობის წარმოშობის პოლიგენეზის თეორიას.

ბაროკოს ესთეტიკის ჭრილში შეგვიძლია განვიხილოთ XVIII საუკუნის გამოჩენილი ქართველი პოეტის, ბესარიონ გაბაშვილის შემოქმედება. ბესიკის შემოქმედებაში ბაროკალური ნიშნები ვლინდება როგორც თემატურ, ისე ფილოსოფიურ და ფორმალურ-სტილისტურ ასპექტებში. ამ ფაქტის ნათელი დასტურია ისიც, რომ ქართველი მოდერნისტები თავიანთ ლიტერატურულ წინაპრად ასახელებდნენ ერთი მხრივ ბესიკს (ბაროკო) და, მეორე მხრივ, ნიკოლოზ ბარათაშვილს (რომანტიზმი).

ქართულ ლიტერატურაში ბაროკოს ტენდენციათა გამოკვეთა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ქართული სააზროვნო სივრცის კავშირს დასავლურ ფილოსოფიურ-ლიტერატურულ კონტექსტებთან.

### დამონებანი:

Gabashvili Besarion. *Besarion Gabashvilis Shemokmedeba*. Tbilisi: gamomtsemloba “kartuli”, 2017 (გაბაშვილი ბესარიონ, *ბესარიონ გაბაშვილის შემოქმედება*, თბილისი: გამომცემლობა „ქართული“, 2017).

Gabashvili Besarion. *Besik'i. Tkhzulebata Sruli K'rebuli*. Tbilisi: gamomtsemloba “sabch'otamts'erali”, 1962 (გაბაშვილი ბესარიონ. *ბესიკი. თხზულებათა სრული კრებული*, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, 1962).

K'entch'oshvili Irak'li. “Kartuli Autent'uri Barok'os Gamo”. *Jurnali “Tsiskari”*, 9, Tbilisi: 1973 (კენტჭოშვილი ირაკლი. „ქართული აუთენტური ბაროკოს გამო“. *ჟურნალი „ცისკარი“*, 9, თბილისი, 1973).

- Leonidze Giorgi. “Besik’is Tskhovreba da Shemokmedeba”. *Jurnali “Lit’erat’uruli Sakartvelo”*, 15. Tbilisi: 1941 (ლეონიძე გიორგი. „ბესიკის ცხოვრება და შემოქმედება“. *ჟურნალი „ლიტერატურული საქართველო“*, 15. თბილისი: 1941).
- Moser Walter, *The Concept of Baroque*, Revista Canadiense de Estudios Hispánicos, 2008.
- Nach’q’hebia Maia. *Kartuli Barok’os Sak’itkhebi*. Tbilisi: gamomtsemloba “merani”, 2009 (ნაჭყებია მაია. *ქართული ბაროკოს საკითხები*. თბილისი: გამომცემლობა “მერანი”, 2009).
- Rat’iani Irma. “K’lasitsizmi Evrop’ul da Kartul Mts’erlobashi”. k’reb.: *Lit’erat’uruli Mimdinareobebi (K’lasitsizmidan Modernizmamde)*. Tbilisi: gamomtsemloba “GCLA Press”, 2017 (რატიანი ირმა. „კლასიციზმი ევროპულ და ქართულ მწერლობაში“. კრებ.: *ლიტერატურული მიმდინარეობები (კლასიციზმიდან მოდერნიზმამდე)*. თბილისი: გამომცემლობა „GCLA Press“, 2017).
- Tsaishvili Sargis. *Gamochenil Adamianta Tskhovreba*. Tbilisi: gamomtsemloba “nak’aduli” 1962 (ცაიშვილი სარგის. *გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება*. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1962).
- Warnke F. J., *Baroque Poetry and the Experience of Contradiction*, Colloquia Germanica Vol 1, 1967.

**Ani Javakhishvili**  
**(Georgia)**

## **Georgian Baroque Tendencies and Besarion Gabashvili’s Poetry**

### **Summery**

**Key words:** Baroque, Baroque philosophy, poetry, literary tendencies, Georgian literature of XVI– XVIII centuries, European-Georgian cultural paradigms.

The study aims to analyse Georgian literature from the 16th to 18th centuries in comparison with contemporary European literary tendencies using modern literary methodologies. The 16th to 18th centuries were a crucial and special period in European art as this period is characterised by significant discoveries during the scientific revolution, leading to the disappearance of established aesthetic principles and the emergence of new ways of artistic expression. Baroque, encompassing architecture, sculpture, music, painting, theatre, and literature, was a cultural and art movement that reflected a reaction against humanism and the Renaissance. The movement emphasized dramatic, eclectic, and dynamic motion. Baroque is one of the most significant period of the development of European culture as it laid the foundation of the principles of modernism. Modernism itself is often mentioned as Neo-baroque in literary criticism. In Georgian literary studies, the term “Georgian Baroque” was first mentioned in the 1970s by Giorgi Gachechiladze, who identified Baroque tendencies in Georgian literature.

The term refers to Georgian literature from the 16th to 18th centuries, which exhibits eclecticism and is influenced by Persian literature due to political and economic circumstances. However, despite of significant Persian influence, Georgian literature from the 16th to 17th centuries began to reintegrate into the Western cultural-literary space. We can underline some of the key factors: in Georgian literary texts of 16-18th centuries the chronotope of a foreign country and foreign theme is sublimated with a national thematics (“The Martyrdom of the Holy Queen Qetevan” by Teimuraz I, “War of Aspindza” and “War of Rukhisi” by Besarion Gabashvili). Besides, Georgian texts of these period reflects the crisis of humanism aesthetic and reveals the onto-existential problems of the epoch. One of the most important aspects is that, despite the Persian influence, Christian themes gradually reemerge in Georgian literature and eventually take on pagan characteristics. These factors indicate both the political and literary choices made by Georgia during this period.

Besarion Gabashvili, an influential Georgian poet, philosopher, and diplomat of the 18th century, is well-known for his love poems. He was a close person at the court of King Erekle’s palace, and also played an important role in the contemporary Georgian political arena as he was the ambassador of Eastern Georgia to the Russian royal court. Like his contemporary writers, Gabashvili’s works are quite eclectic and often reveal contradictory literary paradigms. However, our research underlines that Gabashvili’s works exhibit Western literary tendencies, particularly signs of the Baroque movement. It is worth mentioning that Georgian modernist poets like Titsian Tabidze considered Besik (Baroque) and Nikoloz Baratashvili (Romanticism) to be his literary ancestors. Titsian tabitze’s quote “I plant Flowers of Evil by Baudelaire in the garden of Besik”, which is referred as a key determinant of Georgian symbolism, clearly defines the connection between Georgian Modernism and Besik (Besarion Gabashvili). We believe, only this fact indicates that we should study Besarion Gabashvili’s poetry in the context of Baroque movement.

In the works of Besarion Gabashvili tendencies of Baroque can be detected both on the philosophical-thematic and on the stylistic levels. His poetry is diverse in terms of genres and themes. He wrote two poems about national thematics: “War of Aspindza” and “War of Rukhishi”. In these poems chronotope is real and the characters are real historical persons. So, the unrealistic chronotope is sublimated by the real historical events. This tendency was first revealed in the works by Teimuraz I (Martyrdom of Queen Ketevan), with this in mind, works by Besarion Gabashvili continues this literary tendency, which is also revealed in contemporary Western literary space.

Another significant factor is the fact that Christian and Biblical symbolic emerges powerfully in his works. Moreover, historical and existential problems are often related to Biblical original sin, which is one of the key philosophical aspects of Baroque aesthetics. Biblical and Ghospel symbolics are highly reflected in the



ode dedicated to the mother of God, where Maryam is mentioned as holy and sacred mother of crucified Jesus.

According to Besarion Gabashvili's poetry, life is governed by fate, which is a devilish event. This contradicts the humanistic model of world perception, which believed that evil will be always defeated by kindness. In works by Besarion Gabashvili a metaphor of a human is a traveler who travels all along the world in both real and phantastic chronotope, but he can never find a peaceful place and concludes that the world is a destructive place and man is doomed to suffer. Even love is also an expression of suffering - the lover always rejects the lyrical hero.

Based on the analysis of the works by Besarion Gabashvili, we can underline that the emergence of Baroque tendencies is a natural and logical event for Georgian literature. The fact finds connection with theory of polygenesis mentioned by Walter Moser. The theory suggests that Baroque tendencies emerged independently in different European countries according to the common background of the historical-philosophical crisis of the region.

ლევან გელაშვილი  
(საქართველო)

### რეცენზია კრებულზე – „ლიტერატურული ჟანრები“

„ლიტერატურული ჟანრების“ პირველი წიგნი, რომელიც მომზადდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ლიტერატურის თეორიისა და კომპარატივისტიკის განყოფილებისა და თსუ თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ბაზაზე, მოიცავს ნაშრომებს ლიტერატურული ჟანრების შესახებ.

კრებულში დაბეჭდილი სამეცნიერო სტატიების ავტორები არიან: ირმა რატიანი, რუსუდან ცანავა, არჩილ წერედიანი, მაკა ელბაქიძე, ირაკლი კენჭოშვილი, მაია ნაჭყებია, რამაზ ჭილაია, გაგა ლომიძე, კონსტანტინე ბრეგაძე, შორენა შამანაძე და ირაკლი ხვედელიძე.

წარმოდგენილი სარეცენზიო წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება: პირველში გაერთიანებულია „ეპოსი და ეპიკური ჟანრები“, ხოლო მეორე ნაწილში შედის „დრამა და დრამატული ჟანრები“. წიგნს ერთვის ასევე დამატება – გზამკვლევი კლასიკურ ლიტერატურაში: „დონ კიხოტი, პირველი თანამედროვე რომანი – და ერთ-ერთი საუკეთესო!“ 2018 წლის პუბლიკაცია (ავტორი ანა პუჩაო დე ლესია ვისენტე პერეც დე ლიონი), რომელიც ინგლისურიდან თარგმნა ირმა რატიანმა.

კულტურაში მიმდინარე ჟანრების ევოლუციის და ნიშან-თვისებების ცვალებადობა, მათი ხელახლა შესწავლა და გადააზრება მთელი ამ მემკვიდრეობის, მისი შინაარსის და მნიშვნელობის სამეცნიერო ანალიზი ახალი გამოწვევების წინაშე დგას. ეს არის პირველი კრებული, რომელშიც ერთად არის თავმოყრილი ნაშრომები ეპოსისა და დიდი ეპიკური ჟანრების შესახებ.

ყველა ეპოქას თავისი ჟანრები აქვს რომლებიც მის მაჯისცემას და ტენდენციებს გამოხატავს. ჟანრი ინახავს თავის დროს, მასში ვლინდება მთელი ეპოქა და ამიტომ თითოეულ ჟანრს თავისი ქრონოლოგიური საზღვრები აქვს ის მანამდე არის სიცოცხლისუნარიანი, სანამ მიმდინარე ეპოქალური მოვლენების ძირითადი გამოხატველი ფორმაა. როგორც კი ის კარგავს თავის ეპოქასთან შეხების წერტილებს, ჟანრი კვდება და მიჰყვება თავის ეპოქას.

რუსუდან ცანავა მოცულობით სამეცნიერო სტატიაში – „ეპოსი და ეპიკური ჟანრები“ ეპიკური ჟანრის სათავეებიდან მოყოლებული, ეტაპობრივად განიხილავს ყველა მნიშვნელოვან საკითხსა და თემას, რომელიც ჟანრის ძირითად ნიშან-თვისებებზე მსჯელობისას უნდა აღინიშნოს.

XIX საუკუნიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც ძველბერძნული და რომაული ტექსტების გარდა, უფრო ადრეული ნაწარმოებებიც შევიდა სამეცნიერო მიმოქცევაში, პ. იენსენმა წამოაყენა მოსაზრება ძველბერძნული და ბერძნული მითების მესოპოტამიური წარმოშობის შესახებ, რამაც ძველი აღთქმის სამყაროს კვლევა სრულიად სხვა სიმაღლეზე აიყვანა, საბოლოოდ დაირღვა ევროპოცენტრიზმი და დაიწყო ეპიკური ტექსტების, სიუჟეტების, მოტივების და სხვა ლიტერატურული მოდელების კონტაქტური, გენეტიკური და ტიპოლოგიური თეორიებით შესწავლა. ეპოსის ჟანრის განვითარებაში ახალი ეტაპი ჰომეროსის პოემებით იწყება. ბერძენი ეპიკოსი პოეტები – ჰესიოდე და ჰომეროსი ეპიკური ჟანრის კანონმდებლად ითვლებიან. მათ მოახერხეს ჟანრის ფორმირება და ძირითადი მიმართულების განსაზღვრა.

სტატიაში ყურადღება გამახვილებულია ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა ეპოსის თხზვის სპეციფიკა, მთხზველები და ეპიკური სტილი, ეპიკური მოტივები და სიუჟეტები, მისი მიმართება ისტორიასთან, ანტიკური ეპოსი, ეკფრასისი და პოეტური სემანტიკა.

მეცნიერი მოკლედ მიმოიხილავს კომიკურ-პაროდული ეპოსის ნიმუშებს და მათ ავტორებს.

კალიმაქოსი ითვლება ახალი მიმართულების – ეპილიონის ჟანრის დამამკვიდრებლად ბერძნულ ლიტერატურაში.

აპოლონიოს როდოსელი ვრცელი ეპიკური ტექსტების თხზვის ერთგული დარჩა. მისი „არგონავტიკა“ მრავალმხრივ საყურადღებო ტექსტია, რომელშიც ავტორი არგონავტების მითს, ჰომეროსისგან განსხვავებით, თავიდან ბოლომდე მოგვითხრობს.

ელინისტური ეპოქის ცნობილი ეპიკოსი პოეტები იყვნენ: ლიკოფრონი, ნონოს პანოპოლისელი (ამ უკანასკნელის გავლენა იმდენად ძლიერი იყო, რომ შეიქმნა ნონოსის სტილის მიმდევართა სკოლა), კვინტუს სმირნელი, ტრიფიოდორე, მუსეოსი და სხვანი.

ლათინურენოვანი ანტიკური ლიტერატურა ან, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მიღებული, რომაული ლიტერატურა, ბერძნულთან შედარებით, ბევრად გვიანდელია და ის ბერძნული მწერლობიდან ამოიზარდა. ამ უკანასკნელის დაქვეითების შემდეგ, რომაელებმა ბერძენთა მიერ შემუშავებული არა მხოლოდ ჟანრები, არამედ პერსონაჟები, მოტივები, სემანტიკა და სხვა ლიტერატურული მოდელები გამოიყენეს. ბერძნული ლიტერატურული სამყაროსთვის დამხასიათებელი ბევრი ნიშანთვისების მიუხედავად, რომაული ეპოსი უამრავი სიახლით ხასიათდებოდა.

სტატიაში რომაული ლიტერატურა წარმოდგენილია ლივიუს ანდრონიკუსით, რომელსაც ეკუთვნის ერთ-ერთი პირველი ლათინურენოვანი ტექსტი. ანდრონიკუსმა ბერძნულიდან ლათინურად თარგმნა „ოდისეა“.

რომაელები უდიდეს პოეტად თვლიდნენ კვინტუს ენიუსს, რომელმაც რომაელთა ნაციონალურ ეპოსად აღიარებული „ანალები“ დაწერა.

ლუკრეციუსი ლექსად აყალიბებს ეპიკურ-ფილოსოფიური სისტემების პოსტულატებს პოემაში „საგანთა ბუნებისათვის“.

რომის ოქროს ხანის პოეტია ვერგილიუსი, რომლის სახელთანაა დაკავშირებული სამი სტილის თეორია.

ოვიდიუსი ერთდროულად სხვადასხვა ჟანრში მოღვაწეობდა.

გაიუს ვალერიუს ფლაკუსის „არგონავტიკა“ აპოლონიოს როდოსელის პოემით არის შთაგონებული.

ცხადია, წერილში ანტიკური ეპოქის ეპიკოს პოეტთა წარმოდგენილი ნუსხა არასრულია. ავტორი შეეცადა გამოეყო ის ავტორები, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს ეპოსის ჟანრის ფორმირებაში.

ანტიკური ლიტერატურის ერთ-ერთი ჟანრი რომანი, რომელიც ძირითადად ანტიკური საზოგადოების დაცემას ასახავს, რომის იმპერიაში განსაკუთრებით განვითარდა („ანტიკური რომანი“ – არჩილ წერედიანის სტატია). ამ ჟანრში გაერთიანებული ნაწარმოებები ძლიერ განსხვავდება ერთმანეთისგან, თუმცა ერთი საერთო მახასიათებლების გამო ის ცალკე ჟანრია, რომელიც, ბუნებრივია კონკრეტული ავტორების ხელში განვითარდა (ლოგნოსის „დაფნისი და ქლოე“, ჰელიოდორეს „ეთიოპიკა“, პეტრონიუსის „სატირიკონი“, აპულეუსის „ოქროს ვირი“ და სხვა). წერედიანს მოჰყავს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ბახტინის სამეცნიერო მოსაზრება ანტიკური რომანის შესახებ. მ. ბახტინი ანტიკური რომანის ორ ტიპს გამოყოფს: განსაცდელის ავანტიურულ რომანს და ავანტიურულ-ყოფით რომანს. ერთხანს პოპულარული იყო ე. შვარცის მოსაზრება, რომლის თანახმადაც, ანტიკური რომანი წარმოიშვა ელინისტური ისტორიოგრაფიის დაცემის შედეგად. შემდგომში ისტორიულ რომანად ჩამოყალიბდა ბოლოს კი სოფისტურ სამიჯნურო რომანად იქცა. სამეცნიერო საზოგადოებაში გაბატონებულია მოსაზრება, რომ რომანს არ ახასიათებს უწყვეტი განვითარება. მართლაც, ანტიკურმა რომანმა თავის განვითარების გზა გაიარა და არსებობა შეწყვიტა. მას გავლენა არ მოუხდენია ევროპაში აღმოცენებულ სარაინდო რომანზე, რომელიც ანტიკური რომანისაგან დამოუკიდებლად ჩამოყალიბდა და თავისი წინაპირობები ჰქონდა.

შუა საუკუნეების რაინდული რომანი (ავტორი მაკა ელბაქიძე), XII საუკუნის საფრანგეთში „კულტურული აფეთქების“ შემდეგ ჩამოყალიბდა, რომელიც ანტიკურ ლიტერატურას და ფოლკლორს დაეფუძნა, სადაც ერთმანეთს ერწყმის ბერძნულ-რომაული სტილისტიკა. თუმცა დროთა განმავლობაში რაინდულმა რომანმა განიცადა მხატვრულ-ესთეტიკური ცვლილება და სრულიად ახალი სტრუქტურა მიიღო. მაკა ელბაქიძე სრულიად სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანი“, ცხადია, შუასაუკუნეების რაინდული რომანია, მაგრამ უნდა აღინიშნოს რომ ევროპული რაინდული რომანისგან განსხვავებით, არ იცნობს მთელ რიგ

(კოლიზიურ უთანხმოებას და სხვა) საკითხებს, რომელიც ამ პერიოდის ფრანგულ ლიტერატურაში გვხვდება.

პიკარესკული რომანი (ავტორი ირაკლი კენჭოშვილი), ესპანურ ლიტერატურის ოქროს ხანაში ჩამოყალიბებული ჟანრია. ამ ჟანრის ნაწარმოებები, როგორც წესი, სოფლიდან ქალაქში ჩამოსულ გაღატაკებული აზნაურების წრიდან გამოსულ ანტიგმირზე მოგვითხრობს, რომელიც გაიძვერა და ცბიერია, თუმცა მკითხველის მიერ სოციალური უთანასწორობის მსხვერპლად აღიქმება და თავის მოხერხებულობის გამო, მკითხველის თანაგრძნობას იმსახურებს. პიკარესკულ რომანში ზოგი მეცნიერი აერთიანებს ნებისმიერ ისეთ ნაწარმოებებს, რომელშიც ავანტიურისტი გმირის თავგადასავალია მოთხრობილი.

ბაროკოს ეპოქის რომანი (მაია ნაჭყებიას სტატია), თავის ჟანრული მრავალფეროვნებით ბერძნული რომანის ერთგვარ ადაპტაციადაც მიიჩნევა. საქმე ისაა, რომ კონსტანტინეპოლის დაცემამდე ბერძნული ტექსტები არ იყო ცნობილი ევროპისთვის, მისი თარგმნა XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან სარაინდო რომანის დასასრულს დაემთხვა.

სენტიმენტალური რომანი (რამაზ ჭილაიას წერილი), XVIII საუკუნის ევროპული ლიტერატურის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა, კლასიციზმსა და როკოკოსთან ერთად. სენტიმენტალიზმი როგორც მხატვრული მიმდინარეობა და თავად ტერმინის ახლებური გააზრებაც უკავშირდება ლორენს სტერნის დაუმთავრებელ რომანს, რომელიც 1768 წელს გამოიცა.

რეალისტური რომანი (ავტორი გაგა ლომიძე) მე-19 საუკუნის შუა ხანებში, რომანტიზმზე რეაქციის შედეგად, ნატურალიზმის ტენდენციების გათვალისწინებით შექმნილი რევოლუციური ჟანრია. რევოლუციური იმ გაგებით, რომ რეალისტურმა რომანმა უარყო ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ლიტერატურას მხოლოდ გამორჩეული გმირების ჰეროიკული ამბები უნდა მოეთხრო. მიუხედავად იმისა, რომ რეალიზმი რომანტიზმის ოპოზიციური ჟანრია, ის მაინც რომანტიზმის მემკვიდრეა, მისი მეორე მხარეა. გაგა ლომიძე ერთმანეთს უპირისპირებს ინგლისურ რეალისტურ რომანსა და სარაინდო რომანს. მსჯელობს ურთიერთ განმასხვავებელ ნიშან-თვისებებზე და გამოყოფს რეალისტური რომანისათვის დამახასიათებელ რამდენიმე გასათვალისწინებელ ფაქტორს: დეტალიზაციას, ფსიქოლოგიზმს, სინამდვილისა და სიზმრის დაპირისპირებას, ტიპურობის საკითხს, განათლების საკითხს (რეალიზმის დროს საფუძველი ეყრება მარქსიზმს), საშუალო ფენის მთავარ პერსონაჟებს, პრესას და მის ფარგლებში შექმნილ რომანებს. გაგა ლომიძის სამეცნიერო მსჯელობა ლოგიკური და არგუმენტირებულია. მეცნიერი მართებულად შენიშნავს, რომ რეალისტმა მწერლებმა საშუალო ფენის ყოველდღიურობა ასახეს, იმ ადამიანების რეალობა, რომლებმაც მაღალ იდეალებს უნდა მიაღწიონ.

გაგა ლომიძე მოიხმობს ეგნატე ნინოშვილის მოთხრობას, „ქრისტინეს“ და გუსტავ ფლობერის რომანს „ქალბატონი ბოვარი“. აგრეთვე, იმონმებს მიხეილ ბახტინისა და რომან იაკობსონის მოსაზრებებს.

საგანგებოდ უნდა გამოიყოს ირმა რატიანის წერილი: „ლიტერატურული ანტიუტოპია და ანტიუტოპიური რომანი“, რომელიც წარმოადგენს ნაწილს ამავე ავტორის მონოგრაფიისა „ქრონოტოპი ანტიუტოპიურ რომანში. ესქატოლოგიური ანტიუტოპიის ინტერპრეტაციისათვის“ წიგნში: „ტექსტი და ქრონოტოპი“ (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2010) სპეციალურად ამ კრებულიათვის, ნაშრომმა განიცადა მცირედი მოდიფიცირება.

ავტორი ვებერის ტერმინით ხსნის, რომ უტოპია თანასწორი საზოგადოების „იდეალური ტიპია“, ანტიუტოპია კი მონური საზოგადოების „იდეალურ ტიპს“ წარმოადგენს.

წერილის ავტორს ყურადღების მიღმა არ რჩება ამ ჟანრისთვის დამახასიათებელი არცერთი მნიშვნელოვანი საეტაპო საკითხი. ირმა რატიანი თანმიმდევრულად განიხილავს იმ ზოგად მოტივაციურ და სტრუქტურულ მოდელებს, რომლებიც ანტიუტოპიური რომანის ჟანრის ფორმირებისა და განსაზღვრის საფუძველია: კოლექტიური შრომა, კვაზინომინაცია, ლიდერი, მეცნიერული პროგრესისა და ტექნოკრატიზმის მოტივი, შემოქმედებითი სანყისის და გონის ნიველირება, შიში, ოჯახური ტრადიციების დესტრუქცია, ბედნიერების სტანდარტიზაცია, ყოფის რიტუალიზაცია და კარნავალიზაცია, ფსევდოკარნავალური მოტივი, ჭამა-სმის აქტი და პაროდია. ირმა რატიანის სამეცნიერო მსჯელობა მიმართულია იქეთკენ, რომ სწორედ ეს საკითხები აყალიბებს იმ შიდა კონსტრუქციას, რომელსაც ეფუძნება ჟანრის ძირითადი კანონები.

მეცნიერის მოსაზრებით, ანტიუტოპიის ძირითად სტრუქტურულ მახასიათებლებად უნდა მივიჩნიოთ:

1. ანტიუტოპიის სიუჟეტი მოთავსებულია „ჯოჯოხეთისა“ და „სამოთხის“ კოორდინატებს შორის;

2. ანტიუტოპიის სამყარო მიმართულია სასაზღვრო ფასეული მიჯნისაკენ, რომელიც უნდა დაიძლიოს ნონკონფორმისტი გმირის მიერ.

3. ანტიუტოპიის დროული და სივრცული პარადიგმა ვერტიკალურია.

კონსტატინე ბრეგაძეს ეკუთვნის ორი წერილი: „მოდერნისტული რომანი“ და „პოსტმოდერნისტული რომანი“. მოდერნისტულ რომანზე მსჯელობას მეცნიერი აგებს ოთხ ფუნდამენტურ საკითხზე: 1. მთხრობელი ინსტანცია/ავტორისეული თხრობა; 2. „მოდერნისტი“ პერსონაჟი როგორც „ქცევითი“, არამყარი პერსონაჟი; 3. სტრუქტურული, ნარატიული და ქრონოტოპული თავისებურებანი; 4. ასახვის/გადმოცემის ფორმები.

კონსტანტინე ბრეგაძე პოსტმოდერნისტულ რომანს 1960-2010 წლების ქრონოლოგიურ ფარგლებში განიხილავს, გამოყოფს ანტილოგოცენტრიზმს და აღნიშნავს, რომ პოსტმოდერნისტული ფილოსოფია მიდის

პირველსაზრისის უარყოფამდე, რომ ის ერთი მხრივ ეფუძნება ნიცშეს ღმერთის სიკვდილის პოსტულატს, მეორე მხრივ – ჰაიდეგერის დაძლევის/გადალახვის პოსტულატს. მეცნიერი მართებულად შენიშნავს, რომ დიქტომიიდან (ღმერთი vs ეშმაკი, ჯოჯოხეთი vs სამოთხე და ასე შემდეგ) პოსტმოდერნიზმი არცერთს არ ანიჭებს უპირატესობას. ამგვარად, პოსტმოდერნისტული მსოფლმხედველობრივი დისკურსი პლურალიზმით არის გაჯერებული. ბოდრიარის ტერმინით, ეს „კულტურული ბულიონი“ განაპირობებს ქვემარტებასთან მიმართების ნიველირებას, ადამიანს რჩება უსაზრისო სიმულაციებთან მიმართება. შესაბამისად, კოკა ბრეგადე ასკენის, რომ პოსტმოდერნისტული ფილოსოფია ამკვიდრებს სამი ტიპის სიკვდილს: ღმერთის, სუბიექტისა და ავტორის. კონსტანტინე ბრეგადე ანტილოგოცენტრიზმის და დეკონსტრუქტივიზმის გარდა, გამოყოფს ასევე ონტოტექსტუალობას – რომანის ტექსტის ახალ ზეყოფიერებად დაფუძნებას. პოსტმოდერნისტულ რომანის პოეტიკა ეკლექტურია, მას ახასიათებს ე. წ. ნარატიული და ენობრივი თამაშები, რაც ტექსტს სათამაშო გაჯეტად აქცევს, სადაც მკითხველი ინტელექტუალურ სიამოვნებას („ტექსტით ტკობას“) იღებს. ავტორს უყურადღებოდ არ რჩება ასევე; ინტერტექსტუალობა, ორმაგი კოდირება და სხვა ჟანრობრივი მახასიათებლები.

შორენა შამანაძე, წერილში – „საოჯახო რომანი/საგა“ ვრცლად მსჯელობს ჟანრის განსაზღვრებაზე, საოჯახო რომანი სენტიმენტალიზმის წერილების დროს გაჩნდა და XX საუკუნის პირველ ნახევარში განვითარების პიკს მიაღწია. ეს არის რომანის ტიპი, რომელიც ოჯახურ ცხოვრებას და ურთიერთობებს ერთი ან რამდენიმე თაობის კონტექსტში წარმოადგენს. შორენა შამანაძე საოჯახო რომანს ყოველმხრივ, ყველა ისტორიული რაკურსით იკვლევს. თავად ტერმინი: „საოჯახო რომანი“ ზიგმუნდ ფროიდმა და ოტო რანკიმ დაამკვიდრა ფსიქოლოგიური კომპლექსის აღსანიშნავად. საოჯახო რომანი, როგორც ლიტერატურული ჟანრი, მეცნიერის მიერ რამდენიმე ჟანრულ მახასიათებელით არის გამოყოფილი, ცალ-ცალკე განიხილავს ოჯახსა და რომანს, „სახლის“ მოტივს, როგორც „ოჯახის“ წინაპირობას, თემატიკას, ნარატიული/კომპოზიციური წყობას, თხრობის ფორმებს, მკითხველის ინსტანცია/გმირს, მომიჯნავე ჟანრებს, კლასიკურ მოტივებსა და ჟანრის ისტორიას, ჟანრის პერიოდული აღორძინებისა და გააქტიურების წინაპირობებს, ბოლოს კი მიმოიხილავს თანამედროვე კვლევებს საოჯახო რომანის შესახებ.

ავტობიოგრაფიული რომანის (ავტორი ირაკლი ხვედელიძე) ფორმირება XVIII საუკუნიდან იწყება. თავად ტერმინი კი XIX საუკუნიდან ჩნდება. ის ერთგვარად ავტობიოგრაფიის ევოლუციური სახესხვაობაა, რომელშიც ავტორი, მთხრობელი და მთავარი გმირი ერთი და იგივე პირია (თუმცა ეს ტექსტში შეიძლება ცხადად არ იყოს მოცემული). ავტობიოგრაფიულ რომანში, ისტორიულ სინამდვილის ნაცვლად, ავტო-

ბიოგრაფიულ სინამდვილეზეა გაკეთებული ძირითადი აქცენტები. ირაკ-  
ლი ხვედელიძე ერთმანეთისგან მიჯნავს ავტობიოგრაფიულ რომანთან  
ახლოს მდგომ, მაგრამ მისგან განსხვავებულ ავტოფიქციას და ფიქციური  
ავტობიოგრაფიას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს წიგნის მეორე  
ნაწილზე: დრამასა და დრამატულ ჟანრებზე, რომელიც იხსნება ირმა  
რატიანის წერილით: „ტრაგედია – უძველესი დრამატული ჟანრი“. სტა-  
ტიის პრეამბულა პლატონის „სახელმწიფოს“ განხილვას ეთმობა; მეცნი-  
ერი მსჯელობს ბაძვის მექანიზმებსა და პოეტების მიმართ პლატონის მი-  
ერ ნამოყენებულ ბრალდებების სერიაზე. შემდეგ ქვეთავში: „არისტო-  
ტელე. „პოეტიკა“ და ტრაგედიის თეორია. ტრაგედიის „ფორმის თეორია“,  
მკვლევარი აღნიშნავს, რომ არისტოტელე ეთანხმება პოეზიის, როგორც  
ბაძვის გააზრებას, მაგრამ პლატონისეულ ინტერპრეტაციას არ იზი-  
არებს. არისტოტელემ დაასაბუთა, რომ ისტორიკოსი საუბრობს იმაზე,  
რაც მოხდა, პოეტი კი იმაზე, რაც არ მომხდარა, მაგრამ შეიძლებოდა მომ-  
ხდარიყო, ამგვარად, პოეზია ფილოსოფიასთან, ე. ი. ჭეშმარიტების ძი-  
ებასთან უფრო ახლოსაა. მეცნიერი საყურადღებო მოსაზრებებს გამოთ-  
ქვამს ტრაგედიის „ფორმის თეორიაზე“, რომელიც აწესრიგებს ჟანრის  
ურთიერთობას მიბაძვის ობიექტთან. ირმა რატიანი ტრაგედიის მკაცრად  
მონესრიგებულ სტრუქტურას არისტოტელეს ექვსი კანონით წარმოაჩენს.

მეორე ქვეთავში: „2. ანტიკური ტრაგედიები. ამბები. სქემა, პერ-  
ფომანსი, 2.1. ბედისწერა და კონფლიქტი“. შესწავლილი და გაანალიზე-  
ბულია არისტოტელეს ექსპერიმენტული დაკვირვებები ტრაგედიის  
ტექსტუალურ და სასცენო გამოცდილებაზე. აქ მეცნიერს მოცემული  
აქვს „დამსახურებული სასჯელის“ მოდელი, „შურისძიების“ მოდელი,  
„მსხვერპლშენიღვის“ მოდელი, „ვედრების“ მოდელი, „ხსნის“ მოდელი და  
„დაბრუნება-ცნობის“ მოდელი. ასევე, საუბარია კულტურის ისტორიაში  
ისეთ საკვანძო მოვლენაზე, როგორც იყო ტრაგედიების გადატანა თე-  
ატრალურ სცენაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ბერძნული ტრაგედიების დაწერა არაერთ  
ავტორს უცდია, ჩვენამდე მხოლოდ სამი ტრაგიკოსის – ესქილეს, სოფოკ-  
ლეს და ევრიპიდეს ნაღვანმა მოაღწია. მათი შემოქმედება მათსავე სი-  
ცოცხლეში იდგმებოდა სცენაზე და შემდგომ, საუკუნეების განმავლო-  
